№ 1920
10/VIII 1920 წ.

ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲘ

№ 8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1920 წ. № 8

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პ ო ე ზ ი ა:

ს. აბაშელი { 1. მშვიდობით
2. ღამის სარკეში

ბაბილინა — დიანა

გელა—დღის მგოსანი

იასამანი—პალიასტომთან

კ. რატიშვილი—დილა ტყეში

ვარლ. რუხაძე—დღეს ბათომი ვარდებში ზ.ს

ქეთო ფირუზი— * *

ნოე ჩხიკვაძე—თფილი'ი

სიმონ წეველი—დახუჭული თვალები

დ. ჯავახიშვილი—ღრუბლები

ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ა:

ი. მჭედლიშვილი—მეოცნებე გოგი

ნ. ლორთქიფანიძე—ჟამთა სიავე

ა. უსტიაშვილი—„დამშვიდდი .. დამშვიდდი“!!.

899.964.1(ქა)
ც-67
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

ტ-5806

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია



№ 8
ივლისი
1920

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. აბაშელი

მშვიდობით

მე ამდენ ხანს ვითმენდი. სანამ შენ მოგისმენდი,
ჩემი გული შენს გულთან მქონდა გადახიდული.
ჩემთვის ჩუმად ვტიროდი და ცრემლს ჩუმად ვიწმენდდი.
გულში ცეცხლი ღვიოდა ციდან ჩამოზიდული.

ახლა, ვხედავ, შენი გზა მთიდან დაღმა დაეშვა
და მე ღრუბლის სფეროში დავრჩი განმარტოებით.
აქ სხვა ცეცხლი დაენთო და ფიქრებიც სხვა იშვა:
სიყვარული — ელვაა, სცოცხლობს წუთით, დროებით...

შენმა მოკლე წერილმა, ჩემთვის განაბოძებმა,
დამითალხა გონება და მითხრა სამძიმარი.
მაგრამ ჩემმა ოცნებამ მზე ახალი მოძებნა,
და სულიც გამიბრწყინდა, როგორც ტყე ნაწვიმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. აბაშელი

ღამის სარკეში

ჩაჰქრა სანთელი და უნებურად
ჩამქრალ სინათლეს მეც თან გავყევი.
სივრცე დახშული ჩრდილს დაებურა.
სადღაც ელავდა შუქის ნახევი.
არ იყო ღამე, არც გათენება.
ალარც ხმაური და არც სურნელი.
იყო სიჩუმე და მოსვენება,
ყოფნა უმიზნო და უზრუნველი.
დღეთა განვლილთა ჭირი და ლხინი
ორივ ბურუსით იყო მოცული.
იყო ქვეყანა ვით ბალდახინი
ჩუმ სასაფლაოს კართან მოსული.
და თვით სიჩუმე ჩამქრალ სივრცისა
იყო გოდება და გლოვის მარში.
აქ უწინდელი სახე მიწისა
მაგონდებოდა როგორც სიზმარში.
თითქოს ბურუსში მოსჩანდა შორით
წამების ჯვარი და აზარფეში.
ტანჯვის და ლხინის სიმბოლო ორი
მოსჩანდა მხოლოდ ღამის სარკეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბილინა

დ ი ა ნ ა

როგორ არ შემოგხედო! — პირის-პირა ვზივარ და
აი, ეხლა ისარი შენსკენ გადმომივარდა...
წაიკითხავ წარწერას: „სიყვარული ძლიერი“,
ამაოდ არა გვყავხარ მწიგნობარ-მეცნიერი!
რა უნდა მომხდარიყო? შეიგრიხე ულვაში
და .. მე აღარ მომიწევს ზღვაოსნობა ურვაში.
რა უნდა მომხდარიყო? საგულე გაიკეთე
და... მგონია გესტუმრა სიამე და სიკეთე.
თუ ულვაშს შეიგრეხავ, ადვილად მიგიხვდები —
გულუხვ მასპინძელივით ხელგაშლილი მიხვდები;
თუ საგულეს იფარავ, მე ამასაც გავიგებ —
ისარი შეინახე, უკან ველარ წავიღებ.
როგორ არ შემოგხედო, პირის-პირა ვზივარ და
აი, ეხლაც ისარი შენსკენ გადმომივარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელა

დღის მგოსანი

*
* *

დღეს უმღერის განთიადის მგოსანი
ფრთებს ისწორებს კლდეზე გადასაფრენათ,
ველად დაჰქრის, ვით უძლეველი მოვლენა,
დღეს უმღერის განთიადის მგოსანი!..
ელავს, ღელავს დიად გრძნობის ფრთოსანი
და მოუხმობს ცეცხლში გავლით სალხენათ,
დღეს უმღერის განთიადის მგოსანი,
ფრთებს ისწორებს კლდეზე გადასაფრენათ!..

მზეს თაიგულს გამოსტაცებს ტრფიალი,
ნადავლ ოქროს დაურიგებს ქვეყანას,
მძლე სხივები დაეფრქვევა ყველგანა,
მზეს თაიგულს გამოსტაცებს ტრფიალი!..
სიტყვას იტყვის კრძალვით მიწის ტრიალი,
სხივთ მეჯლისი შეაჩვენებს სატანას,
მზეს თაიგულს გამოსტაცებს ტრფიალი
ნადავლ ოქროს დაურიგებს ქვეყანას!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასამანი

პალიასტომთან

საღამოობით გულჩავარდნილ ოღრო-ჩოღროებს,
ატალახებულთ და ეკლებით ამობარდნილებს,
ჩამავალი მზე თავს დაასევს ურიცხვ კოღოებს,
ფრთაამართულებს, გესლიანებს, პირწავარდნილებს.

ქვემძრომთა ჯარი გულუბრყვილო სავსე თვალებით
აეგლისება უნუგეშო ნამორს, ფუტუროს.
დამფრთხალი იხვი დაეშვება დაფართხალებით,
რომ თავის საფრთხეს გამალებით შორიდ უყუროს.

სულს დალევს მწუხრი მკრთალ სხივების გაციალებით.
ჩაჰქრება კოშკი, უსურვაზი გაედინება.
გააპობს ნავი ტბის ზედაპირს გასრიალებით,
და კაპარჭინას ბადეებში ჩაეძინება.

გამონელდება შემდეგ სიცხე, და ქარის ტაში
წინ დაუდგება ამაყი ტბის ტალღათ მოდენას.
ამოვა მთვარე ნახევარი ცაზე და ტბაში—
და გააგრძელებს მზით დაწყებულ დღის წარმოდგენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. რატიშვილი

დილა ტყეში

ვარსკვლავთ აკიდო ჩაიმარცვლა, ცაში ჩანელდა.
იქ განთიადმა შეამსხვრია სარკმელი ღამის.
თეთრი სიმღერით ცელქი სიო ყურთან ანელდა.
ბრილიანტებად ჩამოვარდა ცვარები ნამის.

ტყეში შეირხა კუნელი და მაგარი რცხილა.
ტოროლამ ზევით შეუსტვინა, ცა გააოცა.
გულ-წმინდა წყაროც აჩანჩქერდა, ხმა მოიცხრილა.
მზემ თვალი უყო კიპაროსებს, შუბლზე აკოცა.

მეცხვარემ ცხვარი ქოფაკებით მთაზე შეშალა
და სალამური ააკვნესა, ჭლექი ქალივით.
ნეტარებასთან ტკბილი სევდაც თან ამეშალა
და ამიმღერდა სული ჩემი მზესთან, მთვრალივით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამ რუხაძე

დღეს ბათომი ვარდებში ზის

(სახელდახელოთ)

დღეს ბათომი ვარდებში ზის
დღეს ბათომში ზღვაც კი ცეკვავს;
შვების ღმერთი გადმოსულა
და აღდგომის ზარსა რეკავს!

საქართველოს დროშა მოდის,
მოთამაშობს თეთრი რაში;
ზეიმია, ხაროობს ერი,
ისმის „ვაშა“, ისმის ტაში!

ღმერთო ჩემო! ამას რას ვსჭვრეტ,
ცხადია თუ სიზმარია?—
ჭეშმარიტათ ეს დღე ჩვენთვის
განახლების ცისკარია!!

7 ივლისი, ბათომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო ფირუზი

*
* *

სახლში რომ ვბრუნდებოდი მინდვრით სალამო-ჟამს, მზეს ფერი უკრთებოდა, კვდებოდა და ჩრდილთა წყნარი გალობა მოისმოდა კიდეც.

ჩემს გულში კი უცხო ცელქი ჩიტი ფართხალებდა და გალობდა, რადგან იქ, ტყეში, მოუსვენარ რუის პირად მშვენიერი ჭაბუკი ვნახე, ქერა თმიანი და ლურჯ-თვალა.

ყრუ იყო ის ჭაბუკი და მოწყენით იჯდა წყლის პირად, — არ ვიცი, რადა?

მაგრამ ქერა თმა ჰქონდა და ლურჯი, ბავშური თვალები და მოღლილ ქუთუთოებს რომ ასწევდა ნელა რუის ტალღების შესახედავათ, მძიმე ღრუბელი გაირღვევოდა ხოლმე და ზეცა იცინოდა ცისფერის, ნათელი სიცილით.

არ ვიცი, შეატყო თუ არა, რომ მის დანახვისთანავე ჩემი თვალები ცულლუტისა და ცელქი ნაპერწკლებით აინთენ, ხოლო ურჩი ჩიტი ჩემის გულისა მოუსვენრათ ატოკდა და შორეულ ცისფერ სივრცისკენ გაიწია.

დაღლილი ვბრუნდებოდი მინდვრით სახლში და ქარი ნაღვლიანათ გალობდა, მაგრამ სიხარული თავს დამფარფატებდა ნაზის ფრთითა, რადგან ჭაბუკი ვიხილე ქერა თმიანი და დიდრონ ლურჯ-თვალებიანი.

*
* *

დღეს ჩემი სული შემოდგომის ლეგა ღრუბლებს მოუბურავს და არ ვიცი, იქნება-ღა როდისმე მზე და სიხარული? იქნება-ღა ცა ლაჟვარდოვანი, ნაზი, ალერსიანი?

დღეს მე არავინ მიყვარს... და ჩემს გულს რაღაც სუსხიანი გრძნობები ჩხვლეტენ, როგორც შემოდგომის წვიმის წვეთები. სამარის დუმილს შეუკრავს ბაგენი ჩემნი, თვალებს ძილი სწყურია, საუკუნო, გაუღვიძარი.

დღეს მე არავინ მიყვარს... მაგრამ, მგონი, ჩემს სულს არასოდეს უნატრია ასე ძლიერ სიყვარული და ალერსი, ალერსი თბილი, ცხოველმყოფელი.

დღეს მე არავინ მიყვარს... და განუსაზღვრელი შიშის ზარი მიპყრობს მარტო იმ აზრის გამო, რომ, იქნება, მეც არავის ვუყვარ**დე**, — ჩემი გული ობლად ჰფეთქავდეს.

თვალებს ვხუჭავ და ვფიქრობ: თუ ქვეყნად არ არის მეორე გული, რომელიც ჩემთვის ჰფეთქავდეს და არ არის ერთი წყვილი თვალი, მე რომ მეძებდეს — შესდეგ, გულო, საუკუნოთ დაიხუჭეთ, თვალებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

კ. ს—ს

დღეს დილით, რაწამს მზის ღიმილი შეეხო ზეცას, ჩემს ოთახში ჩიტი შემოჰფრინდა, თავს შემომევლო, დაიჟღურტულა და გაჰფრინდა ისევ.

ოჰ, იმ ჩიტმა პაწაწინა საიდუმლო ჩამჩურჩულა, პაწაწა და თან ისე სასიხარულო, რომ ყოველი კუნთი ჩემის სხეულისა ათამაშდა და ატოკდა გიჟურისა და თავშეუკავებელის ცეკვითა.

ჯავრიც არა მაქვს იმისი, რომ წუხელის გაბორეტებული ქარი მრისხანეთ ღმუოდა და მეზობლის ბაღში ჭოტი გაბმით და გულშემზარავათ ჰკიოდა, უბედურებას უქადდა ვიღაცას.

მე ხომ პაწაწა საიდუმლო ვიცი, პაწაწა, მაგრამ სასიხარულო საიდუმლო, რომელიც თუმცა ჰაერშიაც თრთის, ბაღშიაც გაფურჩქნულა, მინდორსაც მოსდებია და ტყესაც, მაგრამ ჩემს გარდა ვერავინ ჰხედავს, მარტო ჩემია სულმთლად!

და არავინ იცის, რად არის დღეს ჩემი ოთახი სავსე სიხარულითა და ხმაურობით, რად არის, რომ მე დილის რიჟრაჟიდან ვიდრე შუაღამემდე სულ ვმღერი და ქვეშ-ქვეშ ვიცინი ეშმაკურად.

ოჰ, დღეს ჩიტი შემოჰფრინდა ჩემს ოთახში, თავს შემომევლო, შემომევლო და გაჰფრინდა ისევ!

*
* *

მთელ ღამეს ვერ დავხუჭე თვალები.

რაღაც უცნაური შრიალი არ მაძინებდა, წყნარი, მცურავი, და კიდევ სიცილი, თავშეკავებული და თან მალხაზი.

და ეს ხმაური—მხიარული, მაგრამ იდუმალი, სულს მიღელვებდა და მოიცავდა რბილის, დოლბანდივით გამჭვირვალე სევდითა.

თვალებით ბნელსა და ფიქრით აღსავსე სიშორეს მივჩერებოდი და ვხედავდი, როგორ კოხტათ უგზავნიდენ ვიღაცას ათრთოლებულ კოცნას კეკლუცი ვარსკვლავები.

მე ნაღველი მაწვა და თან შიშიცა... იქნებ ღამის უცნაურ შრიალის გამო? ან კიდევ მარტოობისაგან?

არ ვიცი!

მთელ ღამეს ვერ დავხუჭე თვალები!

მაგრამ დღეს დილით რიჟრაჟმა გამილიმა ბავშურის, მხიარულის ღიმილით და მე აღარ მეშინიან ღამისა, არც მარტოობის.

ღია სარკმელში გავიხედე და დავინახე მთელი ზღვა იისა, გაუბედავათ და მორცხვათ რომ ამოეყოთ თავი ბალახში.

აი, თურმე რა მირღვევდა ღამის სიმშვიდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჩხიკვაძე

თფილისს

ტინის გულ-მკერდით, აღსასრულის ჯვარზე გაკრული,
სისხლით მოარწყული, გასრესილი, ცრემლით დაზრული,
დედა-თფილისო! რაოდენჯერ იყავ დამწვარი,
მაგრამ მხნედ იდგა შენი რწმენა — შენი ტაძარი!

შენ ძლევით სდუმდი კლდეთა შორის, კლდეთ გარდაქმნილი,
ვერ გაშინებდა მტერი უნდო, მტერი გახრწნილი,
და წარღვნის ზვირთი თუმც უპოვრად თავს გაწყდებოდა,
შენი მიზანი, შენი გული არა ტყდებოდა.

შენ აიტანე ზიზღი, მტრობა ურიცხვ ტომისა,
შენ შეინახე წინსვლის ჟინი, სული ომისა,
შენ ცრემლით ზარდე სასოება და სიყვარული,—
ქართვლის დიდება, მისი მცნება და სიხარული!

და ააფრინე ულოდნელათ შენ არწივები,
და ააფეთქე განახლების შმაგი სხივები,
ზეცას ასმინე ბრძოლის ჭექა, ცეცხლის ყივილი
და მით განკურნე შენი სევდა, შენი ტკივილი!

მაგრამ შენს ცისკარს ბოროტება თვალს ვერ უსწორებს,
სისხლის ნადიმზე მოუწოდებს ისევ ყრუ ჭორებს:
უნდა დასძიგნოს შოთას წმინდა საკურთხეველი,
სისხლით მოსვაროს საქართველოს ტურფა ტყე-ველი

შენ-კი მხნედ დგეხარ, ჩემო ბურჯო, ჩემო თფილისო,
და, შავ ყორნების შავ კლანჭებით თუნდ გაისრისო,—
მაინც იმეფებ! შენი სახე არ გაიხრწნება,
სანამ: სიმართლე, სიყვარული, რწმენა იქნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ წეველი

დახუჭული თვალები

მაგონდება მე კუბო
გუშინ წასვენებული,
თვალს ცრემლებით ვიბუგავ
კაეშანით ვნებული.
ო, რა რიგათ შვენოდა
მკერდი ნაფიქალები,
ოდნავ გამოსჩენოდა
დახუჭული თვალები.
ო, თვალები! თვალები!..
რა მიყვარდა გულითა!
ოდნავ განამკრთალები
სხივით დასუდრულითა.
სიზმარივით მახსოვს დღეს
კუბოში შავ-კავება—
გუშინ სადღაც წაიღეს
ჩემი ტურფა ღვთაება.
საით?—ვერ გამიგია;
სევდის მახრჩობს რკალები
და თვალის წინ მიდგია
დახუჭული თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ჯავახიშვილი

ღრუბლები

თეთრი ვით მთის თოვლი, ნათოვი თეთრ ვარდზე,
თეთრი ვით ქალწულის ქალწული ზმანება—
მიდიან ღრუბლები, მიჰქრიან ლაჟვარდზე,
იქ, სადაც არ კვდება სურვილი და ნება.
მიდიან, დნებიან, ჰქრებიან ლანდებად.
ლხენით მიჰყვებიან სრბოლას გიჟმაჟურსა.
ხან ლურჯს ეხვევიან უცხო თეთრ ვარდებად,
ხან მზის შუქს იჭერენ ცით გამონაჟურსა.
მიდიან საითკენ? რისთვის, ან რა მხარეს?
მიდიან, მიჰქრიან სივრცეში, გრილოში.
ეძებენ ნავთსადგურს, თუ მყუდრო სამარეს
იქ, განგის ტალღებთან, თუ მღვრიე ნილოსში?
ამაყ კავკასიონს ვნებით ეხვევიან
არ ბრწყინავს მყინვარი თეთრად ვით სჩვევია...
სალამოს ანთებულ კოცონზე იწვიან,
და მდუმარ მიწისკენ ჟინჟღილებს ისვრიან.
მიწას წაუკიდეს ცეცხლისა ალები
და მასთან იწვიან, ალისფრად დნებიან...
და სისხლში ჯვარცმულნი და სისხლით მთვრალები
ბინდის სიწყნარეში ჰქრებიან, კვდებიან.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელეტრისტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავ. კლდიაშვილი

გაკულას ღორები *)

სურათი

ის იყო შარაგზით მომავალმა ზენათიმ გზის შესამოკლებლად ღობეზედ გადარება დააპირა და ზედ შესდგა ფეხი, რომ გამწარებით წამოიძახა:

— ღმერთო მომკალი!.. ღმერთო მომკალი! ჩახტა ეზოში და ქაქანით გაენთო ეზოს ყურეში ყოფილ პატარა ბოსტნისაკენ.

— უიმე, უიმე!.. ღმერთო მომკალი!.. პიტია!.. სასიკვდილე პიტია... კიკილო! კიკილო!.. თქვენ მოუკვდით თქვენ დედას, თქვენ!.. პიტია, კიკილო! კი-კილო-ო! უცნაური ხმით გაჰკიოდა და თან მირბოდა ზენათი.

ამ ყვირილზედ დაბალ-ბალკონიან სახლიდან გამოვარდა თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ქალიშვილი, რომელს უკან გამოსდია თმა გაბურძგვნილმა, ფეხშიშველა პერანგის ამარა პატარა ბიჭმა.

— რა ამბავია, დედა, რა? იკითხა ქალიშვილმა.

— რა და თქვენი სიკვდილი!.. თქვენი არ გადარჩენა, შვილო, თქვენი არ გადარჩენა! . თქვენ გოუწყდით თქვენს პატრონს, თქვენ!.. ველარ ხედავთ თქვე გასაწყვეტლებო, რომ ამოგვაგდეს. . რომ ერთიანათ ამოგვაგდეს!?. თქვენ გაგიწყდათ მიწა... მოისპო თქვენი სახელი'.. დაგიდგათ თვალები!.. მიწა დაგეყარათ გასაწყვეტლებს, მიწა!—და ამ წყევლის წარმოთქმაზედ შეჩერებული ზენათი ისევ ბოსტნისაკენ გაიქცა; უკან დეედევნა პიტიაც.

— ჰა ტრუბია! ჰა ტრუბია! აყვირდა პატარა ბიჭიც და ამ ძახილზედ სახლის ყურიდან გამოვარდა შავი, ბანჯგვლიანი ნაგაზი და ესეც ყეფით გავარდა ბოსტნისაკენ.

— ჰა ტრუბია, ჰა, ჰა! ყვიროდა ბავში და თან მისდევდა ძაღლს.

ბოსტანში მყოფმა ორმა, ძალზედ გამხდარმა, ღორმა და ცხვარმა ალბათ

*) ეს სურათი ქვეყნდება შემთხვევით. განახლებულ ხანას ეკაჭიროება ახალი სურათები, ეს კარგათ იცის ავტორმა, მაგრამ ეუთმობს თხოვნას და აქვეყნებს თვის ამ მ რჩენილ ნაშრომაც.

დავ კლდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგათ იცოდნენ რა დღესაც დააყენებდა მათ ტრუბია, გაფაციცებით
რებდნენ პირს პრას, ჭლაკვს, ნიახურს, ოხრახუშს — რაც კი პირს მოხვდებოდა, —
შემდეგ ეცნენ ბოსტანის დაბალ რაგვს, ტრუბიას შიშით გაღონიერებულებმა შეა-
მტვრიეს რაგვის ხმელი წკნელი და გასაქცევათ გამზადებულები სამივე შეუდგა
შელმართს ტრუბია ყეფით დაედევნა უკან, დაეწია ერთს, სწვდა გამხმარ კანჭში;
ღორი აჭყვირდა, წაიქცა და კოტრიალ-კოტრიალით ჩამოგორდა ქვევით; ნაგაზი
ახლა გაეკიდა მეორეს, დაეწია; ამასაც ჩაასო თავისი ბასრი კბილები კანჭში და
ესეც აჭყვირებული წააქცია და კოტრიალით გადმოუშვა ქვევით; დამთხალი ცხვა-
რი კი საცოდავათ ხან იქით მირბოდა, ხან აქეთ, შეშინებული, რომ ძაღლს არ
ჩავარდნოდა საკბილავად ტრუბია კი ღორების წვალებით კმაყოფილდებოდა. და-
ბოლოს ამასაც მოსწყინდა მათი წვალება, გაანება თავი, შესდგა და თავაწეული
მისჩერებოდა კანჭებ დასისხლიანებულ პირუტყვებს აღმართს რომ შეუდგიენ.

ზენათი კი ბოსტანში ჩამდგარი დაუცხრომლად ქაქანობდა და გაჰკიოდა რაც
ხმა ქონდა გულგახეთქილი, რომ ხედავდა ასე შეუბრალებლად მოსრესილს თავის
ნამუშევარს.

— ასე კაცის ამოგდება გაგონილა ქვეყანაზედ?!. თქვენ ამოგივარდათ თქვენი
პატრონი... თქვენ ამოგივარდათ თქვენი პატრონი ძირიან ფესვიანად რავარც
თქვენ ეს ჩემი ბოსტანი ამომიგდეთ! . აოხრდა თქვენი პატრონი რავარც თქვენ
აქაურობა ააოხრეთ! . მოისპო თქვენი პატრონი ისე რავარც ეს ჩემი ნაშრომი
მოსპეთ და გააქრეთ!.. ისე გაქრა თქვენი პატრონი .. გაქრა ქვეყნის პირიდან! .
თქვენი პატრონი დასწყევლა ჩემმა გამჩენმა.. დასწყევლა და მოსპო მამა ზეციერ-
მა! ყვირიდა ზენათი რაც ძალა და ღონე ქონდა, რომ შელმართის წვერზედ წამო-
სკუპებულ ქოხში გაეგონათ მისი გულისწყრომა. რასაკვირველია იქ ესმოდათ მისი
ქაქანი, მისი ლანძღვა, წყევლა, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა და არც არავინ
ჩნდებოდა. ეს კიდევ უფრო აბრაზებდა ბრაზმორეულ ადამიანს და მის ლანძღვა-
გინებას დასასრული არ ეძლეოდა.

— ასე არ შეიძლება, გალაქტიონ, არ შეიძლება, მითქვამს შენთვის! გაალმა-
სებული დაუხვდა ზენათი სამუშევრიდან საღამოს შინ დაბრუნებულ ქმარს.

— არ შეიძლება გეუბნები! რაცხა უნდა იღონო, თვარა ამოგვაგდეს და ეს
არის!.. ამოგვაგდეს ერთიანათ!.. ხმა უნდა ამოიღო! . თუ არა და მითხარი და
აღარ შევაკლავ თავს არც ყანასა და არც ბოსტანს... ყველაფერს მივატოვებ!..
იმისათვის ვეწვალო, რომ ოხერ ბაკულას ღორებს შევაჭამო ჩემი ნაცოდვილარი?!.
ბაკულას ღორების გამოძღომისათვის ვიკლა თავი?! მითხარი, ბატონო, თუ არა-
ფერი გვეშველება, მითხარი და აღარ ვიცოდვილებ! ყველაფერს თავს დავანებებ
თუ ბაკულას ღორების საოხრებლათ უნდა გახდეს ჩემი ნამუშევარი!.. მივატოვებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერს და მოსვენებულათ ვიქნები!.. გულის ხეთქას მაინც გადავრჩები! არა, რატომ, რატომ კუჭგამხმარ ბაკულას ღორებს უნდა შევაჭამო ჩემი ნაცოდვილარი?!. გაუჩუმდი, გაუჩუმდი .. ნუ გაცემ ხმას'..

— ახირებული ხარ ერთი შენც! წყენით მიუგო გალაქტიონმა,— ვინ გოუჩუმდა, მარა იმ ოხერთან რომ არაფერი გამეწყო! პირადაც წავეკიდე, კაცებიც მივუგზავნე, დავემუქრე ასე გიზამ, ისე გიზამთ-ქვა, მარა სინიდისს დაკარგულთან რა გაგივა! დასწყევლა ღმერმა ის დღე როცა მაგ ოხერი იმ ჯაგებში ჩასახლდა!.. რა მოსვენებულათ ვიყავით'..

— დასწყევლა ღმერთმა, დასწყევლა ღმერთმა ვიძახოთ!.. რამ საშვალება უნდა ვიხმაროთ თვარა მარტო დასწყევლა ღმერთმას ძახილით ბევრი გაგიკეთდება .. მე გეტყვი საშველი დაგადგება! . ამით არაფერი გვეშველება, ადამიანო, არა, არა!

— მაცალე, ბატონო, ეგებ რამე ვიღონო.. მაცალე!

— მაცალე, მაცალე—ამას კაი ხანია იძ ხი და საქმე თუ ხდება თვარა საშველი არაფერი გვეძლევა!.. როდემდი უნდა იყვეს ასე? ასე რავა უნდა გადაათელიო კაცმა თავი იმ წუნწკლიანს!. სულ შენი ბრალია, შენი ბრალი'.. თითქო ერიდები იმ გასაწყვეტლებს!..

— ვინ ერიდება, ერთი შენ კიდევ! გაჯავრებით წამოიძახა გალაქტიონმა—ვინ ერიდება?.. რაში უნდა მოვერიდო მითხარი ერთი!?.

— აბა რაა? სამართალი რავა ვერ ვიშოვო თუ კი კაცი მოვინდომებ!

— ჰო, სუდში ვიჩივლო?

— ვიჩივლევ აბა'.. მივათრევ ოხერს და მუდრეგს .. არაფრით არ დავზოგავ'..

— დიახ, სუდში მიათრევ და დაიმედებული იყავი, რომ შენი სიმართლე გაგამარჯვებინებს, დიახ!. ვიცი მე სუდის საქმე!.. უნდა გადაჭყვე საჩივარს და ბოლოს, ვინ იცის, რავა შეგიტრიალებენ ნათელ საქმეს!.. არა, შენ გენაცვალე, თელათ რომ ყველაფერი ამოიხროს, სუდში ფეხს ვერავინ შემადგმევინებს, ვერა!— გადაწყვეტილებით წარმოსთქვა გალაქტიონმა —ვიცი მე სუდის ამბავი!.. არა, საქმეს სხვა გზით უნდა შემოუაროთ! დაატანა მან.

— სადაა მერე ეს სხვა გზა? ცხარობდა ზენათი.

— გეუბნები მაცალეთქვა. . მოვიფიქრებ! . ჯერ ვერ გამოვნახე .. მაცალე და გამოვნახავ!..

— ა ბატონო, გვიცლია და ვნახავთ'.. ვნახავთ! მარა ეს მითქვამს შენთვის, გალაქტიონ, თუ ასე გაგრძელდა, მე ხელს აღარაფერ მოვკიდებ იცოდე!.. რაზედ ვეწვალო .. რისთვის ვაკლა ჩემი თავი! . ბაკულას ღორების საძღომის მოსაყვანათ ვიშრომო?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაცხას ვიღონებ, შე ქალო! ვიღონებ, ოღონდ მაცალე!.. საიმედო გზას გამოვნახავ და გადავრჩები მაგ დაწყეველილ მეზობელსაც და შენს წყრომასაც!— ღიმილით დაათავა გალაქტიონმა,—კი, შენ ნუ მომიკვდები!

რამოდენიმე დღის შემდეგ გალაქტიონი დაბა №-ს გაემგზავრა თავის ცოლის ნათესავთან, ალექსანდრე შარაქაძესთან, რომელიც თარჯიმნათ მსახურებდა მაზრის სამართველოში.

დილა იყო, როცა იგი ჩავიდა დაბაში და რადგან ალექსანდრე სახლში აღარ დაუხვდა, სამართველოში მივიდა მასთან.

— ოჰ, გალაქტიონს გაუმარჯოს! გაუმარჯოს გალაქტიონს! მხიარულად შეეგება ყმაწვილი კაცი გალაქტიონს.—საიდან? რა ამბავია, რამ გაგსარჯა?.. ხომ მშვიდობით, კარგათ!..

— გმადლობთ შენი ჭირიმე!.. ვართ ღვთით ერთგვარათ, თქვენგან დავიწყებული, დაკარგული!.. ვართ რავარც მოგეხსენება საწყალი კაცის ამბავი! მიუგო თავის შებრალებით გალაქტიონმა.

— ზენათი ხომ კარგათა?..

— გმადლობ!.. არის ისე

— რა ხანია არ მინახავს!

— მერე ასე უნდა!.. ნამეტანი დაგვივიწყე, შაშა ჩემო!.. სულ აღარ გაგვიხსენე... მართალია პატარა კაცები ვართ, მარა რაც რომ იყოს, რაც ულირსნი გყავდეთ, მაინც ნათესავები გყავართ... საწყლები ვართ, მარა ამიტომ კი არ უნდა მოგვიძულოთ თქვენისთანებმა—უფრო უნდა შეგვიბრალოთ და შეგვიწყალოთ ხოლმე!

— ღმერთმა ნუ დაგივიწყოსთ, რას ამბობ შე კაცო!.. აბა კარგათ ხართ?

— გახლავართ!.. ვებრძვით საწყლები ცხოვრებას რაც გაგვეწყობა, მარა რაი, მაინც საწყლათა ვართ და ვიქნებით ჩვენს დღეში!

— რამ გაგასაწყლათ, შე კაი კაცო! მხიარულად მიაძახა ალექსანდრემ და ბეჭზედ ხელი დაადო.

— საწყლები ვართ, შენი ჭირი შემეყაროს, უსაშვალონი აბა რა ვართ! ვისაც არ უნდა ჩვენ გვაწუხებს და ჩვენ გვჯობნის!.. შემფარე არავინ გვყავს! ნაღვლიანათ წარმოსთქვა გალაქტიონმა.

— ვილაცას შეუწუხებიხარ, გალაქტიონ, გეტყობა!.. და ძალიანაც შეუწუხებიხარ, გეტყობა!

— სწორედ მასეა და იმიტომაც მოგაშურე შენი ჭირიმე!.. აგერ მობძანდი და მოგახსენებ ყველაფერს! გაიწვია ოთახის თავისუფალ ყურეში ალექსანდრე.

— მართალია უჩემოთაც ბევრი მაწუხებლები გყავს, შაშა,—დაიწყო გალაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიონმა, როცა ორივე დასხდნენ, ისე რომ მათ მუსაიფს ვერავინ შეუშლიდა—მარა ჩვენთვისაც უნდა შეიწუხო თავი... ღმერთი მოიმადლიერე, ყურადღება მოგვაქციე .. შეგვეწიე' არც ისე შორებლები ვართ, შენი ჭირი შემეყაროს, რომ ჩვენი გასაჭირი არაფრათ მიიმჩნიო! . მე თუ არა, შენი ნათესავი ქალი, შენი სისხლ-ხორცი მაინც შეიბრალე!.. ერთობ შეწუხებულია, შაშა ჩემო, მეტის-მეტად შეწუხებულია და იმიტომ მოგაშურე!

— თუ კი რამე შემიძლია!..

— კი შეგიძლია!.. რავა არ შეგიძლია!.. შენ თუ არ შეგიძლია აბა ვილას შეუძლია!

— თუ კი მასეა, კი ბატონო... ვინ ოხერი!.. რაშია საქმე?

— სულ უბრალო საქმე შენთვის!

— ჰო!

— ერთი კაცი უნდა შემიშინო!

— რავა?!. კაცი შეგიშინო?! შეეკითხა გაოცებული ალექსანდრე.

— დიახ!.. ერთი ოხერი, ყოვლად გაფუჭებული მეზობელი გამიჩნდა, ის უნდა შემიშინო!

— რა რიგათ, რანაირათ, გალაქტიონ?.. შეეშინდება ჩემი?.. სიცინით ეკითხებოდა ალექსანდრე.

— კი შეეშინდება! და უნდა შემიშინო, შაშა!.. შენთვის ეს არაფერი იქნება, ჩვენთვის კი დიდი რამე! ერთი დღე დაკარგო ჩვენთვის—რა უნდა იყვეს შენთვის .. ისეც ისე, რომ იმ დღეს ტკბილად გაატარებ და ისიამოვნებ!.. მართალია ჩვენისთანა საწყალი ნათესავი მაწუხებელია, ჩვენზედ უკეთესებს სცნობ და მათთან ხარ გართული, მარა ღმერთი შეგეწევა ჩვენისთანა საწყალს და გაჭირვებულს რომ გადმოხედავთ ხანდისხან!.. ჰო და იმას გთხოვ მიკადრო შენი ღარიბი ნათესავი, მეწვიო ჩემს ღარიბ ოჯახში... ერთი დღე გაატარო ჩემს ქოხში!. შენთვის ეს არაფერი იქნება, ჩემთვის კი დიდათ ელირება, დიდათ დაფასდება. კუთხე მეზობელი გეიგებს, რომ სულ უპატრონო არ ვყოფილვართ... რომ ჩვენც გვყოლია შემწე და მფარველი. რათ ელირება ეს ჩვენთვის, ჩემო შაშა!?. ერთხელ მაინც ხომ უნდა ნახო შენი ნათესავი... მოხვალ, ისიამოვნებ, დროს გაატარებ და წამობრძანდები... მე კი ამით ძალიან შემეწევი!

— კი ბატონო, დიდი სიამოვნებით!.. თუ ამაზედ მეტი არაფერია, ეს რა! სიცინით თქვა ალექსანდრემ—სულ ადვილი საქმე ყოფილა!

— შენ არ მომიკვდე სხვა არაფერი... მარა შენთან ერთათ თქვენი სეკრეტარიც მაწვიე, შაშა!

— ჩვენი სეკრეტარი?!. გაიკვირვა ალექსანდრემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სეკრეტარი!.. უსათუოთ შენთან ერთათ უნდა მაწვიო!

— რუსია, კაკო! ქართული ინჩი-ბინჩი არ იცის!

— უსათუოთ უნდა მაწვიო! მუდარით მიმართა გალაქტიონმა.—შენთან ისიც დეინახოს ჩემმა კუთხე-მეზობელმა ჩემს ეზო-ნიადაგზედ!.. გეფიცებით სიამოვნების მეტი არა შეგხვდებათ რა... სადილს მიირთმევთ, ისიამოვნებთ და წამობძანდებით და ეს იქნება'

— კი მარა აქ რაღაც ამბავია! ველარ მოითმინა და ღიმილით უთხრა ალექსანდრემ.— შენ რაღაც სხვა განძრახვა გაქვს!

— არ მოგიკვდეს ჩემი თავი, უფრო დამიჯერებ, არაფერი სხვა გარდა იმისა, რომ თქვენისთანა თვალსაჩინო პირებით თავი დევიფარო მაწუხებელ მეზობლისაგან!.. თქვენისთანა პირებს რომ ჩემს ქოხში დაგინახავენ იტყვიან, რომ სულ უპატრონოთ არ ვყოფილვართ და მტერი შეშინდება, მოგვერიდება, ისე თამამად ველარ მოგვბედავს!..

-- ეს ჩვენი შესაშინებელი კაცი ვინ არი, გამაგებინე ერთი! ეგებ ისეთი იყოს, რომ თავათ შეგვაშინოს იმის მაგივრათ, რომ ჩვენ შევაშინოთ! იცინოდა ალექსანდრე.

— კაცმა რომ შეხედოს მართლადაც შეეშინდება, ისეთი შეხედულობისაა!

— ვინაა, რა კაცია, გალაქტიონ!

— მეზობელია ჩემი .. ჩემი მოგვარე!.. ვიყავი ამდენი ხანი, შენ გენაცვალე, ჩემს პაწია კარმიდამოზედ მოსვენებით .. ახლო არავინ მყავდა მეზობლათ... არავის ვაწუხებდი, არავინ მაწუხებდა! ვცხოვრობდი ჩემთვის... მიხაროდა!.. მოგეხსენება რა სარიდალია ახლო მეზობელი და თუ ნამუსს დაშორებული გაგიჩნდა, ხომ გაგიმწარდება ადამიანს სიცოცხლე და ეს არი!.. ასეთი უბედურება მეწია მეც!.. გამიჩნდა მეზობელი ყოვლად გაფუჭებული, სინიდის დაკარგული ადამიანი... ამიკლო, შაშა ჩემო... ამიკლო. აღარა ვართ მისგან!

— ვინაა?

— ისევ ჩემი მოგვარე!.. ამას წინად გამოეყო ძმას... წამოიღო რაღაც ქოხი რგებოდა, ჩადგა ჩემს ზევით ჯაგებში, ისეთ ადგილას რავა იფიქრებდი თუ იქ როდისმე ადამიანი დასახლდებოდა... ეგ რასაკვირველია მისი საქმეა, ღმერთმა მშვიდობა მისცეს, ჯანდაბაში წასულა, კისერი უტეხია, უარესს ადგილასაც გადაკარგულა, მე არ შევწუხდები ამისთვის —მარა მისმა მეზობლობამ ამომაგდო კაცი, ნამეტან ზარალს მაყენებს, შაშა!.. არა აქვს საჭმელი, არა აქვს სასმელი, ყრიან საცოდავათ... ოჯახში, როგორ იცი, ყავს წვრილფეხი, მარა რომ არ ყოლებოდა ერჩია... თავისათვის საჭმელი რომ არა აქვს... პირუტყვს რა რიგათ შემოუაროს!.. უყრია მშიერი, შეწუხებული, შიმშილისაგან გამწარებული... ყავს დამწყვრეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს მშიერი პირუტყვი კუჭი რომ ეეწვისთ ხოლმე ისე ჭყვირდებიან და წკნარავენ, რომ იქ დაბლა ჩვენ ვიწვით მათი საცოდაობით ისეთი ხმა მოდის!.. გული შეგიწუხდება ადამიანს?.. მარა ეს რაა, უბედურება ის არის ამ შიმშილისაგან გამწარებულებს რომ გამოუშვებენ სამწყროვიდან... მაშინ არი ჩვენი შეწუხება... თავის მახლობლად რას ნახვენ, ეკლისა და ბარძგების მეტი არაფერია... დეეშვებიან ჩვენსკენ... ეზოს ყურეში პაწია გვარიანი ბოსტანი გვაქვს... ზენათის ნაკეთებია.. მოაშურებენ პირდაპირ აქეთკენ უსათუოდ! მოვარდებიან და ერთი თვალის დახამხამებაში სულ ერთიან გადაჭამენ, გადასისნიან, აღარაფერს დატოვებენ! კეტი რომ უბრაგუნო ვერ მოაშორებ ისეთი რაღაც დაწყეველილებია — ალბათ შიმშილისაგან რომ გამწარებული არიან. ძაღლი მყავს ბედათ იმისთანა, რომ სისხლით შეღებავს ხოლმე და იმისი შიში აქვთ კიდევ, თვარა ჩვენი საშველი არაფრით იქნებოდა!.. ვეხვეწე, ვემუდარე ნუ ამომაგდებთქვა, ჩამომაშორე ეს შენი ღორები და ცხვრებითქვა, კაცებიც მივუგზავნე, ეკლესიაზედ ხალხში შევჩივლე, მარა არ იქმნა, არაფერი არ გამივიდა სუდში ვერ წეველი საჩივლელად .. მეშინია! ჯერ საქმეს დასასრული არ მიეცემა, მერე მოწმეების თრევა, მათი ჭმევა-სმევა, ხარჯი, გაცთენა და ბოლოს შეიძლება საქმე ისე შემოგიტრიალონ, რომ ბრალი მე დამდვან, რომ პატარა ბოსტანი მქონებია და საკმარისათ ვერ ძღებიან შიგ იმ ჩემი მეზობლის ღორები!

ალექსანდრემ ამაზედ გულიანად გადიხარხარა

— კი, ადვილათ შესაძლებელია!.. სუდში სწორედ ვერ შევალ.. ცეცხლივით მეშინია, ამიტომ მოგატანე ახლა შენ .. მეტი გზა არ მაქვს! სხვანაირათ უნდა შემოვუარო საქმეს. თქვენი ერთი ფეხის დაბაკუნება ათას წილად მირჩევნია სასამართლოში თრევას და წოწიალს!.. ერთს თვალებს გადმოუბრიალებთ, ხმა მაღლა შესძახებთ ისე რომ კანკალს დააწყებინებთ ქე რომ იცით და საქმეც მოგვარდება!.. ჰო და ამიტომ გთხოვთ, რომ თქვენებურათ შემიშინოთ ის ჩემი მაწუხებელი!

— კი მარა რა რიგათ შევაშინოთ, მაინც?.. უჩივი და დავიბაროთ, თუ როგორ? იცინოდა ალექსანდრე.

— არა შენი ჭირიმე, არა!.. მაგდენზედ რავა გაგრჯით!.. თქვენ ოღონდ მობრძანდით ჩემსას, სადილი მიირთვით — დაგინახონ ჩემსას, დაგინახონ რომ თქვენისთანა კეთილები მყავს მფარველათ და სხვა არაფერი!

— შეშინდება მერე ამით ის შენი მეზობელი?

— კი შეშინდება!.. რას ბრძანებ — თქვენ დაგინახავსთ და სული კოჭებში არ ჩოუვა?!. რას ბრძანებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა კარგი... რა კი მასეა! სიცილით წამოიძახა ალექსანდრემ,— ეგ სულ იოლი საქმე ყოფილა!

— მომავალი კვირისათვის უნდა დამავალოთ! . გზის ნუ შეგეშინდებათ... შორი არ არის, გზა კარგია... კრეულაზედ ხიდია ჩატეხილი, მარა ახლა ყველგან მშვენიერი ფონია!.. სულ არ შეწუხდებით, სულ!.. სეკრეტარი უსათუოთ უნდა მაწვიო შენს სულს დავენაცვლე... უსათუოთ!

— ა ბატონო, წამობრძანდი .. ვუთხრათ'

გაიარეს სამართველოს რამოდენიმე ოთახი მოსული ხალხით გაჭედილი და შევიდნენ ოთახში, სადაც განიერ მაგიდას უჯდა შუახანის გრძელ-წვერა, თვალებ დაბერილი მოხელე, სამაზრო სამართველოს კანცელარიის უფროსი.

— რა ამბავი? ქართულათ ჰკითხა მან ალექსანდრეს და თვალი გალაქტიონს გადაავლო.

— ვასილ ივანიჩ, ეს გახლავსთ ჩვენებური აზნაური გალაქტიონ ხოსოლია ნი... გთხოვსთ პატივი სცეთ და კვირას ეწვიოთ სადილათ ოჯახში! — რუსულათ უთხრა მას ალექსანდრემ.

ვასილ ივანიჩმა გაკვირვებით მიაშტერდა ალექსანდრეს.

— ჩტო ეტო ზნაჩიტ?!. შეჰკითხა მან.

— გთხოვსთ ეწვიოთ სადილათ, სხვა მეტი არაფერი! მიუგო ალექსანდრემ.

— საიდან!.. მე მაგ თვალითაც არსად მინახავს!.. აქ ხრიკი იქნება რაღაც!.. დაიკარგოს იქით! წაილაპარაკა ვასილ ივანიჩმა და ისევ განაგრძო შეწყვეტილი წერა.

— არაფერი ხრიკი არაა, ვასილ ივანიჩ!.. მაგას უნდა, რომ ჩვენ შევუშინოთ ერთი მისი მაწუხებელი მეზობელი!

— შევუშინოთ?!. გაოცდა სეკრეტარი.

— ჰო! სიცილით უთხრა ალექსანდრემ.

— მერე მე რა საბრთხობელა მნახა?!. რას მიედებ-მოედებით! წამოიძახა მან.

გალაქტიონი შიშმა შეიპყრო: ეს კაცი ისე ლაპარაკობდა, რომ უარს ამბობდა ეტყობოდა. მაგრამ ალექსანდრემ ერთი გადმოხედა მას და მერმე თავის მოქნილი ენით დაწვრილებით მოუყვა ვასილ ივანიჩს გალაქტიონის ამბავი იმ გვარათ რომ ეს კიდეც გააცინა გულიანად.

— ნუ ნაპუგაემ ჩორტ ვოზმი, ესლი ტაკ! სიცილით წამოიძახა მან.

გალაქტიონი შეიშმუშნა.

— რაო, შაშა... შენი ჭირიმე? გაუბედავად შეჰკითხა მან ალექსანდრეს.

— თანახმაა... მოდის! მიუგო მან.

— ცაუდით!.. ცაუდით! მხიარულათ უთხრა ვასილ ივანიჩმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებულმა გალაქტიონმა დაბლად თავი დაუკრა მადლობის ნიშნად და გა-ხალისებულმა ისევ ალექსანდრეს მიმართა.

— აბა შაშას ჭირი შემეყაროს!.. კვირას მოგელით უსათუოთ, მიირთმევთ სადილს და წამობძანდებით გინდ იმ საღამოსვე, გინდ დილა ადრიანათ... საქმე არ დაგიბრკოლდებათ! ხვანხვალობდა გალაქტიონი

— ნაპუგაიმ, ნაპუგაიმ! იცინოდა მდივანი,—ოღონდ ღვინო კარგი იქნეს, თორემ ისე ვერ შევაშინებთ!.. ხომ აქვს კარგი ღვინო?

— რაო შენი ჭირიმე, რას ბძანებს? იკითხა გალაქტიონმა.

— ღვინო თუ გაქვს კარგიო?

— იცოცხლეთ!.. საუკეთესო ღვინოს მოგართმევთ!.. რომ არ მქონდეს, ვი-შოვი!.. თქვენისთანა პირებს ჩემს ოჯახში დევინახავ და ცუდ რამეს მოგართმევთ, რავა გეკადრებათ!.. აბა, შაშა, შენი ჭირიმე, კვირას უსათუოთ!..

— კარკი... კარკი! . მოუდის, მოუდის! ბეჭზედ ხელის დარტყმით უთხრა ვა-სილი ივანიჩმა გალაქტიონს, რამაც ის კიდევ უფრო გაახარა.

გალაქტიონმა რამოდენიმეჯერ დაბლა თავი დაუკრა, და სახე განათებული ოთახიდან გამოყვა ალექსანდრეს და ისევ მიმართა მას მუდარით:

— შენს სულს ვენაცვალე, შაშა!.. თუ ჩემი ოჯახის სიკეთე გსურს, ა... ახ-ლა დევინახავ!.. არ გადამითქვათ დანაპირები!.. გამხადე შენი საუკუნო მონა-მოსამსახურეთ!

— კი ბატონო, კი!.. გადაწყვეტილია... კვირას უსათუოთ შენთან ვართ!.. შენსას ვქეიფობთ!

— თუ შეგხვდეთ იმისთანა ვინმე, რომ მხარი დაგიშვენოსთ და თქვენი სასია-მოვნო იყვეს—ნუ დამარიდებთ წამოიყვანეთ ისიც!.. ერთი სიტყვით ისე მოდით, რომ თქვენდა გულისაჯერათ დრო გაატაროთ, მასპინძლობა კი ჩემს კისერზედ იყოს!.. ისეთი დრო უნდა გაგატარებინოთ, რომ სამახსოვნოთ გექნესთ!.. კი!..

— აბა ჰე, აბა ჰე!.. ჩვენც მაგისათვის მოვემზადებით! მხიარულად უთხრა ალექსანდრემ.

— აბა ახლა მე გავსწევ და აქედანვე შევუდგები თავდარიგს, რომ თქვენდა-საკადრისათ დაგიხვდეთ!. ისე დაგიხვდეთ როგორც თქვენისთანა პატიოსან პირებს შეეფერება!.. აბა ასე შაშას ჭირიმე, ასე, შენ გენაცვალე! დასასრული აღარ ეძ-ლეოდა გალაქტიონის მუდარას და ხვეწნას. დაბოლოს როგორც იქმნა გამოემშვი-დობა ყმაწვილ კაცს და სიხარულისაგან აფრენილმა, რომ საქმე სასურველად ეწ-ყობოდა, გასწია შინისაკენ.

სახლში დაბრუნებული გალაქტიონი მეორე დღიდანვე შეუდგა კვირისათვის სტუმრების მიღებისათვის თადარიგს. ოჯახში დილიდან საღამომდი მხოლოდ იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ იყო ლაპარაკი თუ რა მოემზადებინათ და როგორ მოეწყოთ ყოველფერი ისე, რომ სტუმრებს სიამოვნებოდათ. არც გალაქტიონს არც ზენათის არაფერი არ ეშურებოდათ ამათთვის რა კი ამათგან დიდ სიკეთეს გამოელოდნენ. მეზობლობაშიც გაიგეს, რომ ხოსოლიანებისას უცხო სტუმრებს მოელოდნენ კვირისათვის და ყველა დაინტერესდა მათი დანახვით მხოლოდ ბაკულას ღორები და ცხვარი თავისას მაინც არ იშლიდნენ და იმ კვირაში ბარე ორჯელ მოინახულეს მათი საყვარელი ზენათას ბოსტანი.

— მაცალეთ, მალე ყველას გაგიჩენთ მუხლებში კანკალს, მალე! იმუქრებოდა გალაქტიონი. — მალე სულ სხვა გუნებაზედ მეყოლებით ყველა!.. დაგიდგებათ თვალები! დაიმედებულად ამბობდა იგი.

სანატრელი კვირაც გათენდა. ზენათის ყველაფერი დამზადებული ქონდა სტუმრებისათვის: ცხვარი, ინდოური, ქათმები, აუარებელი ხაჭაპურები, გომიჯები, ნაშოვნი იყო მშვენიერი წითელი ღვინო. დილიდანვე მომყოლი კაცი აახლეს დაბაში და კიკილო გზაზედ დააყენეს მოდარაჯეთ, რომ ეცნობებია დროზედ ცხენოსან-სტუმრების მოახლოება.

დღე საგანგებო კარგი გათენდა.

ჯერ ადრიანი იყო კიდევ სტუმრები რომ გალაქტიონის ეზოში ჩამოხტნენ, სადაც მათ დიდის მოწიწებით შეეგებნენ გალაქტიონი და ზენათი თავიანთ შვილებით.

რადგან ჯერ წირვა გამოსული არ იყო და ეკლესიაც ახლოს იყო, სტუმრებმა უარი არა სთქვეს ეკლესიაზედ გასვლაზედ, რამაც დიდათ გაახარა მასპინძელი. გალაქტიონი თავათ ეახლა თავის სტუმრებს და მის სიხარულს სამზღვარი არ ქონებია, როცა ხედავდა თუ რა მოწიწებით სალამს აძლევდა მის სტუმრებს ნაწიროვებს ეკლესიის გალავანში გამოფენილი ხალხი.

— ნუ ჩტო პუგაიუტსია! ღიმილით, ხმადაბლა წაულაპარაკა ვასილ ივანიჩმა ალექსანდრეს.

— ალბათ! სიცინითვე მიუგო მან. — ჩვენი მასპინძელი ერთობ მხიარულადაა.. ალბათ ატყობს! ეშმაკურათ დაატანა მან.

ეკლესიიდან შემატებული კამპანია ჩამოვიდა გალაქტიონისას უცხო სტუმრებს მოემატა ახალგაზრდა მღვდელი და რამოდენიმე გალაქტიონის მეზობელი

რადგან დღეც ხელს უწყობდა, ეზოშიაც ფართოთ შტო-გაშლილი ცაცხვი იყო, გადაწყვიტეს სუფრა ამ ცაცხვის სასიამოვნო ჩრდილში გაეშალათ

ერთ წამში სუფრა აივსო ათასნაირი ნამზადებულობით, ღვინიანი ბოთლებით, პატარ-პატარა ნიტრებით და ჭიქებით. პატარა საზოგადოება მხიარულად შემოუსხდა სუფრას; ამ მხიარულობას ხელს უწყობდა გალაქტიონის გულუხვობა, ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათის თავგადადებული მსახურება და განსაკუთრებით ის მშვენიერი, მართლა და სანაქებო ღვინო, გალაქტიონმა რომ სტუმრებს მიუტანა. სადღეგრძელო სადღეგრძელოზედ ისმებოდა ძალადაუტანებლად, სიამოვნებით, ყველანი უსურვებდნენ მასპინძლებს სიკეთეს, ბედნიერებას, მშვიდობიან ცხოვრებას, მტრის აშორებას და ყოველ მათ შემაწუხებელის დამხობას.

ზენათიც და გალაქტიონიც სიხარულისაგან, რომ ასეთი შნოიანი ნადიმი ქონდათ, ცაში დაფრინავდნენ, სიხარულმა უფრო იმატა, როცა მეტის მეტად გამხიარულებულმა ვასილ ივანიჩმა, რომელიც უპრაგონოთ სცლიდა სტაქანს სტაქანზედ, ზენათისთან, თუმცა ბანცალით, მაგრამ მაინც ითამაშა ლეკური და შემდეგ ჩააცივდა მის გვერდით მჯდომ მოძღვარს და საშველი არ მისცა სანამ ზეზე არ წამოაგდო ლეკურის სათამაშოთ.

— პლიაში პოპინა, ჩორტ ტებია პობერი! ნუ! იძახოდა იგი და ამასთანავე მუშტებს ურტყამდა კისერში მის მეორე გვერდით მჯდომარე ალექსანდრეს, ხან გულში იკრავდა და უშვერი სიტყვებით უთავაზდებოდა. მღვდელმა შემოიკრა თავისი ანაფორის კალთები და ერთი ორი ჩამოუარა. საერთო სიცილს და მხიარულებას დასასრული არ ქონდა. მადლიერმა გალაქტიონმა მადლობის ნიშნათ ხელზედ ემთხვია მოძღვარს, მერმე გადაეხვია ალექსანდრეს და გულმხურვალედ გადაკოცნა.

სწორედ ამ დროს მოისმა ტრუბიას გამწარებული ყეფა. ზენათი, რომელიც ალექსანდრეს ფეხთით იყო მოფთხნილი და ესიყვარულებოდა მას, ამის გაგონებაზედ წამოვარდა ზეზე და ბოსტნისაკენ გადიხედა; აქეთკენ გავარდა კიკილო და რადგან ყეფა არ წყნარდებოდა, აქეთკენვე გაიქცა პიტია, რომელს შეშფოთებულმა ზენათიმ გადულაპარაკა:

— პიტია! გადიხედე, შვილო, რა ამბავია!

მაგრამ გადახედვა საჭირო აღარ იყო ამბის გასაგებათ. ცხადი იყო რაც ამბავი იყო ბოსტნიდან ცაცხვისაკენ გიჟურათ მორბოდა ორი ღორი, მათ უკან ორი ცხვარი, მორბოდნენ შურდულივით სადაც სუფრა იყო გაშლილი, უტიფრათ ეცნენ და შევარდნენ სუფრის ქვეშ და თუმცა ყოველ მხრიდან რტყმევით და ცემით უთავაზდებოდნენ, მაგრამ თავგამოდებით, უტიფრათ არ იცვლიდნენ ფეხს და ფაცურობდნენ, რომ რაც შეიძლებოდა მეტი რამესათვის მოედვათ ტუჩი. ალბათ საჭმელების სუნმა გააბრუა და თავდავიწყებამდინ მიიყვანა დამშეული ოთხფეხი და აღარ ერიდებოდნენ აღარც ტრუბიას კბილებს, აღარც იმ ჯოხებს, რომელსაც გალაქტიონთან ერთათ სთავაზობდნენ სტუმრებიც.

ამგვარი ამათი საქციელი თან აკვირვებდა ყველას, თან უზომ სიცილს იწვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე იცინოდა ისე გულიანათ, რომ იქაურობას აყრუებდა.

— ა ბატონო, ა!.. შეიძლება ამისთანა ამბავი!?. იძახოდა გამწარებული გალაქტიონი — შეიძლება ამისთანა ამბავი!.. მიშველეთ რამე... ყველას გეხვეწებით დამიხსენით ამ კაცისაგან!.. მეზობელი კი არა ამაოხრებელი მტერია ჩემი!.. მიხსენით ამ არაწმინდისაგან! შესჩიოდა იგი ყველას და უმეტესად ვასილ ივანიჩს და ალექსანდრეს.

ამგვარადვე წიაქობდა ზენათიც. ალექსანდრე კი ისევ ხითხითებდა, ხითხითებდა გულიანად.

— ვასილ ივანიჩ, სვინი, ვასილ ივანიჩ! ხა, ხა, ხა! სვინი, სვინი! ჩასძახოდა იგი ვასილ ივანიჩს.

მაგრამ ამას ამ ქვეყნის აღარაფერი ესმოდა ისე იყო მთვრალი და მხოლოდ ლულლულობდა.

— ნუ ტებია .. სამ სვინია! კჩორტუ!

— მიშველეთ, ერთი ახლა შეუცაცხანოს საკადრისათ... მიშველეთ! ეხვერწებოდა გალაქტიონი ალექსანდრეს.

— რაღას შეუცაცხანებს, ვერ ხედავ შე დალოცვილო, კაცი საიქიოს მიემგზავრება! იცინოდა ალექსანდრე.

— შენ აბა, შენ... მიქენი წყალობა! . თუ ჩემი სიკეთე გსურს დაუფთხე ანგელოზები მაგ უსინიდისოს, მაგ ნამუს დაკარგულს! შაშა, მიშველე! ემუდარებოდა გალაქტიონი.

— გვიშველე შენ სულს დავენაცვლე!.. აღარავართ მაგისაგან... გვიშველე შენი ჰირი შემეყაროს! ევლებოდა თავის ნათესავს ზენათი.

— გამოფხიზლდება აგერ და მაშინ, მაშინ!.. რა ყოფილა, რა ამბავია ეს... მართლა უცნაურობა რამე არაა?!. რა ნახეს ჩემმა თვალებმა შეუჩერებლად ხითხითებდა ალექსანდრე.

ღორები ერთი ვაი ვაგლახით გადადენეს ეზოს გადაღმა. უგრძნობლად მთვრალი ვასილ ივანიჩი იქვე ცაცხვ ქვეშ გაშლილ ნოხზედ დააწვინეს მოწიწებით, იმის იმედით, რომ ტკბილ ძილის შემდეგ გამოფხიზლებული დეიბარებდა ბაკულას და ცოლ-ქმარის გულის საჯეროთ შესტუქსავდა.

მაგრამ როცა საღამოს მან გამოიღვიძა და ალექსანდრეც მოუყვა თუ რა ამბავი დააწიეს გალაქტიონის ეზოში ბაკულას ღორებმა, მან, ბურანში მყოფმა, ხელის გაქნევით წამოიძახა — ანუ იხ კჩორტუ! და წასვლა აიჩქარა და რადგან დაჯინებით მოითხოვდა გამგზავრებას, ცხენებიც მოართვეს და უცხო სტუმრები ისე გამოეთხოვენ მასპინძელს, რომ მათი მაწუხებელი მეზობელი თვალითაც არ დაუნახავთ და სიტყვაც არ გაუციათ მისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ამან ცოტა არ იყოს გული დასწყვიტა ცოლ-ქმარს, მაგრამ ორივე დიდათ კმაყოფილნი იყვნენ, რომ სტუმრებს სანაქებოთ დაუხვდნენ, ასიამოვნეს და იმ იმედით რჩებოდნენ, რომ დღევანდელი დღე თავის გავლენას იქონიებდა წინად დაურიდებელ მეზობელზედ.

ამის გამო, თუ სხვა მიზეზით, მართლადაც ერთ ხანაზედ ზენათის ბოსტანს შელავათი მიეცა, შიგ ბაკულას ღორებს ფეხი აღარ შეუდგამთ, შესწყდა წინანდელი ზენათის ქაქანი, ტრუბიას ყეფა, ლანძღვა, გინება რაც ბოსტნიდან მაღლა სერზედ მცხოვრებთ ეგზავნებოდათ. თითქო სასურველი მშვიდობიანობა ჩამოვარდა, იმედი გამართლებულიყოს და ნახმარ საშვალებას გაეჭრას, ისე გავდა.

ცოლ-ქმარი ხოსოლიანები დიდათ მოხარულნი იყვნენ. მაგრამ სიხარული ხან მოკლე გამოდგა ორიოდე კვირის შემდეგ ღორებმა ისევ განაახლეს თავისი ჩვეულება, ისევ იწყეს ზენათის ბოსტნის აწიოკება და რაც ხანი გადიოდა, თითქო ჯინაზედ, მეტსა და მეტს ზარალს აყენებდნენ, მეტად და მეტად ჯიჯგნიდნენ იქაურობას.

გამწარებულმა გალაქტიონმა თავის მფარველებს მიაშურა.

— რას შვება შენი მეზობლის ღორები? სიცილით კითხა ალექსანდრემ გალაქტიონი რომ დაინახა.—შეშინებულია თუ არა?.. კაცო, რა ღორები ყოლია... რა ჯიშისაა თუ ღმერთი გწამს?!. ხა, ხა, ხა!

— იცოცხლე იმას თავისი მოუვიდა... და აქამდისინ თქვენი წყალობით ერთობ მოსვენებული ვიყავით... მარა ახლა ისევ...

— ჰო!

— ისევ წინანდებურათ დეიწყეს!.. ამომიგდეს ნაოფლარი! ვერასგზით ვერ მოვიშორე! ნამეტან ზარალს მაყენებენ, შაშა ჩემო!

— გადუარა შიშმა აბა! გაიცინა ალექსანდრემ.

— უნდა მიშველოთ, შაშა!.. მარა ისე უნდა შემეწიოთ, რომ სამიდღემჩიოთ ჩამომშორდეს... მაგისთანას სხვანაირათ უნდა მოექცეთ .. რომ გონება დეებნას!

— აბა კიდევ შევაშინოთ... მარა უფრო მაგრათ!

ამ დროს ოთახში ვასილ ივანიჩიც შემოვიდა.

— ნუ ჩტო,—მიმართა მან გალაქტიონს—ისპუგალის?

— გადუვლია შიშს! რუსულათ მიუგო ალექსანდრემ

— აბა არ შენაგვძლებია შეშინება! გაიცინა ვასილ ივანიჩმა

— ახლა უნდა, რომ სხვანაირათ, უფრო მაგრათ შევაშინოთ!.. უფრო კარგი ღვინით!..

— აბა მაგის მეტი საქმე აღარ გვქონია... მაგის მეზობლები ვაშინოთ! წეილაპარაკა ვასილ ივანიჩმა და გაშორდა ამათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად გულდაწყვეტილი დაბრუნდა გალაქტიონი შინ, რომ არაფრათ მიიმ-ჩნიეს მისი შეწუხება მისმა საიმედო პირებმა.

— აბა ამისათვის გავსწიეთ ამდენი ხარჯი, რომ მარტო შეესვათ, შეეთხვლი-პათ ყველაფერი და არასფერში გამოგვდგომოდნენ?.. წამოიძახა ზენათიმ, როცა გალაქტიონი მოუყვა თუ როგორ შეხვდნენ მას დაბაში. — იმისათვის გაგვაწევიეს ამდენი ხარჯი, რომ ოხერ ბაკულასაგან ვერ დაგვფარონ?!. აბა რაღა შეუძლიაო მაგათთანა ოხრებს!?. გალაქტიონი კიდევ იმედით იყო მათზედ და ორჯელ-სამჯერ კიდევ მოიარა დაბა და ინახულა ვასილ ივანიჩიც და ალექსანდრეც; მაგრამ მის-თვის არავის სცალოდა, მისთვის თავს არავინ იწუხებდა და როგორც ეტყობოდა მისი პურ მარილიც დავიწყებას ეძლეოდა.

ახლა ბაკულასთან ერთათ ამათზედაც გული ჯავრით ევსებოდათ გალაქტიონ-საც და ზენათისაც.

— მოგიკვდეს ჩემი თავი თუ მაგათზედ, მაგ უნამუსოებზედ ჯავრი არ ვიყა-რე! რამე არ დავმართე! გულმოსულად წამოიძახა გალაქტიონმა ერთ დღეს ზენა-თისთან.

— რა უნდა დამართო, ერთი შენ! შეუტია ზენათიმ.

— იმ ჩემ პურ-მარილს წავამწარებ! წავამწარებ ორივეს თუ კაცი ვყოფილ-ვარ!. კაცები, მეგონა, იყვნენ!

— არაფერი ისულელო კიდო... არასფერში გეეხვიო, თუ ღმერთი გწამს!.. კმარა ისიც რაც ჩვენს თავზედაა! უთხრა ზენათიმ.

— ჩემს პურ-მარილს წავამწარებ! დაჯინებით განიმეორა გალაქტიონმა. — კი!

გულნატკენმა გალაქტიონმა უკანასკნელ ხანებში რამოდენიმეჯერ მოიარა და-ბა და ერთ დღეს მაზრის სამართველოშიაც მივიდა ალექსანდრესთან.

— რავა შვიდობით ბძანდები, შაშა? მიმართა გალაქტიონმა მას.

— ვართ, შენი ჭირიმე!

— ბატონი ვასილ ივანიჩი? ხომ კარგათ არის?

— კარგათ არი .. მარა, გალაქტიონ, გირჩევნია ნუ დეენახვები! ღიმილით მიუგო ალექსანდრემ.

— რატომ შენი ჭირიმე?.. საწყენი ჩემგან რა შეხვდა?

— შენგან არა პირადათ... მარა შენ გამოისობით კი!

— რავა, რავა შენი ჭირიმე!.. გამაგებინე შენ გენაცვალე! ღმერთო მომკა-ლი! — შეწუხდა გალაქტიონი. — გამაგებინე შენ გენაცვალე... რა იყო?.. რის თაო-ბაზედ?..

— რის თაობაზედ და შენსას რომ ვიყავით, ვილაცას დანოსი მოუწერია მაზ-რის უფროსისათვის... უწერია უცნაურათ თუ როგორ დავთვერით, ნამეტურ ვა-

ტფილისი სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილ ივანიჩი, როგორ დაგვერია ღორები, ევირიეთ ღორებში... რომ მთელი სოფლის სასაცილო გავხდით ვითომ .. რომ უგრძნობელი ჩამოათრიეს სახლში, რა ვიცი რამდენი რამე ამისთანები .. ერთი სიტყვით რაც იყო რაც არა. . ათასი სისაძაგლე, გადარეული იყო მაზრის უფროსი, დეიბარა ვასილ ივანიჩი და ისეთი დღე დააყენა რომ შენი მოწონებული... სამსახურიდან დათხოვას დეემუქრა თუ კიდევ ამგვარი რამე განმეორდებაო! აბა!

— ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი! გულში მუშტის ცემით ამბობდა გალაქტიონი.

— ჰო და ეს მოხდა შენი მეზობლის შეშინებისათვის! მარა ის კი არ შეგვიშინებია, ჩვენ შეგვაშინეს უფრო, შენ გენაცვალე! სიცილით თქვა ალექსანდრემ.— სამსახურიდან კაცი დაგითხოვონ, ეხუმრები შენ?!.

— ღმერთო მომკალი! სწუხდა გალაქტიონი—რა ხალხი ვართ, რა ხალხი ვართ?!. ყველგან შური!.. ახლა რაი და ამისთანა კეთილები გოუჩნდაო და აღარაფერს ერიდებიან, რომ თქვენი თავი დამიკარგონ!.. ჰმ! რა უნდა ქნა კაცმა, რაობით უნდა იცხოვრო?! ვიცი ვისიც ნამოქმედარია ეს საქმე!.. რაობით დაუმტკიცებ თვარა რაღა ლაპარაკი უნდა, რომ იმ ვაჟბატონის, ჩემი მეზობლის, ბაკულის ეშმაკობაა... რა ლაპარაკი უნდა! მეტი ვინ იზამდა... ვის რა ენაღვლებოდა თქვენ მყოლებოდით! ქვეყანაზედ მეორე არ მოიძებნება იმდაგვარი ყოვლად წამხდარი, გაფუჭებული, ზნე დაცემული ადამიანი! თავს დავსდებ თუ ეს მისი შტუკა არ არის!.. რაი და ჩემს ჯინაზედ ვითომ!.. ღმერთო მომკალი, თქვენ რატომ შეგვხდათ ჩემი გულისათვის ასეთი უსიამოვნობა, თვარა ის რაც კაცია კი ვიცი!.. შაშა, ვნახავ ერთი ვასილ ივანიჩს!

— რათ გინდა?

— ბოდიშს მაინც მოვიხთი რომ ჩემი გულისათვის ასეთი უსიამოვნობა შეუხდერებიათ!

— აჰ! თავი დაანებე! ის ისეთი გაჯავრებულია, რომ ყველას ჩვენებურს უშვერი სიტყვით იხსენიებს!.. შენც უცნაურს რაცხას გეტყვის, ტყვილა გაალანძღვინებ თავს!.. ამ ერთ ხანაზედ მაინც ეერიდე! ურჩია ალექსანდრემ.

— ღმერთო მომკალი! შეწუხებით, იმეორებდა გალაქტიონი,—ღმერთო მომკალი!.. რა ვქნა!.. მომსპო იმ კაცმა ყოველნაირათ და ეს არის!.. ნეტავი კაცი მაინც იყოს!

ამ დროს ოთახში ვასილ ივანიჩიც შემოვიდა ქაღალდებით ხელში და რაღაც საქმე მოსთხოვა ალექსანდრეს. გალაქტიონმა მოწიწებით თავი დაბლა დაუკრა, მაგრამ მას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და როცა მიუხედავად ამისა გალაქტიონმა მაინც მშვიდობა და კარგათ ყოფნა უსურვა, მან წარბებ-შეკვრით წაულაპარაკა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ ვას ვსეხ კჩორტუ!.. და რაკი მოთხოვილი საქმეც მიიღო ოთახიდან გავიდა.

გალაქტიონმა მას თვალი გააყოლა და შემდეგ ისევ ალექსანდრეს მიმართა:

— შაშა, ოხერი კაცის გულისათვის ნუ გამრისხავთ თქვენი ჭირიმე!.. ყოველგვარათ ნუ დააჯაბნიებთ ჩემს თავს, ჩემს ოჯახს იმ არაწმინდას!.. ამომიგდო, ამომიგდო ნამუშევარი, მადლობა ღმერთს ქონდეს, გოუძლებთ კიდევ, მარა იმ წყეულის წყალობით თქვენისთანა კეთილები რავა უნდა მეკარგებოდეს!.. თქვენი იმედით ვიყავი გალონიერებული და მედგა სული!.. ნუ გამიმეტებთ, შაშა, ნუ დამღუპავთ, ნუ გამაგდებთ განზედ უპატრონოთ!.. გაფიცებთ ყველაფერს!

და ამას ისეთ კილოზედ ეუბნებოდა გალაქტიონი, რომ ალექსანდრესაც კი შეეცოდა იგი და არწმუნებდა, რომ თავის მხიარული სიტყვით ანუგეშებდა, რომ იგი კვლავაც მისი შემწე და დამხმარე იქნებოდა სადაც კი გაუვიდოდა.

საღამოს შინ დაბრუნებული გალაქტიონი კი სიამოვნებით ეუბნებოდა ზენათის.

— იცოცხლე ორთავეს სიმწრის დღე მიჰყენებიათ!.. კი!.. ის რუსი კიღამ სამსახურიდანაც დაუთხოვიათ... გამშრალია, ხმას არ იღებს... იმ შენ ნათესავსაც ეტყობა კარგათ მოხვედრია... არ ამხელს თელათ თუ არა! იცოცხლე!.. ამით მაინც ვიჯერე გული!.. არ შეარგოთ ჩემი პურ-მარილი ჩემმა გამჩენმა!.. ხომ წავამწარე!..

— არ გაგიგონ, შე უბედურო, თვარა წამწარებას მაშინ იტყვი შენ! უთხრა ზენათიმ.

— გამიგონ, აბა?!. იმათმა სიცოცხლემ? საიდან გამიგებენ? იმის დამწერი ამ ნიადაგზედ აღარ არის—ისეთი კაცი ვიშოვე!.. ნეტავი მეტი რამე შეიძლებოდეს მე ისენი არ დავზოგო და ვერც გამიგებდნენ ვერაფერს!.. ოხრები, ქვეყნის მცარცველები, თავის თავის მეტი არავინ ახსოვთ, არავის ჯავრი აქვთ! დასწყევლა ღმერთმა ყველა, არავისგან საშველი არ არის! ყველა გამღლეტია, ყველა მცარცველია!—გამწარებით ამბობდა გალაქტიონი.—ამაზედ ხომ ვიყარე გულის ჯავრი... მოუხდებათ!.. ერთ დღესაც გაწყვეტილან ყველა ვისაც არ ვებრალებით! ყველა ერთ დღესაც გაწყვეტილან!

1912 წ. ქ ქუთაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. მჭედლიშვილი

მეოცნებე გოგი

გოგის ავტობიოგრაფია

შინ რო მივედი, მაშინ მომაგონდა, რო მელანიამ დილით ოთახის ქირა მთხოვა, რომ ფულის სასესხებლად წავედი. ამდროს შემოვიდა კიდევ ჩემთან მელანია მოწყენილი სახითა და მითხრა:

— იცი, გოგი, საზღვარ გარედ მივდივარ.—გამიკვირდა: მეგონა ოთახის ქირასა მთხოვს მეთქი და იმან კი თავის დანანება დამიწყო, საზღვარ გარედ მივდივარო.

არ ვიცოდი რათ მანანებდა თავს საზღვარ გარედ წასვლით?

— მაშ თქვენ არა გწყინთ, რომ საზღვარ გარედ მივდივარ? მითხრა სიჩუმის შემდეგ.

მხოლოდ დავფიქრდი და მერე მივხვდი, ალბად იმ ვიღაც მდიდარ სტუდენტს მიჰყავს სადმე მეთქი და ვკითხე დაცინვის კილოთი:

— რომელ საზღვარ გარეთა ბრძანებთ, ქალბატონო? თუ ჩვენი სახელმწიფოს საზღვარ გარედ, იგი ეხლა ჩაკეტილია მსოფლიო ომის გამო, ხოლო თუ ამ ქალაქის საზღვარ გარედ,—შესაძლებელია.

— დიახ, ამ ქალაქის საზღვარ გარედ, სთქვა ღიმილით: ჰოო და არ გედარდება, რო მივდივარ? თანაც მიჩვენა სამგზავრო ყუთები.

დამენანა მართლა. დავღონდი.

მერე ისევ მითხრა:

— გოგი, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან.

— ბრძანეთ.

— ჩემს ვასიკას ყური უგდეთ.

— ეგ მის ძიძას მოახსენეთ, მარინეტას! მიუგე მკაცრად.

დიასახლისი სამზარეულოში შევიდა, გამოეთხოვა მარინეტას, აგნესას, იქ მცხოვრებ სტუდენტებს, მე, შემდეგ მძინარე ვასიკას პირსაჯვარი გადასწერა და წავიდა. ხოლო მისი ქმარი ალხეინად იყო წამოწოლილი ტახტზე და პაპიროზსა სწევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარებამდე გავაცილე მელანია. კარებთან მომიბრუნდა, მოდი განშორებისას გაკოცებო, მაგრამ ხელით უარი უთხარი და განვშორდით. უფრო დავღონდი და ვერ მივმხვდარიყავ, რა იყო ეს ყველაფერი.

* * *

ამის შემდეგ თითქმის მთელმა თვემ გაიარა. დამავიწყდა ყველაფერი. უნდა გადავსულიყავ ლალის ფიქრებში, რომ უეცრივ ქალაქის უმთავრეს ქუჩაზე თვალი მოვკარ მელანიას, რომელიც იმ სტუდენტს მისდევდა, „საზღვარ-გარედ“ რომ წაიყვანა.

სახლში რო მივედი, ისიც უკან მომყვა და თავისი ვასიკა ნახა. ვასიკას არც გაეხარდა დედის ნახვა, არც ეწყინა.

ყველანი გვნახა და ისევ მალე წავიდა.

მერე ქმართან მოვიდა სტუმრად.

მერე მოუხშირა ქმართან სტუმრობას და რამდენიმეჯერ ღამეც დარჩა მასთან. ბოლოს სულ გადმოიბარგა ქმართან. ქმარი კი ისევ ალხეინად იყო წამოწოლილი ტახტზე და აბოლებდა პაპიროზს.

სულ როცა გადმოიბარგა ქმართან და ისევ ჩემი დიასახლისი გახდა, შემოვიდა ჩემს ოთახში და მკითხა:

— ჩემ ქმარს ხომ არაფერი უწყენინებია თქვენთვის?

— რომელ ქმარს? მიუგე დაცინვით: თქვენ იმდენი ქმრები გყავთ, რომ ანგარიში ამერევა, თუ სრული გვარი და სახელი არ მითხარით იმისი, რომელზედაც მელაპარაკებით მეთქი.

კიდევ რაღაცა უნდა მეთქვა, მაგრამ ამ დროს სრულიად მოულოდნელად შემოვიდა სტეფანე; პროპორშჩიკების შკოლიდან დათხოვილიყო ერთი დღეღამით. ერთმანეთის ნახვა ძალიან გაგვეხარდა და მაშინვე წავედით ძველებურად სახეტიალოდ.

ბევრი ვიხეტიალეთ. მთელი ქალაქის ქუჩები შემოვიარეთ და რამდენიმეგან აყალ-მაყალიც მოვახდინეთ. ქუჩის მცველი გამოგვეკიდა და გავექეცით ღამე გვიწყობდა ხელს, თუმცა ქუჩის მცველი თავს არ გვანებებდა, ალბად იმ მოსაზრებით, რომ ჩვენის დატუსაღებით რაიმე წარმატებას გამოელოდა მთავრობისაგან. ვიწრო და ბნელ ქუჩაში შეუხვიეთ, ისიც უკან მოგვყვა; მაშინ მიუბრუნდით, ბნელაში ერთი კარგა ჩავჩეჩქვეთ და ისევ გავიქეცით. რომ ქუჩაში ხალხის ყურადღება არ მიგვექცია, უცაბედათ რომელიღაც კაფეში შევცვივდით, მაგრამ, რადგანაც სტეფანე იუნკერი იყო და კაფეში ყოფნის ნება არა ჰქონდა, უკანვე გამოვცვივდით. წინ ისევ ქუჩის მცველი შეგვხვდა. კიდევ გავიქეცით. ამ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არეულ ეტლებში დავინახე, ვიღაცამ შეანელავა ავტომობილი, რომელშიაც ელექტრონზე გავარჩიე ჩვენი დიასახლისი; ვიღაც ბაბორიან კაცს ეჯდა გვერდით. ავტომობილს წინ გადაუდექით, შევაჩერეთ, ზედ შევხტით და შევეხვეწე დიასახლისს, ჩქარა გაგვაქციე, ისევ მალე ჩამოვხტებით, საჭიროა-მეთქი. აქაც აყალმაყალი გამოვიდა, მაგრამ ავტომობილმა გაგვაქროლა. ქალაქის ერთ განაპირა ქუჩაში ჩამოვხტით და მელანიას ღმერთსა ვლოცავდით.

— აქამდე ცუდის თვალით უყურებდი, სტეფანე, მელანიას და ეხლა კი ძალიან დიდი მადლობელი ვარ მისი.

— რა იყო, ბიჭო, შენც ხომ ტელეფონით არ გაგიცნო?

— ვა, განა შენ ეგრე გაგიცნო?!

— ეგრე გამიცნო მაშ!

— აი დიდება შენთვის ღმერთო! გავიქნიე თავი და შემოვკარ ტაში: ეხლა ხომ ნახე, სტეფანე, ვისთან მიდიოდა ავტომობილით? ეგ სულ ორი დღეა, რაც გამოიცვალა, წინად სხვა ჰყვანდა და იმან „საზღვარ გარედაც“ წაიყვანა.

— ჩემ დროს კიდე ვიღაცა მდიდარი სამხედრო პირი ჰყვანდა, სთქვა სტეფანემ.

— კაცო, და განა მაგ ოხერ მდიდრებს არ შეუძლიანთ იშოვნონ ქალი პატიოსანი და უფრო ლამაზიც?

— მელანია ულამაზო არ არის, მაგრამ შენ არ იცი, ჩემო კარგო, საქმე სილამაზეში და პატიოსნებაში კი არ არის, აქ სულ სხვაა საჭირო. მელანიამ რო ერთხელ ქალაქის განაპირა ბაღებში წამიყვანა, იქ ისეთ ხელოვნურ მიმოხვრას აკეთებდა ხვევნა-კოცნის დროსა, რომ მასთან ერთი წუთით ყოფნა, სხვასთან შედარებით მთელ სიცოცხლესა სჯობდა. ხვევნას, კოცნას, ალერსს და, საზოგადოთ, სქესობრივ ურთი-ერთობას, გარყვნილებას რომ ეძახიან ზოგიერთები, თავისი შკოლა აქვს. რის მაქნისია, თუ ქალი, მზეთ-უნახავიც რომ იყოს, მონაწილეობას არ მიიღებს კაცის ვნებიან ხვევნა-კოცნაში? ამ მხრივ მელანია უმაღლესი ხელოვანია და იმისთვისაც ეტანებიან ყველანი.

— მერე ეგეთი ხელოვანი და ლამაზი ქალი ესეთ უფერულ კაცებს როგორ დასდევს, როგორიც ეგ იყო, ავტომობილში რომ ეჯდა? წინანდელები კიდევ სასაფლაოდან მოსულებსა ჰგვანდნენ.

— ეგ სულ ერთია, ფულები ხომ ბევრი აქვთ?

თავი გავიქნიე და გავჩუმდი.

სტეფანეც გაჩუმდა.

ღამის ორ საათზე მივედით სახლში.

ქურდულად შევედით ოთახში, რომ არავინ გაგვეღვიძებინა, ჩავწექით და გემრიელად ჩაგვეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღილით სტეფანეზე ადრე გამომეღვიძა და დაუძახე:

— სტეფანე!

— ჰმ...

— გძინავს?

— ჰო.

— რასა ჰხედავ სიზმარში?

— კაზარმას.

— ვინ არიან შიგ?

— თოფები, ხიშტები, ზარბაზნები და ჭუჭყიანი ჯარის კაცები... ბიჭოს, აბა ნახე რამდენი საათია? სთქვა და წამოჯდა ლოგინში.

— რვა არის.

— ვაიმე, ვაიმე, ჩქარა დაუძახე აგნესას, ჩაი დაგვალევინოს, თორემ დამგვიანებია, თან საჩქაროდ დაიწყო ჩაცმა.

აგნესამ ჩვენს უთქმელად შემოიტანა ჩაი.

— რა ძალიანა ჩქარობ სტეფანე, ძაან გინდა ი კაზარმაში წასვლა?

— ჰმ... ბარემაც არ მინდა, მაგრამ...

— ბიჭოს, თუ არ გინდა, რა მიგარბეინებს!

— აი, მალე შენც წაგიყვანენ და აბა ერთი ვნახოთ, როგორ არ ინდომებ წასვლას! იქნება ისეთი დღე დაგაყენონ, რომ შენი სახელიც დაგავიწყდეს, გვარიც და ლექსების წერაც.

— თუ კი მაგ სიკეთეს მიზამენ და ლექსების წერას დამავიწყებენ, დიდი სიამოვნებით წავალ.

— ეგ ერთად ერთი ღირსება გაქვს და ეგეც რომ დაგავიწყონ, რიღას მაქნისი იქნები? მითხრა სტეფანემ და ამ დროს იმოდენა ლუკმა ჩაიტენა პირში, რომ ძლივას გადაყლაპა. მას მეორე მიაყოლა და ისიც თითქმის ხუთ წუთსა ყლაპა.

— სუმთლად ჩავიფხრიწე ყელი! სთქვა საცოდავის კილოთი.

— კაცო და აქ ჩემს ოთახში არ დაიხრჩო, რამოდენნა ლუკმებსა ჰყლაპავ! მტრის ოჯახში ხომ არა ხარ?

სტეფანემ გაიცინა და მერე ტაში შემოჰკრა:

— აბა ეხლა მშვიდობით, ჩემო გოგი!

ხელი მაგრა ჩამომართო და გამშორდა.

გაიარა ექვსმა კვირამ.

ვის გიმგზავრიათ უდაბნოში, სადაც მხოლოდ ქარი თარეშობს და მტვერსა ჰხვეტს, სადაც გულ დაღადრული, შიშველი კლდეები დაღრეჯითა დგანან თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდილნი ბუნების რისხვისა და წყრომის ქვეშ? ამნაირ მგზავრობასა ჰგვანდა ჩემი ცხოვრება ექვსი კვირის განმავლობაში. არც ლალიზე მიფიქრია, აღარც სხვა შემხვედრია ვინმე და გაუპატრონოვებულ კერასა ჰგვანდა ჩემი გული ..

ლექციაზე ვიყავი. პროფესორი დიდის-დიდებითა კითხულობდა ლიტერატურაზე ლექციას და, რადგანაც ლიტერატურა ყველასათვის საინტერესოა, ხალხი ბევრი იყო. ღამის თერთმეტის ნახევარზე გათავდა ლექცია აუარებელმა ხალხმა ტაში დაუკრა ლექტორსა და დაიშალა: ზოგმა თავის სრა-სასახლეს მიაშურა, ზოგმა ჯურღმულიან სარდაფს, ზოგმა საროსკიპო ქუჩასა და ზოგმაც მაძებარ პოლიციის განყოფილებას. ყველა წავიდ-წამოვიდა და ისევ მარტო დავრჩი. სახლში წასვლა არ მინდოდა და მოვყე ხეტიალს. ღამის თორმეტი შესრულდა... ის-ის იყო ვახსენე ლალი, რომ თვალი მოკარ ვიღაც მოსეირნე ქალს, რომელიც მდიდრის მოფსიკა ძაღლს ასეირნებდა სუფთა ჰაერზე. ამან წამართვა ლალიზე ფიქრი.

მივედი და ვკითხე იმ ქალს:

— ეს როგორ არის, განა თქვენ ჰყარაულობთ ძაღლს?

— დიახ.

— ჩვენში კი ძაღლები ჰყარაულობენ ადამიანებს. მიკვირს, რო ამ განათლებულ ქვეყანაში ადამიანები ძაღლის როლს ასრულებენ, ძაღლები კი არავისას.

კიდევ ბევრი რამე უნდა მეთქვა, მაგრამ ქუჩის ძაღლებმა მოჰკრეს თვალი სასახლიდან ჩამოყვანილ ძაღლს, წაესივნენ, ასტეხეს ღავღავი და აღარაფერი გაიგებოდა. ზოგი ბოხის ხმით ჰყეფდა, ზოგი წვრილი ხმით და ზოგიც დანჯღრეული ხმით, - თითქო იმ ქუჩის ძაღლების ყეფაში ისმოდა წყრომა: „ბიჭოს, ქუჩაშიაც ამან უნდა ინავარდოსო“ და იწევდნენ მისკენ, თუმცა პირის ხლებას მაინც ვერა ჰბედავდნენ ძიძის შიშით

სასახლის ძაღლმა ამაყად გადაირბინა ქუჩა, ბულვარ-ბულვარ გაიქცა ზევით, რაღაცას დაჰსუნა, გადმოირბინა ისევ და დაბრუნდა ძიძასთან. ძიძასთან რო მივიდა, ქუჩელები უფრო წაესივნენ; ერთი მათგანი ყველაზე მეტადა ცხარობდა და ყველაზე უკან კი იდგა.

სასახლის ძაღლმა მიუალერსა ძიძას, შემდეგ მიუბრუნდა ქუჩელებს და ყველას სათითაოდ დაჰსუნა, იქნებ აღმოჩნდეს ვინმე, გავეარშიყოო. ეს პირდაპირ მასხარად აგდება იყო ქუჩელებისა; ყველამ კუდი ამოიძუა და მიიმალნენ გაწბილებულნი. შემდეგ სასახლის ძაღლს ძიძამ ბჭყვრიალა ჯაჭვი შეაბა და სეირნობით წაიყვანა შინ.

დაფიქრებულმა განვაგრძე გზა.

„ვინ იცის ვფიქრობდი—იქნება ის პატარა ძაღლი ლალისაც არის, რომელიც ასე მიყვარს, რომელზედაც ამდენსა ვფიქრობ, რომელიც ისეთ კეთილ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო მწიგნობრობაში არ არსებულ ლეგენდათ მიმაჩნია? ვინ იცის: ~~ლალის~~ ის ძაღლი მთელ ქვეყანას ურჩევნია! ვინ იცის, ძიძას როგორ გაამწარებს ხოლმე ლალი, როდესაც უნებურად ატკენს რამეს?!. მე კი მიყვარს ლალი, მიყვარს ის ადამიანი, რომელიც ძაღლებისათვის ადამიანის პიროვნებასა ქირაობს .. არა, ლალი ასეთი არ იქნება"!

„აგერა ლალიც! თითქმის ორი თვეა, აღარ მინახავს, როგორც უდაბნოში დაკარგულს ოაზისი. გამოჩნდა იგი, როგორც მწვანე კორდი, სიცოცხლის მჩქეფი წყარო; გაზაფხულის სუფთა ნიავმა დამკრა და გული ამქავდა სიყვარულით; მოვიდა ჩემთან, მხარზე ხელი დამადო და მითხრა": „არა გრცხვენიან, ჩემზე როგორ იფიქრე ეგენი? აი თუ ვტყუი, მოიტა ტუჩებიო". მაგრამ მითხრა შემდეგ: აქ არა, ჭორიანი ადამიანები დაგვინახავენო და შეიფთხრიალა ცაში. მეც ავყე თან. ავცილდით მთვარეს, მზეს, ვარსკვლავებს; თვალი მოვკარ ერთ უზარ-მაზარ ცთომილს, რომელიც ჩვენსკე მოსცურავდა, ლალი ასცდა, ხოლო მე ჩქარა ვერ მოვერიდე და დავეჯახე. ფიქრებიდან გამოვერკვიე და დავინახე ძირს მწოლარე მეეზოვე. ტყავში გახვეული დარბაზის კუთხეში მიკუნჭულიყო, ფეხები ტროტუარზე გამოეშალა და გემრიელადა ხვრინავდა. ფეხი ისე გაეჭიმა, თითქო აბრეშუმის საბანი ჰხურავსო. მიველ, ფეხი წავკარი და უთხარ:

— ადე, გამოიღვიძე!

რასა გდიხარ ამ ყინვაში გარედ? შენ გრძნობა არა გაქვს? შენ რო ძუძუსა სწოვდი, იქიდან რძე არ გამოდიოდა? შენ ადამიანი არა ხარ?

— ადე, გამოიღვიძე!

აბა მიიხედ-მოიხედე: შენს მაღლა, სრა-სასახლეში ბედნიერები გადახვეულან და სტკბებიან სიცოცხლით; ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სიტკბო და სიამოვნება წაიღონ ამ წუთისოფლიდან, სადაც მხოლოდ ორი წუთისთვისა ვართ მოსულები: გაჩენისათვის და სიკვდილისათვის. სასახლეში ძიძებს იჭერენ ძაღლებისათვის, მილიონებსა ჰხარჯავენ მათზე, ღამ-ღამობით ცალკე ოთახში აბრეშუმის ლოგინზე აწვენენ თბილად, შენ კი ამ საშინელ ყინვაში ქუჩაში გდიხარ ყელთამდე ჩაფლული ნაგავში და ისე ხვრინავ, თითქო მეტი ბედნიერებისაგან იხრჩობაო...

— ადე, გამოიღვიძე!

აგე, იქით, დიდ თეატრში გენიოსი მღერის მომხიბლავად, ცხოვრების უკუღმართობაა გამოთქმული მის სევდიან ხმებში — შენ კი არ გინდა სმენა ჩაიტკბარუნო იმისი მშვენიერი ხმით?..

— ადე, გამოიღვიძე!

ადე! როდემდის უნდა იყო ჩაფლული სიბნელის ჭაობში? როდემდის უნდა იყო სხვისა მასხარა, სხვისა ფეხის საწმენდი მჩვარი?.. შენმა წინაპრებმა შენ გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგცეს თავიანთ სამკვიდრებელი ბედი: დაცინვა, ბრმად გდება, მონობის სიძნელე და შენ ეცადე შენი ბედი შვილებს აღარ გადასცე.

— ადე, გამოიღვიძე!

რაც კაინმა აბელი მოჰკლა, სულ იბრძვით თავისუფლებისათვის და ისევ კი მონები ხართ.

— ადე, გამოიღვიძე!

მეხი კი ჩავარტყი თქვენს მოპოვებულს თავისუფლებას! ისე გძინავს, თითქო ვარდების სარეცელზე წევს და ცხრა მუზა იავ-ნანას ეუბნებაო!..

სახლში რო მივედი, სამი საათი იყო. მოღლილ-მოქანცულს მკვდარსავით დამეძინა და ძილში ისევ ვიმეორებდი: ადე, გამოიღვიძე. ხოლო თვითონ რო გამომეღვიძა დილით, მელანია შემოვიდა ჩემთან ოთახში და მითხრა: ერთი რამე უნდა მოგთავაზო და უარს ნუ მეტყვიო. თურმე რა ყოფილიყო: მისი ქმრისთვის მეტი ბილეთი მიეცათ ამხანაგებს სტუდენტების „საღამოსათვის“ და ერთი მე შემომთავაზა. დიდი სიამოვნებით გამოვართვი და ფულიც გადავიხადე, თუმცა შემომთავაზა.

ეს საღამოები იმართებოდა სტუდენტების სასადილოს დარბაზში სტუდენტებისავე სასარგებლოდ. მართალია ეს სასადილო ღარიბ სტუდენტთა და კურსელ ქალთა ხელშესაწყობად იყო, მაგრამ ძალიან ხშირად მდიდარი სტუდენტებიცა და კურსელი ქალებიც დაიარებოდნენ თანასწორობისა და თანაგრძნობის ნიშნად. უფრო მეტ სიფხიზლეს იჩენდნენ ამ შემთხვევაში ისევ მდიდარი ქალები, რომელნიც უფრო მისთვის მოდიოდნენ, თვალი გადაევლოთ ახალგაზრდობისათვის და ეჩვენებინათ, ჩვენც თქვენი თანასწორი ამხანაგები ვართო; ისინი სხვა თეატრებშიც დადიოდნენ, სადაც ღარიბებს ადგილი არა ჰქონდათ და სტუდენტების საღამოებზედაც თავს იდებდნენ — დემოკრატობდნენ. ამისთანობაში მეტად განთქმული იყო ერთი მდიდარი კურსელი ქალი, რომელსაც ჩემი დიასახლისის სახელი, მელანია ერქვა; სტუდენტები მას „ამხანაგო“-ს ეძახდნენ და ისიც ყველას უღიმოდა და აგრეთვე „ამხანაგო“-ს ეძახდა ხშირად ის ქალი „საღამოს“ ბილეთებს ჰყიდდა მდიდარ ნაცნობებში, რომელნიც გაცილებით მეტს იხდიდნენ, ვიდრე ღირდა ბილეთი; მელანიას მით უმეტეს ემარჯვებოდა ეს საქმე და ყისმათიც ჰქონდა, რომ ძალიან ლამაზი იყო და ქალსაც ხომ მეტი იარაღი არ უნდა ცხე-სიმაგრის ასაღებად!!

მელანიაზე ბევრი ლეგენდები დადიოდა, რომლებიც სულ ერთნაირად თავდებოდნენ: „ეჰ, გათხოვდა კამერგერზეო“.

ამ საღამოების შინაარსი შემდეგი იყო: თავში პატარა საკონცერტო განყოფილება, სადაც წაიკითხავდნენ ლექსებს, იმღერებდნენ რომანსებს, რაშიც ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტ უნარს იჩენდნენ, მით უმეტეს, რომ იმ რომანების სამღერად „სპეციალურად“ საღამოსთვის შეკერილ ტანისამოსში გამოდიოდნენ. გამოვიდოდნენ, გადიმტვრევ-გადმოიმტვრეოდნენ წელში, იწრიპინებდნენ, იწრიპინებდნენ და გათავდებოდა საკონცერტო განყოფილება.

შემდეგ დაუკრავდა სტუდენტების ორკესტრი და დაიწყებოდა ევროპიული ცეკვა. ცეკვასა და ცეკვის შუა, ორკესტრის დასვენების დროს იმღერებდნენ სტუდენტურს, ან ეროვნულ ხალხურ სიმღერებს, ან დასძახებდნენ რაიმე რევოლიუციონურს, მარსელოზას.

ხან და ხან, თუ ვინმე ჩოხიანი გამოჩნდებოდა საღამოზე, სთხოვდნენ ლეკური, ან ნაურული ეთამაშნა. ძალიან უყვარდათ ლეკური, ნამეტან ქალებს.

ხან კიდე ვინმე სტუდენტი შეხტებოდა სტოლზე და მოჰყვებოდა სასაცილო სცენებს, ანეგდოტებს. ხან და ხან ტფილისელ კინტოს სიტყვა-მახვილობასაც ამბობდნენ ტფილისელი სტუდენტები, რაც ისევ ქალებს მოსწონდათ მეტად. თუ ქართველი მომღერალი ბიჭები შეიკრიფებოდნენ, კახურსაც ჩაარტყამდნენ ხოლმე.

*
* *

მარტოობაში ყელგადაგდებული წავედი საღამოზე. რა წამს მივედი, უცხოელმა ამხანაგებმა მიქათინაურეს ჩოხაზე, კარგი ტანთსაცმელი გაქვთო.

დაიწყო საღამო. შემოდიოდნენ მოპრანჭული ქალები, ბჭყვრიალა ღილებიანი ბიჭები და სიცილ-ხარხარს ბოლო არ უჩანდა. აქეთ ოხუნჯობდნენ, იქით არშიყობდნენ და გუგუნებდა ორკესტრი, რომლის გუგუნიც, როგორც ჩამოყრილ ფოთლებს კუდიანი ქარი, ატრიალებდა მოცეკვავეთ... მეც მხიარული მივედი: ამას მივესალმე, იმას წაველაპარაკე პირველში და ბოლოს ისევ მარტო დავრჩი. დავღონდი. სუმთლად გარიყული მათგან, ბუსავით ვიჯექი. მაგრამ დაუკრეს ლეკური და ყველამ ჩემკენ მოიხედა. ყველამ ერთხმადა მთხოვა, მეთამაშა ლეკური, მაგრამ უარზე დავდექ, რადგანაც გუნება არა მქონდა. ბოლოს მოვიდა ვიღაცა ლამაზი ქალი და ძალიანა მთხოვა. ვსთქვი: იქნება ეს არის ლალი, რატომ არ უნდა აუსრულო თხოვნა მეთქი და დავტრიალდი...

გაოავებისას ყველამ ტაში დამიკრა. მოვიდა ისევ ის ლამაზი ქალი და მითხრა: კარგად ითამაშეთო. მერე ვკითხე, რა გქვიანთ მეთქი და მომიგო: ია.

— წამოდით დაბლა, მითხრა ია: სარდაფში ჩავიდეთ, იქა გრილა და ცოტა ქარი ამოვიღოთ.

პირველი კარი რომ შევაღეთ სარდაფში, ია ხელი წამავლო მკლავზე და მკითხა, რა გქვიანო. მეც უთხარი ჩემი სახელი, რომელიც ძაან მოეწონა. ისე მოეწონა ჩემი სახელი, რომ ზედ მომეკრა და მითხრა: მაგ მშვენიერ სახელს ისეთი ადამიანი ატარებს, რომ ყოველთვის შეყვარებული იქნებაო. მომიალერსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნთქვას მოუმატე და თრთოლვითა ვსთქვი: ნუ-თუ ეს მართლა ლალია? იქნება ის არის? იქნება, რასაც აქამდე ვფიქრობდი, მართალი იყო? იქნება ჩემი ფიქრები განხორციელდნენ და გამომეცხადნენ ამ ქალის სახით?.. თქვენ ლალი ხომ არა გქვიანთ, ვკითხე უეცრივ მას:— არა, აკი გითხარით, ია მქვიან. ამ სახელმა გამომაღვიძა და დამაღონა. მერე რაღაცა ხმაურობას მოვკარ ყური, ავიცქვიტე.. შემეშინდა... ვსთქვი, ხომ არავის წაუვიდა გული მარტოკასა მეთქი და უნდა შევვარდნილიყავ იქითა ოთახში, რო ია გაიცინა, ხელი წამავლო ხელზე და ისევ ზევით ამიყვანა. მივხვდი, რა ამბავიც იყო და შევწუხდი. ია ილიმებოდა ჩემს წუხილზე და მეალერსებოდა, ისე გამართო ალერსით, რომ ყველაფერი დამავიწყდა; ისეთი ახლო იდგა ჩემთან, რომ ყველა შურით მიყურებდა. ლორნეტის ძეწკვზე დაუწყე ხელის ცაცუნი, მანაც ჩემი ჩოხის მასრები ხან ამოაწყო, ხან ისევ ჩააწყო და თან ვმუსაიფობდით...

შემდეგ გავჩუმდით. ჩემი ყურადღება გვერდით მსხდომ ორი სტუდენტის ლაპარაკმა მიიპყრო.

— კარგა მახსოვს, ეგ ქალი როგორ მიღიმოდა, მეალერსებოდა და ბოლოს ისე უეცრად შემიბრუნა ზურგი, რომ ვერც კი მოვასწარ, გამოვმშვიდებოდი.

— მეც ეგრე მიყო, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა სასიამოვნოა, როცა ეგრე გაწვალებს ქალი! ტკბილია! ხან რო მოგკლავს და ხან ისევ გაგაცოცხლებს!

— გიჟი ხომ არა ხარ, რა სიამოვნება უნდა იყოს მაგაში!

— აბა მაშ რა ფასი აქვს, თუ ქალმა პირველ შეხვედრისათანავე მოგიშვირა ლოყა!..

— ჰო, შენ მაგრე ამბობ, მაგრამ მაგ ქალმა ისეთი თავბრუ დამახვია, რომ ორ კვირას ძილის სახელიც კი დამავიწყდა. როცა პირველად მომიალერსა და ღამე გამომშვიდობისას ღიმილით ხელი მომიჭირა, ვინ იცის, რეები არ ვიფიქრე? ცოლადაც კი შევირთე ჩემს ფიქრში და ორი ვაჟიშვილიც მეყოლა მაგრამ მეორე დღეს რომ ვნახე, ვითომ ვერც კი დამინახა, სალამი არ მომცა. მესამე დღეს ისევ მომიბრუნდა, ისევ გამეთამაშა, ამიშალა საამური ფიქრები—ხან მომკლა, ხან გამაცოცხლა და ბოლოს მითხრა: ჩემ საქმროს თავის დისათვის რეპეტიტორი უნდა, თუ გინდა აიღე, ბევრ ფულს მოვაცემინებო...

— შენ მართალს ამბობ, აგრე იციან... მაგრამ ..

ამ დროს დაიგრიალა სტუდენტების სიმღერამ, რომელსაც შეუერთდნენ მოლაპარაკენი და მეც მივეცი ბანი. ისინი მღეროდნენ:

„სცხოვრობდა ერთი კურსელი ქალი,
სცხოვრობდა მდიდრად შუა სართულში,
ბევრ სტუდენტს ჰქონდა იმისკე თვალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს ჩაუვარდა მის ტრფობა გულში.
ისიც სუყველას ღიმილით ჰკვებდა,
თავსა იჭერდა მათთან ვნებულად,
ამით სუყველას გულს უკეთებდა,
ყველაც თავს სთვლიდა შეყვარებულად.
მით გული გახდა ველივით ღია,
სადაც ეჭვებმა შეჰყარეს ჯარი...
ბევრმა დუელში გამოიწვია
მისთვის თვისი ძმა და მეგობარი.
მაგრამ უეცრივ მუნ კამერგერი
გაჩნდა სითლამაც გადმოხვეწილი
და წაიყვანა ის მშვენიერი,
ვით ქორმა მტრედი, ზეცამ ცეცილი
ხოლო სტუდენტნი მას რო ეტრფოდნენ,
შექუჩდნენ ერთად დღეს მგლოვარესა
და ერთმანეთსა ეუბნებოდნენ
თვის საფიქრელს, სიმწუხარესა".

გაათავეს სიმღერა. მერე დაუკრეს; კიდევ იცეკვეს ახლა ანეგდოტები სთქვეს, იმხიარულეს, ოხუნჯეს და დაიშალნენ.

ია გამოვემშვიდობე და მარტოკა წავედი სახლში. საშინლად მომშივდა. მინდა შევიდე ღამის დუქანში, ვიყიდო რამე, მაგრამ ფული არა მაქვს. ამ დროს, ვითომ ფიქრებში ია წამომიდგება გვერდით და მეუბნება:

— შედი დუქანში, იყიდე რამე, მშიერი ხარ

— საფულე სახლში დამავიწყდა, ლალი.

— მე ია მქვიან.

— არა, ლალი გქვიან! ეს სახელი უნდა გერქვას უეჭველად, მატყუებ!

— ჰოო, კარგი ლალი მქვიან, ოღონდ შედი დუქანში, იყიდე რამე, მშიერი არ დარჩე...

ამდროს უკანიდან შემომესმა ვიღაცა ქალის თავხედური ხმა:

— ყმაწვილო კაცო, ყმაწვილო კაცო!

მივიხედე.

მან ისტერიულად გადიხარხარა და გადირბინა ქუჩა.

გაბრაზებულმა დავკარი ფეხი და ისეთი გახურებული წავედი შინა, რომ ვეღარ ვიგრძენ მანძილი გზისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

სახლში რო მივედი, დავწექი და დიდხანს, დიდხანს ვფიქრობდი იიაზე, რომელსაც ჩემ ჭკვაში ლალი უწოდე. მთელი ღამე სულ ფიქრებში გავატარე. ერთი წუთითაც არ დამიძინია. როგორად-ღა არ წარმოვიდგინე იია? როგორი-ღა სახე არ მივეცი მას? არც ერთი ანგელოზი არ მოიპოვება ცაში ისეთი ლამაზი და სათნოიანი, როგორადაც ვხატავდი ფიქრებში იიას, ლალი რომ დავარქვი გუნებაში. დილით რო ავდექ ისევ ლალიზე ვფიქრობდი, უნივერსიტეტში რო წაველ, ისევ ლალიზე ვფიქრობდი და პროფესორი რომ შემოვიდა, მაშინაც იმაზე ვფიქრობდი... „წინა ლექციაში ვთქვი, დაიწყო პროფესორმა: რომ, თუ ადამიანი ერთ რამეზე ფიქრობს, იმავე დროს მეორეზე ფიქრი აღარ შეუძლიან“... მეც კვერი დაუკარ პროფესორს: აი, მაგალითად, როგორც მე: როცა იიაზე ვფიქრობ, აღარ შემიძლიან სხვაზე ვიფიქრო. ლექცია რო გათავდება, გავიქცევი იიასთან, ის ღიმილით მომეგებება და მეტყვის: უჰ, როგორ მოწყენილი ვიყავი უთქვენოთაო. ძალიან გამეხარდება, დიდ მადლობას ვეტყვი ამისთვის, მკლავს გაუკეთებ მკლავში და წავიყვან... პროფესორი განაგრძობს: „ჩემის აზრით ყველას ერთნაირად არ შეუძლიან ფიქრი, ოცნება“... ვეთანხმები პროფესორს. აი, მაგალითად, მე, კარგი ფიქრები მაქვს: წავიყვან ლალის შორს, შორს, სადაც ადამიანის ფეხის ხმა არ ისმის, მივისვენებ მკერდზე, მოუალერსებ და დიდხანს მეყოლება ისე. როცა ორივენი გავძღებით ალერსით, ლალი მეტყვის, წამოდი ჩემთან სახლშიო. გზაში მათხოვარას ფულს აჩუქებს ლალი; ხურდა რო გამოელევა, მეტყვის, ხურდა აღარა მაქვს, მომეციო. მეც ამოვიღებ და მივცემ, რადგანაც მე მხოლოდ ხურდა მაქვს ხოლმე... პროფესორი ისევ ლაპარაკობს: „შეგვიძლიან განცდილი წუთები ფიქრით ისევ აღვადგინოთ, ხელმეორეთ განვიცადოთ“... ესეც მართალია! ძალიან კარგა მახსოვს, როგორ ბედნიერი ვიყავი იიასთან წუხელ. სულ მთლად თვალწინ მიდგა მისი სახე, თითქმის ვგრძნობ კიდეც მის მკლავს, თითქმის კვლავ განვიცდი მისი ღიმილით გამოწვეულ სიამოვნებას... მაგრამ თავი გავიქნიე, თითქო გავიბერტყე ფიქრები და გადავწყვიტე, ყური დამეგდო პროფესორისათვის, რომელიც განაგრძობდა: „ვისაც კბილი ამოუგლეჯია“... იია მიმიყვანს თავის სახლში, რომლის მოწყობილებაც ძალიან გამაკვირვებს და ვეტყვი: სწორედ მზეთ-უნახავი ასულის კოშკია მეთქი. იიას გაეხარდება ესა და მომიგებს: იმ კოშკში ერთი მზეჰაბუკი შეჰყვა იიასაო. აქ შევაჩერებ და გაუსწორებ: იიას კი არა, ლალისა მეთქი და ისა მკითხავს, რათ გიყვართ აგრე ეგ სახელიო. აუხსნი, რომ ლალი ქართულად მეტის-მეტ ლამაზ, ძვირფასს და ძნელად საშოვარ განძსა ნიშნავს, რომელსაც მხოლოდ დიდი ოკეანების ჯურღმულებში პოულობენ: იმას ესიამოვნება ესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი სიტყვა, ზედ მომესვენება, ანგელოზივით შემომხედავს ქვეიდან თვალებში და ჩამეკვრება გულში... „შემდეგ ლექციას წავიკითხავ ტვინზე“—სთქვა პროფესორმა და წავიდა. მსმენელები აიშალნენ. მეც ავდექი და, გახარებული იმით, რომ ლექცია გათავდა, გავეჩქარე სახლისკენ.

წიგნები დავაწყე. თმები გავისწორე. გადავიცვი ჩოხა და გავწიე სტუდენტების სასადილოსაკენ, სადაც ხშირადა სადილობდა იია. მივათვალიერ-მოვათვალიერე სასადილოში და ჯერ არ მოსულიყო, მაგრამ კარებისაკენ რო მივბრუნდი, თვალი მოვკარ. ის-ის იყო მოსულიყო და პალტოს იხდიდა შემოსავალ ოთახში გული გამეხსნა. გავიქეცი და გზაში ჩავდექი, რომ გამოვლის დროს მივგებებოდი. გამოიარა და მივესალმე, გამარჯობა ლალი მეთქი. ეს სახელი სრულიად უნებურად წამომცდა; მან გაიარა, ვითომ ვერც კი დამინახა. დავლონდი, მაგრამ იმით დავინუგეშე თავი, რომ ლალი დაუძახე და შესაძლებელია ვერ გაიგო მეთქი. სახე გავიხსენ და გავწიე მისკენ.

— გამარჯობათ, იია, მივეგებე ღიმილით.

იიამ ცივად მოიხედა და სთქვა: გაგიმარჯოთ. მერე ისევ მიბრუნდა ვიღაც ყმაწვილისაკენ და მხიარულად დაუწყო ლაპარაკი.

შუბლზე საავდრო ღრუბელივით გადამეკრა ფიქრი, მჭმუნვარება და ადგილიდან ველარ დავძრულიყავ. დიდხან ვიდექი თავდახრილი. შემდეგ გამოვბრუნდი, საჩქაროდ წამოვისხი ნაბადი და წავედი სახლში. შინ რო მივედი, მუხლებზე დავეცი და მოუწოდებდი ჩემი ოცნებით შექმნილ უმანკო ასულს. ლალი! ლალი! სადა ხარ ლალი? მოდი, მომხედე! ჩემ სიცოცხლეში, სულ ამ დღეში ვარ. ცამ სიყვარულით სავსე გული ჩამიდო და სიძულვილის ბოძზე კი მიმაკრა. რაც მე ფეხი ავიდგი, სულ სიყვარულს ვეძებ, რაც მე ენა მაქვს, სულ სიყვარულს მოუწოდებ, თითქო მისთვის ვიყო გაჩენილი და იგი კი არ არსებობდეს. მოდი, მომხედე! ოღონდ მითხარი რამე სანუგეშო, კეთილი, ოღონდ წმინდა სიყვარულით გამომიწოდე მშვენიერი ხელი მშვენიერი სახის ღიმილით და კიდევ შემწევს იმდენი ძალა, გავწყვიტო ჯაჭვი, რომლითაც არის მიბმული სიყვარულით სავსე ჩემი გული სიძულვილის ბოძზე. მოდი, სადა ხარ? მოდი, მოგელი! მხოლოდ იმისთვის ვიყავ გაჩენილი ქვეყნად, შენ მეძებნე! გძებნე და ვერსადა გპოვე! თუ არა ვცდები და შენი იმედი მართლა მაქვს, გარდმომევლინე, მომანიჭე სიცოცხლე, სარწმუნოება კეთილი კეთილისადმი. ო, ლალი! ლალი! მოდი, მოგელი!..

რამდენიმე დღე ვითმინე და აღარ წავედი იიას სანახავად. იმან გაცნობის ღამეს თავისი მისამართი მომცა და ვიცოდი ბინა, სადაც რამდენიმეჯერ მივედი კიდეც, მაგრამ სახლში არ დამხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან მომწყურდა მისი ნახვა ბოლოსა და წავედი. გზაში ვფიქრობდი და ვინ იცის რა არ ვიფიქრე: ისევ ლალი დავარქვი, ვაპატიე ყველაფერი და გაუსულტკბილდი... ფიქრებიდან გამომარკვია ტელეგრამების გამყიდველ პატარა ბიჭის ყვირილმა, „მეორე რიგის სტუდენტების გაწვევა ჯარშიაო“ ყვიროდა იგი. სწორედ მეორე რიგისა ვიყავი. ვიყიდე ტელეგრამები, წავიკითხე და მართლა იწვევდნენ ჯარში სტუდენტებს. საშინლად დამწყდა გული. დავდექი და დავფიქრდი. ფიქრებში ერთი პესიმისტური ლექსიც კი შევთხზე. მერე ვიფიქრე, წავალ ჩემ დარდსა და მწუხარებას ლალის შევჩივლებ, ისიც დაღონდება, მომიალერსებს და მანუგეშებს რამეს; იმედით წავალ ომში, რადგანაც წინ სიყვარული გამიძღვება და იქნება იმან გადამარჩინოს მეთქი. გულზე მომეშო და გაბედულად წავედი ამ ფიქრით ლალისაკენ, იიას რომ ეძახდნენ სინამდვილეში.

დავრეკე ზარი.

მოსამსახურე გამოვიდა.

— ლალი სახლშია?

— აქ ლალი არავინა სცხოვრობს.

— ლალი კი არა, უკაცრავად, იია, იია!

— იია კი ჰო! აქა სცხოვრობს.

— დაუძახეთ.

— მიბრძანდით, აი მისი ოთახი.

დაუკითხავად შევაღე კარი და უცბად შევკრთი, როდესაც ორი არსება საჩქაროდ განშორდა ერთმანეთს

თავი დავლუნე და სალამის მაგიერ ბოდიში მოვიხადე.

— რა საქმე გქონდათ, გოგი, დღეს არა მცალიან, მითხრა იიამ.

— უკაცრავად! კიდევ მოვიხადე ბოდიში და გამოვბრუნდი.

ტელეგრამა ისევ გავშალე, მეორედ წავიკითხე სტუდენტების გაწვევა და ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. საშინლად გამწია ომისაკენ. ეხლა ნება მაქვს მონობას თავი დავანებო, აღარავითარ კანონებს, არც ბუნებისას, არც ადამიანებისაგან შექმნილს აღარ დავემორჩილო, არავის წინ თავი აღარ დავიმდაბლო და საკუთარის მკლავით გავიდე ბრძოლად. ო, როგორ მინდა ადამიანების სისხლი და მათი სისხლით მორწყვა იმ დედამიწისა, რომელზედაც ისინი დადიან. წავალ ბრძოლაში და მათ ტუჩებს, რომლითაც უნამუსოდ იკოცნებიან, ყორნებს ვაკორტნინებ, ხოლო ძვლებს, რომლითაც იმაგრებენ სიბინძურით სავსე სხეულს, ძაღლებსა და მგლებს ვახვრევინებ. მიწით ამოუვსებ ყურებს, რომლითაც არაფერს იგებენ გარყვნილი ხვევნა-კოცნის დროს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

გამოვცხადდით გაწვეულნი. შეგვამოწმეს ექიმებმა. მიმიღეს. მესამე დღეს წაგვიყვანეს კაზარმაში, სადაც გვასწავლიდნენ სამხედრო ხელოვნებას და საიდანაც პრაპორშჩიკები უნდა გამოვსულიყავით.

მწყემსობა სულ თოფით გავატარე და ისეთი სროლა ვიცოდი, რომ ცალი არა მყავდა მწყემსებში. მწყემსობაში ბიჭები სანაძლეოზე ხან ყვავებს ვესროდით ტყვიას, ხან კაჭკაჭებს და ხანაც შროშნებს, როდესაც რქაზე ეჯდა ხოლმე ძროხას. ერთხელ ჩემ მწყემს თითებზე კვერცხი დავასმევინე, ვესროლე, კვერცხი დავამსხვრევინე ტყვიასა და მწყემსი სრულიად უვნებლად დარჩა. ამისთანა მსროლელი მოვყე კაზარმაში, სადაც სროლას ასწავლიდნენ. რა წამს თოფი გვასროლინეს, ყურადღება მივიქციე უფროსისა. ვარჯიშობის დროს ყველაფერში პრიზი მივიღე, მხოლოდ ის იყო ჩემი უბედურება, რო მავიწყდებოდა, დროზე მიმეცა სალამი უფროსებისთვის. ამისთვის შენიშვნებს მაძლევდნენ მუდამ.

როგორც იყო, გაცურდა ოთხი თვე. ამ ხნის განმავლობაში სულ კაზარმაში ვიყავი გამომწყვდეული, გარედ არ გამოვსულვარ, კაზარმაშიც არავინ მომიგონა და, თითქო თავიც კაზარმად იქცაო, ლალიზე ფიქრს აღარ შემოუხედნია სულ დამავიწყდა ჩემი წარსული ცხოვრება. თითქო ჩემს ცხოვრებაში ახალი სტილი იწყებოდა, თითქო სუმთლად ვიცვლებოდი, ახლად ვიბადებოდი. მაგრამ ამას არა ვგრძნობდი, ასე მხოლოდ მეგონა და ნამდვილად კი ჩემ თავს მსხვერპლად ვამზადებდი, ყველაფერს ვამშვიდობებდი, ხოლო არა წუხილით, არამედ სიხარულით ისეთი გუნება მიხდებოდა, თითქო ამის ვალი ემართა ამ ქვეყნისა, მოიხადა და დამშვიდობებული მიდის იქიდანაო... მართლა მეტის-მეტი დამშვიდებული და გულგრილი ვიყავი

პროპორშჩიკი გავხდი. იუნკრობაში მეჯავრებოდა სალმის მიცემა და პროპორშჩიკობაში უარესად. მე რომ წამდაუწუმ დამაყენებდნენ იუნკრობის დროს, რატომ სალამი არ მოგვეცო, არ დავიხსომე: არც არავის ვაძლევდი სალამსა და არც არავის ვაიძულებდი, სალამი მომეცი მეთქი...

პროპორშჩიკის ფორმით წავედი სტუდენტების სასადილოში. ნაცნობები აღარავინ იყო. მხოლოდ ისევ ის ქალები ვნახე, წინად რომ ვხედავდი. სტუდენტები, ვინც იყვნენ, სულ ახალგაზდები იყვნენ, უწლოვანოები და, ნაცნობი რომ ვეღარავინა ვნახე, გულცივად გამოვბრუნდი უკან.

გზაში ის ქართველი სტუდენტი შემხვდა, ქუჩის ქალი რო გამაცნო, ჩემი ცოლიაო და მითხრა: ამაღამ ჩემთან მოდი, პატარა ღვინო მაქვს, სტუმრები მეყოლებიან, დრო გავატაროთო. მისამართი მითხრა და, რა საკვირველია, დიდის სიამოვნებით დავთანხმდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღამდა. წასვლის დრო მოვიდა. ეტლით წავედი. გუნებაში, ვითომ აღარა მცხვენიან იმ სტუდენტის ცოლისა, ღამე რო მეუბნებოდა უმთავრეს ქუჩაზე, წამოდი ჩემთან, გაგათბობო; ვითომ თამადათაც ამომირჩიეს და შესანიშნავ სადღეგრძელოებს ვამბობ. ავიღე ჭიქა და ვსთქვი:

რომ დაჰპატიჟოს კაცმა კაცს,
დასვას და ანადიმოსა,
დარაის კაბა ჩააცვას
და ცხენსა შესვას სპილოსა,
სუყველა მუქთად ჩაივლის,
თუ კი არ დავლევთ ღვინოსა!

ეს მხოლოდ პირველი, განყენებული სადღეგრძელო იყო. სულ გამოვცალე და ისევ გავავსე ჭიქა. მეორე სადღეგრძელოც განყენებული ავიღე, რადგანაც მინდოდა მეტი გამოსულიყო სადღეგრძელოები, რომ მეტი დამელია, რომ კარგად გამოვმთვრალიყავ. მეორედ ავიღე ჭიქა და შევძახე იქ მყოფ ქალებსა და ვაჟებს:

დღეს თუ არა, ხვალზეით ხომ
ყველა უნდა დავიხოცნეთ...
მანამდის კი ძმები ვიყვნეთ,
ღვინო ვსვათ და სმას არ მოვცდეთ!

ტაში დამიკრეს ლამაზად თქმისთვისა და ჩემს ეშმაკობას კი ვერ მიმხვდარიყვნენ. მესამედ ავიღე ჭიქა და ისევ განყენებული სადღეგრძელო დავიწყე:

დავლიოთ ღვინო, დავლიოთ,
ათასჯერ, განა თითოდა!
რომ გავჩენილვართ ამ ქვეყნად,—
სალხინოდ, სანადიმოდა.
ან რატომ არა! რას გვარგებს
მხოლოდ დიდ აზრთა თხრობანი,
ვის გაუგია სიმართლე,
ვისა აქვს მისი ცნობანი?
ჭეშმარიტებაც ამ ქვეყნად
მოცული არის ბნელითა,
ვერც დავინახავთ თვალებით,
ვერც მივაწვდებით ხელითა.
ამიტომ ღვინო დავლიოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასჯერ, განა თითოდა!
რომ გავჩენილვართ ამ ქვეყნად—
სალხინოდ, სანადიმოთა!

ყველამ ტაში დამიკრა. მხოლოდ მასპინძელმა გამიგო ეშმაკობა, გაფარჩხა ხელები და სთქვა: შენ სულ განყენებულ სადღეგრძელოებში გამომიცლი ე ღვინოსა და ჩვენ უდღეგრძელოდ დავრჩებითო. მიუბრუნდი და უთხარი: განა ეგრე ცოტა ღვინო გაქვს მეთქი, და ამდროს მიმიყვანა კიდეც ეტლმა დანიშნულ ადგილს. ფიქრებიდან გამოვედი. გავისტუმრე ეტლი. შევედი სახლში. მოვძებნე მეცამეტე ბინა. დავრეკე ზარი. ვიღაცა ლამაზმა, კარგად მორთულმა ქალმა გამიღო კარი და, რო დამინახა, თითქო დიდი ხნის ნაცნობიაო, მხიარულის ღიმილით მითხრა: მობრძანდით, მობრძანდითო. მივედი. შინელი გავიხადე. ოთახში მხიარული ხმაურობა ისმოდა. უცნობმა ქალმა ხელი ჩამომართო, მერე შემიყვანა ოთახში და ყველანი გამაცნო.

— დაბრძანდით,—მითხრა.

დავჯექ. სულ ქალები იყვნენ. გარს შემომეხვივნენ: ზოგი წინ დამიჯდა, ზოგი გვერდითა, ზოგიც თავს დამადგა და დამაყარეს კითხვები:

— თქვენ სტუდენტი ხართ?

— არა!

— როგორ არა, კარგად მახსოვს, თქვენ სტუდენტი ხართ.

— მე კი ვამბობ, არა!

— როგორ არა, ჩემი ერთი ნაცნობი თქვენთან ერთად დადიოდა უნივერსიტეტში.

— მაინც არა ვარ სტუდენტი.

— ღმერთმანი სტუდენტი ხართ, რათა მალავთ, განა სტუდენტობა სათაკილოა?

— სტუდენტობა სათაკილო არ არის, მაგრამ მაინც არა ვარ სტუდენტი.

— მაშ რა ხართ, თუ არა სტუდენტი?

— მე გახლავართ პროპორშჩიკი.

ამაზე ყველას გაეცინა. მერე აუხსენი მათ, რომ ერთ დროს სტუდენტი ვიყავი, მაგრამ ეხლა მხოლოდ უბრალო პროპორშჩიკი ვარ და სხვა არაფერი.

— მახსოვს, თქვენ ჩოხაში დადიოდით ხოლმე.

— დიახ, მეც მახსოვს, ჩოხაში დავდიოდი ხოლმე. კაი დრო იყო, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს წარსულის დაბრუნება.

— რათა, განა ისეთი ცუდი წარსული გაქვთ?

— ცუდი არ იყო, მაგრამ რაღაცა სიზმრები მჭირდა; მერე კინაღამ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფობა არ შემეყარა; ეს ავადმყოფობა სტუდენტების სასადილოდან მემუ-ქრებოდა; მას სახელად ჰქვიან...

— განა ავადმყოფობაა სიყვარული? გამაწყვეტინა ერთმა, რომელიც ყველაზე მეტად მიმიხვდა ლაპარაკს: მე კი ვაპირებდი თქვენს შეყვარებას,—დაუმატა ბოლოს მან.

— დიახ, უფრთხილდით თავს! ეგ ძნელი ავადმყოფობაა, მით უმეტეს, თუ თქვენ გახდებით ავად, ხოლო თუ თქვენ გახადეთ ვინმე ავად, თქვენთვის არ არის საშიში, თუმცა შესაძლებელია თქვენვე გაგიხდეთ მოსარჩენი. ამაზე ერთი ანდაზაა ჩვენში: მორიელის ნაკბენს მორიელივე მოარჩენსო...

— ვითამაშოთ რამე. დაიძახა ერთმა.

— ვითამაშოთ! დასძინეს სხვებმა.

გაიმართა სხვადასხვა სამხიარულო სათამაშოები. დაუკრეს როიალზე, რომანსები იმღერეს, ხმები აარაკრაკ-ჩაარაკრაკეს; მერე ვალსი დავატრიალეთ და მოიტანეს ჩაიც. თვალი მოვკარ უცბათ იიას. შევკრთი და გულში რაღაცამ გამოიღვიძა. გამოიღვიძა, მაგრამ ამოიოხრა და ისევ მიდო თავი, თუმცა აღარ დაუძინია...

დავფიქრდი ..

თვალწინ წარმომიდგა მოღიმარი ლალი, რომელმაც მხარზე ხელი დამადო და ნაზად მითხრა: რადა ხარ დაფიქრებული, ჩემო გოგი, რათა? ვინ გაგაჯავრა? წამოდი ჩემთან, ჩემს გულში ისეთი მკვიდრი ბინა გაქვს აშენებული, რომელიც არასოდეს არ დაიქცევა, რომელიც შენს მეტს სხვას არავის შეუშვებს, რომლის ღირსიც მხოლოდ შენა ხარ, რომელიც უშენოდ დაირღვევაო. ნუ დარდობ, შენ ჩემს გულში ხარ გამომწყვდეული და იქიდან ველარსად წახვალ. თვით ის მკვდრებიც რომ ადგნენ, რაც დამარხულან ადამის შემდეგ, და გამართონ სხვა უსაშინელესი ომი, როგორიც მეოცე საუკუნის მსოფლიო ომია, არსად გაგიშვებ. შენთვის აღარავითარი სამშობლო აღარ არის საჭირო და აღარც არავითარი მიწა-წყლისთვის ბრძოლა, რადგანაც ყველაფერი უხვად მოგეპოვება ჩემს გულშიო. ამის ფიქრით მომინდა საშინლად სიცოცხლე; დამენანა ჩემი თავი; ვსთქვი: აი, დღეს, თუ ხვალ ომში უნდა წავიდე და იქიდან ხო მომსვლელი აღარა ვარ მეთქი.

— გოგი, რათ დაღონდით? მითხრა ერთმა ქალმა და გამომარკვია ფიქრიდან.

— გოგი მხოლოდა ფიქრობს და სხვა არაფერი, სთქვა იიამ.

უკმაყოფილოდ შევხედე იიას და ამოვიოხრე; მას გაეცინა; ამაზე უცბად შემეზიზღა იია და წამოვიძახე:

— სად არის ჩემი ამხანაგი? ნუ თუ მან იმისთვის დამპატიჟა აქა, რომ ქალები დაეხვია ჩემთვისა და თვითონ სხვაგან გაპარულიყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ თქვენი ამხანაგი არავინა ცხოვრობს. საზოგადოთ, აქ კაცი არავინა ცხოვრობს. აქ მხოლოდ კურსელი ქალები ვართ, მაგრამ განა გაწყენინეთ რამე? მითხრა ერთმა.

— უკაცრავად, მაშ აქ ქართველი სტუდენტი არავინა ცხოვრობს?

— არა, აქ მხოლოდ ჩვენა ვცხოვრობთ, მაგრამ რა გაწყენინეთ, რო წამოდექით?

— უკაცრავად, მითხარით ერთი, რა ნომერია თქვენი ბინა?

— ცამეტი.

— აი დასწყევლოს ეშმაკმა! ალბად იმან თვრამეტი მითხრა და მე ცამეტი გამიგია. ძალიან ბოდიშს ვიხდი, რომ ასე გონდაკარგულად შემოვედი უცხო ბინაში.

— რასა ბრძანებთ, ბატონო, განა რა გაწყენინეთ ისეთი? დარჩით, ვიმხიარულოთ — მეუბნებოდნენ ყველანი...

ხელად გადავიცვი შინელი, საერთო სალამი მივეცი ყველასა და გამოვედი გარეთ.

საათს დავხედე. ღამის პირველი იყო.

დრო აღარ იყო მეთვრამეტე ბინაში ასვლისა და წავედი სახლში.

ბევრი ვიკვნესე, ბევრი ვიდარდე. დავწექ, მაგრამ არ დამეძინა.

კიდევ აიშალნენ ოცნებები: ხან ომში ვიყავი, ხან ჯვარს ვიწერდი ვიღაც მეფის ასულზე, — ერთმანეთში აირივ-დაირია სიყვარული, კაცის კვლა, ოხვრა, სიცილი, უბედურება, ბედნიერება... ვოხრავდი და ჩარხივითა ვტრიალებდი სარეცელში.

რა მაშფოთებდა? რა იყო ჩემი შფოთვისა და ღელვის მიზეზი?

ო, ეს სიყვარული!

რა არის ნეტა სიყვარული? ვინ მოიგონა? საიდან გაჩნდა?

რა მოუტანია მას ქვეყანაზე, რომ ყველა სულდგმულის გულიდან ხარკს იღებს? რა არის ისეთი, რომ ყველასა სტანჯავს, ყველასა სჯის და თვითონ კი დაუსჯელი რჩება?..

რა არის სიყვარული?

ზოგნი ამბობენ: არის ერთი ისეთი ავადმყოფობა, რომელსაც მსოფლიო მედიცინამ წამალი ვერ გამოუგონა, რომელიც ადამიანს არ კი ჰკლავს, პირიქით, სიცოცხლეს უმატებს მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო დიდხანსა კრიფოს მისგან ხარკიო. აიღეს და ამ ავადმყოფობას სიყვარული უწოდეს ადამიანებმაო.

რა არის სიყვარული?

ზოგნი ასე ამბობენ: ღმერთმა სასჯელი გამოუგზავნა ადამიანებს და ადამია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებმა კი სიყვარული დაუძახესო; ზოგნიც ასე ფიქრობენ: ადამიანები რომ უსაქმოდ არა ყოფილიყვნენ, განგებამ ისეთი საძებარი გარდმოუვლინა, რომ იმის ძებნაში იქნებიან მარად და ვერასოდეს კი ვერ იპოვნიანო. მაგრამ ზოგნიც ასე იტყვიან: მზე და მთვარე ერთდროს ერთად იწვნენ და სტკბებოდნენ ნეტარებით, მაგრამ ბოროტმა ენამ ჩააგდო მათში შფოთი და განაშორა, რის შემდეგაც მზეს მუდმივ ცეცხლად უკიდია მთვარესთან შეყრის სურვილი, ხოლო მთვარე ილევა და ივსება, რომ ხელახლად დაილიოს, მაგრამ სულ კი ვერასოდეს ვერ ილევაო.

მაშ რა არის სიყვარული?

სიყვარული ისეთი არსებაა, რასაც არც თვალი აქვს, არც ფეხი, არც ხელი, მაგრამ ყველაფერსა ჰხედავს, ყველგან დადის და ისეთ საქმეებს აკეთებს, რომ სულ იმაზე ლაპარაკობს, რასაც ენა აქვს და სუნთქვა შეუძლიან.

რა არის სიყვარული?

გაზაფხულობით ჩასწვდება იგი დედამიწის გულსა და მრავალ მილიარდ სხვა და სხვანაირ ყვავილს ამოიტანს ხოლმე ზევით, შემდეგ გადიქცევა ცელქ ნიავად, დადის მთა-ველად, დაღლინებს და ჰკოცნის მათ, ხან გადიჭრება მშვიდ ზღვაზე, დაეცემა უეცრივ, აუშფოთებს გულსა და მიახლის ნაპირებს, ხან მთის ნაკადათ გადმოვარდება მაღალი კლდიდან და ძირს, უფსკრულებში, სიპ ქვებზე მილიარდ მარგალიტებად დაიმსხვრევა, რომელთა მტვერშიც მზის სხივები ბანაობენ მრავალ-ფეროვან ცისარტყელად; ხან შეიფრთხიალებს ანც ტოროლად, აეკვრება ცის მკერდსა, ჩაბუჟბუჟდება გრძნობა-გადამცდარ სიმღერით და, როცა მოიქანცება, დაეშვება დედამიწაზე, იქაცა მღერის, მღერის გაუთავებლად, გულამოსკვნით და მომხიბლავად...

გაზაფხულზე დაიმსხვრევა ხოლმე სიყვარული უთვალავ ფერებად: ხან მიიღებს ხარი ირმის სახეს, რომელიც დგას ბორცვზე კისერ მოღერებული და ელის ფურს; ლოდნით გულგადალეული დაიძახებს და დაეშვება ტყეში მის საძებნელად; ხან მიიღებს ბულბულის სახეს, რომელიც მთვარიან ღამეში კვნესის ტკბილად, აკვნესებს გარემოსაც და, როცა გათენდება, მისი ჰანგები ათასნაირადა ბრჭყვინავენ ბალახებზე. კრუხი გამორეკავს მაშინ თავის წიწილებს სარდოზე და, როცა ქორი მოსტაცებს ერთ მათგანს, ასტეხს ქვითინს, გლოვას, ზარს...

რა არის მაშ სიყვარული?

აი, ექვსი თვის ბავშვსა სძინავს და მისი ბაგე ღიმილით გახსნილა ნახევრად, სახეზე შუქი დასდის და მარცხენა ხელი გულზე უდევს — ეს არის სახე სიყვარულისა, ორი წლის წინად მის დედასა და მამას რომ ათრთოლებდა სიამოვნებით. აგერ, სამი კვირის კვიცი დედას მისთამაშებს უკან, ხანაც წინ გაინავარდებს,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედას სულ მისკენ უჭირავს თვალი: სა თაც კვიცი გაითამაშებს, დედაც "ბჭობკენ" მიდის—ესეც სახეა სიყვარულისა!

მაშ რა არის სიყვარული?

სიყვარული იმდენი რამეა, რის ჩამოთვლაც არ შეიძლება, სიყვარული ისეთი რამეა, რასაც ვერ მივწვდებით; სადაც კი სიცოცხლე ჰფეთქს, სიყვარულია იქ! სიყვარული ყველაფერშია, სიყვარული ყველაფერია! სიყვარული აშენებს ყველაფერს, სიყვარულივე აქცევს ყველაფერს! სიყვარული მშვენიერი, ედემისებური სიმღერაა, რომელიც კიდეც გაიგონება, კიდეც დაინახვება, მაგრამ არც სახე აქვს, არც ხმა. სიყვარული არ ვიცით რა არის! სიყვარულს ვერ გავიგებთ—სიყვარული ღმერთია!

*
* *

გულდაწყვეტილი მივდიოდი ნაცნობთან.

ია შემხვდა, ვიღაც სტუდენტს მისდევდა ხელი-ხელს გაყრილი; სალამი მივეცი და იმანაც ისეთი ღიმილით მიპასუხა, რომ სურვილი აღმიძრა, მივსულიყავ, მაგრამ თავი შევიკავე...

გზაში ერთმა აფიცერმა მითხრა: ბრძანებაა, ქალაქიდან უნდა წავიდეთ ბანაკში, რომელიც ჯერ არ ვიცით სად იქნებაო.

დაღონებული დავბრუნდი უკან, და კიდევა ვნახე გზაში ია, ახლა სხვა, ბაბორიან, მსუქან სტუდენტს მისდევდა ხელი-ხელს გაყრილი და უღიმოდა. კიდევ სალამი მივეცი უნებლიეთ და იმან ისე გამიღიმა, თითქო მითხრა: ბედი ერთმანეთს რა მალ-მალე გვახვედრებსო. კიდევ თავი შევიკავე და განვაგრძე გზა.

ისევ ფიქრებში გავერთე და უცნაური იყო ამ ჟამად ჩემი ფიქრები: ვნატრობდი, ნეტავ მეც მყავდეს სულის სწორი, ლამაზი, სავსე პატიოსნებით, მომდევდეს გვერდით, ღიმილით შემომყურებდეს და მეც მისი ამხანაგობით მოსვენებული ვიყო მეთქი ვითომ კიდეც ვიშოვე ფიქრებში იგი და გვერდით მომდევს. შეტისმეტ ბედნიერებას განვიცდი, მეშვიდე ცაზე ვარ და ღმერთს ველაპარაკები. ჩემი სულის სწორი დარიგებას მაძლევს, ჯანმთელობა როგორ უნდა შევინახო გარედ ყოფნის დროსა და სიამოვნებით უსმენ. მერე მეუბნება, ჩემი დედისაგან ნაჩუქარ ბეჭედს დავაგირავებ და შენ გამოგიგზავნი, თუ რამე გაჭირვება შეგემთხვა, ან თუ ტყვედ ჩაუვარდი მტერსაო. ჩემს ძვირფას პალტოსაც გავყიდი, სხვაგან, რომ ვერ ვიშოვო ფული და შენ გამოგიგზავნი, ოღონდ ჯანმთელობა არ დაჰკარგო, ოღონდ კარგათ იყავიო... მერე მე რაღა ჯანდაბათ მინდა ჯანმთელობა, თუ შენ დაჰკარგავ მეთქი და კიდეც მივედი ნაცნობის ბინაზე.

შინ არ დამხვდა.

დიასახლისის ქმარმა მითხრა, დაუცადე, მგონი მალე უნდა მოვიდესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავჯექი.

მეორე ოთახიდან ჩემი ნაცნობის დიასახლისის ჩხუბი შემომესმა, ქმარს ეჩხუბებოდა: ექვსი წელიწადია შენი ცოლი ვარ და ერთხელ ისეთი დღე არ დამდგომია, ფეხსაცმელიც ახალი მქონდეს, კაბაც, პალტოც, შლიაპაცა და მორთული ვიყო ხეირიანადაო; როცა პალტოს მიყიდი, ფეხსაცმელები მაქვს ძველი, როცა ფეხსაცმელს მიყიდი, შლიაპა მაქვს ძველი და ჩემი შენთან ყოფნა მხოლოდ გულნაკლულვანებაა და სხვა არაფერიო. ქმარი კიდე უპასუხებდა: თუ კი გეგულება ჩემს ჯიბეში, წადი, ამოიღე და იყიდეო...

მომწყინდა ცდა. ავდექი და მოვდიოდი; კარებში დიასახლისის ქმარი შემხვდა, მკითხა: ყმაწვილო, ცოლის შერთვას ხომ არ აპირებო. უთხარ, რა ვიცი, ჯერ კი არ შემირთავს და შემდეგისა აბა რა მოგახსენოთ მეთქი; მან ხელები გაასავსავა და წამჩურჩულა ყურში, ღმერთმა დაგიფაროსო...

ძალიან მომეწყინა სიცოცხლე. ღამე რომ შეეჭიდება დღეს, საღამო ჟამი ჰქვიან. არის ისეთი წუთი ამ დღე-ღამის შეჭიდებაში, როცა არც დღეს ეკუთვნის დრო, არც ღამეს, ბინდ-ბუნდი ჰფარავს გარემოსა და ისეთ გუნებაზე აყენებს კაცსა, აღარც სიცოცხლე უნდა, აღარც სიკვდილი. ჩემშიც დადგა ასეთი წუთები: აღარც მიყვარდა ვინმე, აღარც არ მიყვარდა და განვიცდიდი ცოცხლად სიკვდილის წუთებს, როცა ადამიანი ცოცხალია, მაგრამ მკვდარს ეთანასწორება...

ამ დაძაბუნების გასაბერტყად ავდექი და ვთქვი: ეს ერთი კვირა-ღა მაქვს თავისუფალი, მერე ომში გამგზავნიან, იქნება უკან ველარ დავბრუნდე და მოდი ერთხელ კიდე ვნახავ უნივერსიტეტსა მეთქი.

იმ დღეს ერთ-ერთი გამოჩენილი პროფესორი კითხულობდა და ხალხი ბევრი იყო. უმეტესი წილი ქალები იყვნენ, რადგანაც კაცები ომში იყვნენ წასულები. იმ აუარებელ ქალდიდობაში მარტო ვიყავი, მაგრამ აღარც ვეძებდი, რადგანაც პოვნის იმედი დაკარგული მქონდა.

ლექციის დროს, ვიღაცა ქალი შემომხედავდა და მერე რვეულში რაღაცასა ჰხატავდა. ამას რო ყურადღება მივაქციე, ხატვას თავი დაანება და ერთმანეთს დაუწყეთ მზერა. სათნოიანი სახე ჰქონდა: მოღლილი თვალები, ნაზი, ბუნჩულა სახე, შროშანასავით აყლორტილი ტანი; მტრედივით დაღუღული იჯდა კათედრის ესტრადაზე და მიყურებდა...

ბინდ-ბუნდმა გაიარა, აღმოსავლეთმა ბაგე გახსნა და მზემ დაიწყო ბჭყვრიალი ცრემლით დანამილ მინდვრებზე; ათასმა პოეტმა ფრთა ფრთას შემოჰკრა, ჰიმნი უთხრა მზის ამოსვლასა და გათენდა. გამომეღვიძა, თვალები მოვიფშვნიტე და გული ამიტოკდა ახალი სიცოცხლით, ახალი მისწრაფებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასვენების დროს გვერდზე გამიარა, მერე მოვიდა და ჩემს გვერდით დადგა; ვილაცა კაცი წაელაპარაკა, მაგრამ ყურადღება რომ არ მიაქცია, კაცი ისევ გაბრუნდა. ისევ დაჟინებით უყურებდით ერთმანეთს, მაგრამ ვერც ერთს კი ვერ გაგვებედნა გამოლაპარაკება... ლექცია ისევ დაიწყო... დავსხედით და ისევ განვაგრძობდით ერთმანეთის მზერას...

ბოლოს სულ გათავდა ლექცია და მხოლოდ გათავება გავიგე.

ის ვილაცა კაცი წინ გაიქცა და პალტო მოუმზადა ქალს; ქალი მძიმე-მძიმედ წავიდა, თითქო მე მიცდიდა; კაცმა პალტო ჩააცვა და სწორედ იმ დროს, როცა მის გვერდით გავიარე, ხმამაღლა უთხრა კაცს, დღეს მარტოკას მინდა წასვლა, ნუ გამომყვებიო.

მეც ჩავიცვი საჩქაროდ და უკან გავყე. როცა ვიწრო, წყნარ ქუჩაში შეუხვია, წაუდექი გვერდითა და ნერვიანის ღელვითა ვკითხე:

— თქვენ იმას ხომ არ იცნობთ?

— ვისა, ყმაწვილო კაცო? მითხრა ქალმა ალერსიანი ღიმილით.

სიხარულით ცას მოვეწიე და უფრო დამშვიდებით უთხარი:

— ხომ არა გწყინთ, რომ უცნობი კაცი უცნობ ქალს გამოგელაპარაკეთ?

— არა, რასა ბრძანებთ, ძალიან სასიამოვნოა თქვენთან ლაპარაკი! თქვენ რა გქვიანთ?

— გოგი.

— რა კარგი სახელია!

— თქვენ რაღა გქვიანთ?

— ია.

შევკრთი ამ სახელის გაგონებაზე და წამოვიძახე: დიდება შენთვის ღმერთო! თქვენც ია გქვიანთ?

რად შეკრთიო, მკითხა იამ და მიუგე, რომ ერთ ჩემ ნაცნობ ქალს ია ერქვა.

ერთმანეთს შევხედეთ და მერე ჩუმად განვაგრძეთ გზა.

— თქვენ ომში ხომ არ უნდა წახვიდეთ?

— რაღა თქმა უნდა!

— უი, რა ძალიანა მწყინს! ნეტავ კი არ წახვიდეთ!

ორივენი დავფიქრდით. დიდხანს ვიარეთ ჩუმადა და შემდეგ ისევ გავმხიარულდით; იამ თავისთან დამპატიჟა: პროვინციის ერთი პატარა ქალაქიდანა ვარ, როცა პატარა თავისუფალი დრო იშოვოთ, წამოდით ჩემთან, დედის ერთა ვარ და ჩემი მშობლები ჩემ საყვარელ ადამიანს დიდი სიხარულით მიიღებენო...

მივაცილე სახლამდე. შესავალში დიდხანს ვილაპარაკეთ, შემდეგ პაემანი უნივერსიტეტში დავნიშნეთ მეორე დღისთვის და წავედი შინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ შინ მივიდოდი, გზაში ლექსსა ვთხზავდი; შინ რო მივედი, მოვმებნე ქაღალდი და დავწერე:

„ამ ქვეყნადა ვარ, ვით უცხოეთში
და სულ ერთს ვამბობ მე საკითხავსა:
სად მაქვს სამშობლო მზის ქვემორეთში,
უზენაესო, მითხარი მგზავრსა,
ვპოვებ მე კერას ამ სიარულში?
ან რა იქნება, სვე-გარეწარსა
პატარა ბინა მომცე შენს გულში?

—

მე სულ მეგობრებს ვეძებდი სოფლად,
მაგრამ ვპოვებდი მარტოდენ მტერთა,
ტრფობას ვეძახდი გულს მისაყრდნობლად
და სიძულვილი მესვენა მკერდთა.
უზენაესო, მითხარი მგზავრსა,
ვპოვებ მე კერას ამ სიარულში?
ან, რა იქნება, სვე-გარეწარსა
პატარა ბინა მომცე შენს გულში?

—

მომწყინდა ძებნა სიყვარულისა,
ვსთქვენ: აწ სიძულვილს მოვძებნი მეთქი
და შენა გპოვე, ვარდო გულისა,
ჩემს ტანჯვათ გზაზე ამონაფეთქი.
გპოვე, შევდექი შენს კარებ წინა
ქანცმილეული გრძელ სიარულში
და, რა იქნება, შემიშო შინა,
პატარა ბინა მომცე შენს გულში?

—

დღე რო ჩაიწევს და დასავლეთი
სულ ჩაიწოვს მზეს მიმკრთალი ბაგით,
მე, აქამომდე ცრემლების მწვეთი,
მოვალ შენდამი ტრფობის სიშმაგით
მოვალ და იმას ვიმღერ მღიმარე,
რასაც ჯერ კაცნი არ მოსწრებიან
და, რაც დღესნამდე ცრემლები ვღვარე—
სულ ყვავილებად გაიშლებიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავწერე და იმ ღამესვე გაუგზავნე საქართველოში ერთ-ერთ უმთავრეს ქართულ გაზეთს. შემდეგ ბედის კმაყოფილი ჩავწექ ლოგინში და ახალ ლექსებს ვიგონებდი. ვამბობდი: აი, ახალ ცხოვრებას ვიწყებ და ჩემს ლექსებშიაც ახალი სული შევა მეთქი. ამას იქით, რაც ლექსებს დავწერ, სულ ერთ წიგნად გამოვცემ და ამ წიგნს სახელად „ია"-ს დავარქმევ; როცა ია ამას გაიგებს, ორი ერთმანეთისკენ ლტოლილი ქვეყანა შეერთდება და ისე გვეყვარება ერთმანეთი, რო მომავალი თაობა ზღაპრად უამბობს თავის შვილებს ჩვენს სიყვარულს. მე რო ომში წავალ, ია ჩემ სურათს დაიდგამს წინა და დღე-ღამეებს ლოცვებში გაატარებს, იმისი ჩემდამი სიყვარულით სავსე ლოცვები გადამარჩენს და, როცა უკან დავბრუნდები, ველარც ენით გამოვსთქვავ და ველარც კალმით ჩვენ სიხარულს ყოველი მისი ნაბიჯი ჩემ საკეთილდღეოდ იქნება გადადგმული ცხოვრებაში, ყოველი ჩემი ნაბიჯიც მის საკეთილდღეოდ და ასე გავწევთ წინ, საუკუნო ბედნიერებისაკენ. ერთად მოვკვდებით და ჩემი წიგნი, რომელსაც „ია" ერქმევა და რომელშიც აწერილი იქნება ჩვენი წმინდა სიყვარული, ორივეს ძეგლად დაგვედგმება გულზე, სადაც მოვა მრავალი შეყვარებული და მუხლთ მოიყრის, როგორც წმიდათა წმიდის წინაშე...

მეორე დღეს სულ მხიარული ვიყავი და სულ იიაზე ვფიქრობდი.

იმდენად წმინდათ მივიღე ია, რო მას ლალი აღარ დავარქვი; მისი სახელი გარდაიქცა იმ სახედ, რომელიც ლალისა ჰქონდა ჩემს ოცნებაში და მთელი დღე სულ საათს დავყურებდი, მალე გასულიყო დრო, რადგანაც საღამოთი უნდა შევხვედროდით ერთმანეთსა და ძალიან ბევრსაც მოველოდით ამ საღამოსაგან.

საღამოს ხუთი საათი გახდა. მართალია ლექცია ექვსზე იწყებოდა, მაგრამ ადრე წავედი და თანაც ეტლით, რომ ჩქარა მივსულიყავი.

ექვსის ნახევარზე მივედი.

ძალიან მხიარული სახე მქონდა. ყველას უღიმოდი და მეტი სიცოცხლე მეტყობოდა ხელად შემოვირბინე უნივერსიტეტის ყველა აუდიტორიები, მაგრამ ია ჯერ არ მოსულიყო. კიბეზე ავირბენდი და ჩამოვირბენდი, რომ შემოსვლისათანავე დამენახა.

ექვსი საათი გახდა, მაგრამ ია ჯერ არსადა სჩანდა.

ცოტა დავლონდი.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ია კიდევ არსადა სჩანდა.

უფრო მეტად დავლონდი.

გაიარა კიდევ რამდენიმე ხანმა, ლექცია დაიწყო და ია კიდევ არსადა სჩანდა.

პირველი ლექცია რო გათავდა, გავედი ფოეში და მაშინ მოვიდა ია. მაგრამ აღარ გამეხარდა. მივედი ახლოსა და დაღვრემილი სახე ჰქონდა. ხელი ჩამომართო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მერე მითხრა: დღეს ცუდ გუნებაზე ვარ, ლაპარაკს ნუ დამიწყებთ, თორემ შეიძლება შეურაცყოფა მოგაყენოთ, ნურც სახლში გამაცილებთო.

ხელები ჩამომცვივდა

დავლონდი მოინგრა ჩემს თავზე ჩემივე ფიქრით აშენებული კოშკი და ქვეშ მოვყე კვნესას, ოხვრას შემეზიზღა თავი და ვეკითხებოდი მას: რას ეძებ, რა დაგიკარგავს? ნუ თუ ვერ მიჰხვდი, რომ ოცნება—სინამდვილე არ არის? რომ ჩემს ოცნებაში წარმოდგენილი სული მხოლოდ სურვილია ადამიანისა და სინამდვილეში არ მოიპოვება? ან რა ვარ, რომ ამდენიხანი ვერ შეუფერე თავი ადამიანურ ცხოვრებას, რომ ვერ მოვახერხე მეცხოვრა ისე, როგორც სცხოვრობენ ადამიანები, როგორც შეეფერება მეოცე საუკუნეს?!.

ჩამოვირბინე უნივერსიტეტის კიბე, საჩქაროდ ჩავიცვი შინელი და გავქუსლე, მაგრამ საით? არ ვიცოდი.

კუდამოძუებული მივრბოდი, რომ უცბად შემომესმა:

— გოგი! გოგი!

მივიხედე და ჩემი ყოფილი დიასახლისი მელანია მეძახდა:

— როგორ გამიკვირდა, რომ პრაპორშჩიკის ფორმაში გნახეთ!

— გამარჯობათ, მელანია, როგორა ხართ?

— ძალიან გამეხარდა, რომ თქვენ ეხლა პრაპორშჩიკი ხართ.

— დიახ, ეხლა ბევრი ფული მაქვს, ეხლა სადაც გინდათ, წამოგყვებით. აბა ეტლი! ეხლავე გაგაქანებთ ქალაქ გარედ, მაგრამ ეხლა იქ ცივა, სხვაგან სადმე, ნომერში...

— რა სისულელეებს ამბობ, გოგი!

— როგორ, სისულელეებს! განა ერთხელ, თქვენ არ იყავით, რო მეხვეწებოდით, ქალაქ გარედ ბაღებში წამომყეო? მაშინ ფული არა მქონდა, მაშინ ღარიბი სტუდენტი ვიყავი და აი, ეხლა ბევრი ფული მაქვს, პრაპორშჩიკი ვარ და, სადაც გინდა, წამოგყვებით.

— რა სისულელეებს ამბობ, გოგი, რატომ წინ არ დაიხედავ?

— განა იქამდეც მივიდა საქმე, რომ ნამუსზე ხელ-აღებული, ქუჩის გომბიოც უარს მეუბნება? განა ჩემი ბუნება იმისთვის ინახავდა თავის მშვენიერს, შეურყვნელ ყვავილებს, რომ ქვეყნის სათრეველა დედაკაცსაც აღარ მიეღო? გამშორდით! ამ ყვავილებს წავიღებ და ისეთ ალაგას დავმარხავ, სადაც ადამიანის ვერც ფეხი, ვერც ხმა და ვერც თვალი ვერ მისწვდება...

გავშორდით, მაგრამ საით წავსულიყავ, არ ვიცოდი. ვისთან გამექარვებინა დარდი, მწუხარება? არც ისეთი ამხანაგი მყავდა ვინმე, ვისთვისაც შესაძლებელი ყოფილიყო აღსარების თქმა, გული კი ივსებოდა სათქმელით და აპირებდა გაპობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა ღმერთს! სრულიად მოულოდნელი ბედი მეწვია ამდროს! სტეფანე ჩამოსულიყო ფრონტიდან ერთი-ორი დღითა და გიორგის ჯვარიც მიეღო.

— რა კაი დროსა გნახე, სტეფანე, რო იცოდე!

— რაღა კაი დროს, ჩემო კარგო, ამაღამ თორმეტი საათის მატარებლით მივდივარ ისევ ფრონტზე

ძალიან დავღონდი და თავი ჩავქინდრე.

— რათა გაქვს, გოგი, ეგეთი დაღვრემილი, დატანჯული სახე? რაც ამხანაგები ვართ, შენ ეგეთი არ მინახვიხარ. ალბად რაღაცა დიდი ამბავია შენ თავს.

— სტეფანე, რო გითხრა ჩემი ამბავი, გაიცინებ და მეც მეცინება ჩემს თავზე,—საცინელიცა ვარ და სატირელიც...

— ხომ არავინ შეგიყვარდა, ბიჭო?!

— ეეეჰ!.. ამოვიოხრე.

— წამო, სადმე დავსხდეთ, მაგაზე კარგა მოგელაპარაკები, მაგ შემთხვევაში მე უფრო მეტი დაკვირვება და გამჭრიახობა მაქვს.

წავედით და ერთ კაფეში დავსხედით.

მოგვიტანეს ჩაი.

— ყველაფერი უბედურება შენი იმაშია—მეუბნებოდა სტეფანე—რომ შენ პოეტი ხარ, ყველაფერს ლამაზადა ჰხედავ, რაც ლამაზი არ არის, იმასაც ალამაზებ და ცხოვრებაში კი სულ სხვა არის. ვიცი, ოცნებაში მშვენიერი, ყოველის მხრით შემკული, სრული, იდეალური ქალი გყავს შექმნილი და მას დაეძებ სინამდვილეში. ყველანიც ასე ვართ, მაგრამ ჩვენ შენგან იმით განვსხვავდებით, რომ შენ არაჩვეულებრივი ქალი გყავს ოცნებაში, რომ შენი ოცნება ძალიან განსხვავდება ჩვენი ოცნებისაგან, სინამდვილისაგან, რომ ჩვენ უფრო ახლო ვდგევართ სინამდვილესთან, ცხოვრებასთან, ვიდრე შენა და ამიტომ ჩვენ მალე ვპოულობთ, ხოლო შენ ვერასოდეს შენი მეორე ნაკლიც ვიცი: ჩვენ გონებაში შექმნილ ქალს ვეძებთ და მხოლოდ მაშინ შეგვიყვარდება, როდესაც მას ვიპოვით; შენ კი, რომელ ქალთანაც მიხვალ, თუ ის გარეგნულად მოგეწონა, შენი ოცნებით შექმნილი ქალი გგონია და ისე შეგიყვარდება, რომ ჯერ სახელიც არ იცი ხოლმე მისი. ჯერ უნდა ეძებო, კარგათ ასწონ-დასწონო ნაპოვნი და სანამ არ დარწმუნდები, რომ იპოვე, ვისაც ეძებდი, არ უნდა გაიტარო მისი სიყვარული გულში.

— დასწყევლოს ღმერთმა ჩემი ეშმაკი! რა მართალს მეუბნები, სტეფანე! მაგრამ რო არა მკითხავს ხოლმე ეგ ოხერი სიყვარულია, თუ რაღაცა ჯანდაბა! ისე ჩუმად შემოიპარება ხოლმე გულში, თითქო სულ შიგ იყოო. ესეც ალბად ერთი დიდი ნაკლია ჩემი. მაგრამ ეხლა ყველაფერი გათავებულია. ამ გრძნობას სამუდამოთ გაუთხარე ჩემს გულში სამარე და აღარ მივცემ ნებას თავი წამოყოს. მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენსავით ხვალ, თუ ზეგ ომში წავალ. იქ დამავიწყდება ყველაფერი. სიცოცხლე მომძულდა და საშინლად მინდა ომში წასვლა. ეხლა მხოლოდ სისხლი-ღა მწყურიან ადამიანებისა. დღეს შენა გნახე და ძალიან მოხარული ვარ. ამის შემდეგ ველარ შევხვდებით ერთმანეთს. ხომ იცი ჩემი ხასიათი, რაკი ერთი ჩავებმები ბრძოლაში, ერთ ნაბიჯსაც აღარ გადმოვდგამ უკან. არც მინდა უკან დაბრუნება. ცხრამეტი წელიწადია, რაც მზეს უყურებ და იმდენი განვიცადე, რამდენსაც ვერ განიცდიდა ადამიანი, ათასი წელიწადი რომ ეცოცხლა... მომწყინდა სიცოცხლე, მით უმეტეს, რომ დავრწმუნდი, არარა ვარ, მეტი ვარ ქვეყანაზე.

— რათა გგონია, გოგი, რო მეტი ხარ?

— როგორ არ მეგონოს, როცა ამ ცხოვრებაში ქალის მეტი ვერა მომიძებნია-რა, რომ ქალის მეტს ვერაფერსა ვხედავ? ეხლა მე აბა რა საქმე შემიძლიან უნაყოფო ფიქრებისაგან გალაყებულს, მოწყვეტილს, მოქანცულს?—მეტი ვარ, სტეფანე, მეტი!

— რათა ხარ მეტი. აი, ჯერ ერთი ის სარგებლობა მოგაქვს ხალხისთვისა, რომ ლექსებსა სწერ.

— რა არის ლექსების წერა! შენ სხვა რამე სთქვი, თორემ მაგაზე ადვილი და გასართობი სხვა არა არის-რა ქვეყანაზე. მერე მე რა პოეტი ვარ? რა შემიძლიან დავტოვო ისეთი, რო შთამომავლობამ მადლობით მომიხსენიოს? დიდი რო შემეძინა რამე პოეზიისათვის, მწიგნობრობისათვის, მეპატიებოდა ყველაფერი, მაგრამ ეხლა რა ვარ? მოვკვდები და არყოფილად ჩავითვლები. აი ეს მაწუხებს, სტეფანე, ეს!

— რა დროს შენი ეგენია, ათი წელიწადი არც კია, რაც ფეხი აგიდგამს.

— არის, სტეფანე, ერთი მცენარე ყველაზე ადრე აყვავდება და ყველაზე ადრეცა ჭკნება ხოლმე. მეც იმ მცენარესავით ადრე ავყვავდი და ადრეცა ვჭკნები.

სტეფანე დაფიქრდა და ამდროს საათმა თერთმეტი დაჰკრა.

— ეხლა უნდა წავიდე, თორემ დამიგვიანდება, სთქვა სტეფანემ და ორივენი ავდექით.

გავშორდით ერთმანეთს. მატარებელი რო დაიძრა, მივაძახე: ბიჭო, თუ მოგკლან, შემატყობინე მეთქი. სტეფანემ გაიცინა და გადმომძახა: რაღა შეგატყობინო, შენც იქ არ ამოხვალო?!.

სალამი თქვენდა, მინდვრებო მწირნო! სალამი შენცა, ფიქრთუწვდენო ცავ! ცავ, ხან გახსნილო, ხან მოღუშულო! ცავ, ხან მრისხანევ, ხან მონარნარევ! სალამი შენცა, აღმოსავლეთო, მზეს რო ჰშობ ხოლმე! სალამი შენცა მის დასავალო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეს რო გულს უღებ ღამის სათევად! სალამი შენცა, ბნელ ღამეებში მავალო მთვარევ, რომლის გზა-კვალსაც თვალს ვადევნებდი გაჩენის დღიდან, რომლის სახეცა ნაღველსა მფენდა და ჩემს ლექსებში წყნარ ნაღველადვე იფურჩქნებოდა... სალამი შენდა, მთელო ბუნებავ!.. სალამი შენდა! სალამი შენდა!

კვლავ ველირსე მე ვარსკვლავიანი ცის ქვეშ დარჩენას, რომ დავასვენო ჩემი ბუნება უბუნებობით ქანცგაწყვეტილი! მაგრამ სალამი თქვენც, ზარბაზნებო, სიკვდილის მფენნო, რომელნიც მრავალ შვილს დაუბრუნებთ პირველყოფილსა მდგომარეობას, რო შემდეგ ისევ მოვიდნენ სოფლად სხვა გვარ სიცოცხლით, სხვა გვარი, უფრო ბრწყინვალე სახით ისევ იმავე სიკვდილისათვის, დღეს ჩოო მეფე... სალამი თქვენდა! სალამი თქვენდა!..

ასეთი სალამი ითქვა უსიტყვოდ ჩემს გულში, როდესაც ჩავედი ჩემი ჯარით ბრძოლის ველზე.

ჩავსხედით თხრილებში.

დალამდა.

ღრუბლებიდან ამოცურდა სავსე მთვარე და იყო სიწყნარე.

„აი, ის მთვარე—ვამბობდი გულში—სწორედ პარიზელი ქალია, რომელიც სახეს იცვლის ყოველ წამსა და წუთში“!

„ჩემს მწუხარებასა ჰგავს ის მთვარე: ხან ივსება, ხან ილევა, მაგრამ არასოდეს კი არა ჰქრება სამუდამოთ“.

„არა, ჩემს ბედსა ჰგავს ის მთვარე: ხან დაიკარგება,— ხან გამოჩნდება“.

„არა, სიყვარულსა ჰგავს ის მთვარე: ათასნაირ სახეს იკეთებს და მუდამ კი ერთნაირად მაფიქრიანებს, ერთნაირადა მტანჯავს“...

ამდროს დაიგრიალა მტრის ბანაკიდან ზარბაზანმა და აგვაფუსფუსა ყველანი. ჩავახველეთ. მოვიკრიფეთ გაბედულება და გავეცით დინჯი პასუხი მტერს. დაიგრიალეს ჩვენმა ზარბაზნებმაც; ტყვიის მფრქვეველი მოჰყვა გაუთავებელ წკმუტუნს, თოფებმაც ასტეხეს ხივილი, მოფრინდა ციდანაც უშველებელი ფრინველი, გადმოანთხია სიკვდილის მფრქვევი ნაკვერცხლები და გაიდო ცა-ქვეყნის შუა ცეცხლის ხიდი, რომელზედაც გადი-გამოდიოდა ალისფერ ენა ამოგდებული შავი სიკვდილი.

გაჰქონდა ცა და ქვეყანას დანდგარი და ვამბობდი გულში: სადღაა ის ფიქრები, აქამდე რო მასაზრდოებდა? სადღაა ლალი? სადღაა ია? სადღაა მელანია? სადღაა სიყვარული?.. ეს ფიქრები სულ გაიკრიფნენ თავიდან და ვყვიროდი განუწყვეტლივ:

— დახოცეთ! დახოცეთ!

ვიცოდი, რომ დამარცხებულად შინ დაბრუნებას სიკვდილი სჯობდა, მით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტეს, რომ სატრფონი გამარჯვებულებსაც ჰღალატობენ ხოლმე და ვიძახდი გრგვინვით:

— დახოცეთ! დახოცეთ!

ისიც ვიცოდი, რომ ვერც ერთი ველარ ნახავდა ნამუს შენახულს თავის ცოლს, დას, შვილსა, და ვიძახდი მწარედ:

— დახოცეთ! დახოცეთ!

ისიც კარგად ვიცოდი, რომ არც ერთი ჩემი მეგობარი არ გადურჩებოდა იმ საშინელ მსოფლიო ომს, რომ ჩემი უკან დაბრუნება ცოცხლებში მხოლოდ მარტოობა იქნებოდა და ვიძახდი:

— დახოცეთ! დახოცეთ!

მთელი ჩემი სიცოცხლე სიყვარულის ძებნაში დავლიე, სულ მშვენიერებას ვეძებდი, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა ქვეყნად და რაღა დამრჩენოდა? ხოლო რაც დარჩა, იმაზე ვიძახოდი მხნედ:

— დახოცეთ! დახოცეთ!

მაგრამ უეცრივ გასქდა ჩემს გვერდით ჯოჯოხეთის მანქანა და ის-ღა დავინახე, ჩემი ჯარის კაცები როგორ მირბოდნენ, მიწაზე კი არა, მაღლა, ღრუბლებში... ეს მეჩვენა... სხვა აღარაფერი მახსოვს...

— როგორა გრძნობ თავს? მკითხა მშვენიერმა ასულმა.

— ლალი, შენა ხარ?

— ვინ ლალისა კითხულობთ?

— აი, მე რო მიყვარს, იმ ლალის.

— მე და ვარ.

— მე და არა მყავს, ერთად-ერთი დავრჩი დედ-მამას.

— სათნოების და ვარ, სათნოების და!

— ღმერთო ჩემო, სადა ვარ? თუ ღმერთი გწამთ, ამიხსენით, სინამდვილეა, რასაც ვხედავ, თუ სიზმარში ვარ?

— სინამდვილეა. თქვენ ლაზარეთში წევხართ.

— ლაზარეთში რა მინდა, რეებს მეუბნებით!

— თქვენ ომში იყავით, ზარბაზნის ტყვიამ დაგაბორიელათ და დაჭრილიცა ხართ. სიცხე ხომ აღარა გაქვთ? აბა მაჯა მიჩვენეთ.

— მაშ თქვენ სათნოების და ხართ?

— დიახ.

— ერთი მითხარით, სათნოება და სიყვარული ხომ არა ჰგვანან ერთმანეთს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რათა მკითხავთ მაგისთანა უცნაურ რამეებს?

— იმისთვის, რომ ერთი ქალი მიყვარდა, იქნება თქვენ ისა ხართ?

— მე თქვენი და ვარ, და!

— ო, ღმერთო, ღმერთო! რა სიმარტოვეა! რა მოსაწყენია სიცოცხლე! ომი ხომ არ გათავებულა? ან სანამ მოვრჩები, ხომ არ გათავდება?.. ნეტავ უჩემოდ არ გათავდეს!

— რატომ, განა კიდევ გინდათ ომში წასვლა?

— დიახ, იქ ნამდვილი ადამიანები ვნახე და კიდევ მინდა მათი ნახვა, თორემ აქ, თქვენი თეთრი ანგელოზის ქვეშ ვინ იცის რამდენი შავი ეშმაკი ბუდობს?!.

— თქვენ სიცხე გაქვთ... დაიძინეთ...

— ლალი, ლალი! ნეტავ გამაგონა შენი ხმა!

*
* *

ცოტა-ცოტა გამოვბრუნდი, მაგრამ სიცხეს მაინც მაძლევდა, ეტყობოდა, კიდევ დიდხანს ვიწვებოდი.

ვიღაცა შემოვიდა ჩემს პალატაში და სათნოების დასა ჰკითხა, ჰღვიძავსო?

ვიცანი, ჩემი ყოფილი დიასახლისი იყო.

— მელანია!

— გღვიძავთ, გოგი?

— გამარჯობათ, მელანია! სულ ვერ მოვიფიქრებდი, თუ აქა გნახავდით. განა თქვენ სათნოების დათა ხართ აქა?

— დიახ, აქა ვარ, განა არ იცოდით?

— ჰო, ჰო, მახსოვს, მაგრამ რა არის საერთო თქვენსა და სათნოებას შორის?. ეჰ, ეს კი არა და მითხარით, როგორ არის თქვენი ვასიკა? ან მარინეტა? ან აგნესა? ან თქვენი ქმარი?.. უკაცრავად, მგონი თქვენ ვერ მიხვდით, რომელ ქმარზე მრგახსენებთ, აი იმ ქმარზე კი არა, „საზღვარგარედ“ რომ წაგიყვანათ, იმ ქმარსა გკითხავთ, არხეინად რომ იყო წამოწოლილი ტახტზე და პაპიროზს აბოლებდა იმ დროს, როცა მისი ცოლი სხვას მიჰყავდა... კარგათ არიან? ან თქვენ რასა იქთ? ეხლა ვისთანა ხართ? ქმართან, თუ სხვასთან?.. მაგრამ ეს კი არა, სტეფანესი ხომ არა იცით-რა? ნეტავი კიდე მენახა! ვინ იცის, ისიც ჩემსავით დაჭრილი წევს რომელიმე ლაზარეთში და იმასაც თქვენისთანა და ადგა თავს... იქნებ მოკლეს კიდეც?.. მელანია, მითხარი რამე!..

— სიცხე გაქვთ, მოსვენება გინდათ.

— ოღონდაც, რომ სიცხე მაქვს... მომეცალენით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამეძინა, მაგრამ არც დამეძინა, ორთა შუა ვიყავი, ძილსა და ღვიძილს შუა. თითქო კარეტით ვიღაცა დადგა ჩვენი ლაზარეთის შესავალში და იკითხა: გოგი აქა წევსო?

პასუხი გასცეს.

შემოვიდა.

წამოვიხედე და ვიცანი ლალი.

— ლალი, ლალი! აქ ვინ მოგიყვანა? როგორ გაიგე, რომ აქ ვიწექი?

— მაშ ვინ უნდა გაიგოს შენი ამბავი, თუ არა მე! მითხრა და ავადმყოფ შუბლზე ხელი გადამისო. თითქო გამოვცოცხლდი, გავმხიარულდი, თვალებში სინათლე მომემატა და მომინდა სიცოცხლე. ისე მომინდა სიცოცხლე, რომ უცბად მომაგონდა ბრძოლა და გამაჟრჟოლა.

— გიხარიან, ლალი, რომ ცოცხალი გადავრჩი?

— აბა რა საკითხავია! რა საკვირველია მიხარიან! მაშ ვის უნდა გაუხარდეს, თუ არა მე! მითხრა ალერსითა და კიდევ ხელი გადამისო ავადმყოფ შუბლზე.

უფრო მეტი სიცოცხლე დამეტყო. ამოვიოხრე, რაც სადარდებელი მქონდა და ისე დავმშვიდდი, თითქო ეზიარაო.

— ლალი... გიყვარვარ? უთხარი მოწყენილი ხმით.

— მაშ ვინ უნდა მიყვარდეს, თუ არა შენ?

— მერე, სხვებიც გიყვარს?

— სხვებისთვის კეთილ საქმეს გავაკეთებ, უშველი გაჭირვებულებს, კეთილ გზაზე დავაყენებ, არაფერს დავზოგავ მათ გაჭირვებისაგან გადასარჩენად, მაგრამ სიყვარულით კი მხოლოდ შენ მიყვარხარ. მითხრა და ჩემი მაჯა ხელში აიღო:

— ოცდა ცხრამეტი გრადუსი სიცხე აქვს! ხმა მაღლა სთქვა ბებერმა ექიმმა ქალმა. მის ხმაზე გამოვერკვიე, ამოვიოხრე და ბოლოს ისევ წავედი ბურანში...

— რათ წახვედი ომში? მისაყვედურა ლალიმ: განა იმისთვის მიყვარდი, რომ წასულიყავ, ხალხი გეხოცნა და შენც შემოჰკდომოდი მათ?

— მაპატიე, ლალი! მეგონა, არ გიყვარდი!

— აბა, ეგ როგორ იფიქრე! შენს უმანკო ფიქრებში ვიზრდებოდი ვარდათ მხოლოდ იმისთვის, რომ შენი მკერდი შემემკო და განა ამას არა ჰგრძნობდი?

— არის კი სიყვარული, ლალი?

— როგორ არ არის!

— მერე, რასა ჰქვიან ეგ სიყვარული, ლალი?

ამის პასუხად ლალი მძიმე-მძიმედ დაიხარა და მისი მხურვალე სუნთქვა შეუერთდა ჩემ სუნთქვას, შემდეგ ხელი გადამისო შუბლზე და ღიმილით დამიწყო თვალებში მზერა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ მალე მოგვარჩენ, წაგიყვან აქედან სულ შორს, შორს, სადაც ადამიანის ხმა არ მოდის, მკერდით შეუერთდები შენს მკერდს და სიკვდილამდე ვიქნები შენთან, გინდა გოგი?

— ო, როგორ მინდა! როგორ ბედნიერი ვიქნები, ლალი! ომში ხომ აღარ გამგზავნიან?.. მე აღარ მინდა ომში წასვლა!

— ომში რად გაგიშვებ! შენ იქ უნდა იყო, სადაც სიყვარულია, სადაც მე ვარ და მე ომში რა მინდა!

— რა ბედნიერი ვარ, ლალი, რა ბედნიერი! ლალი, ხვალე რო მოხვალ ჩემთან, მაშინაც ისევ ესეთი კარგი იქნები? ნეტავი კი გული არ გამოიცვალო და!

— არა, ბიჭიკო, არა! უცნაურ რამეებს ნუ ამბობ.

— რა ვიცი, ვინც ქალი ვნახე, ყველა მატყუარა გამოდგა: დღეს გაგიღიმებს, ხვალ ზურგს შეგაქცევს — ვერ ვიპოვე ჩემი გუნების ადამიანი.

— როგორ არა, იგი ნაპოვნია, განა ვერა ჰხედავ?

— ვხედავ, ვხედავ, მაგრამ თვალებზე კიდევ ბინდი მაქვს ავადმყოფობისა გადაკრული, სულ კარგა მაინც ვერა ვხედავ.

— აჰა მაშ აი, კოცნით გადაგიწმენდავ ბინდს თვალებზე.

ხელი მომხვია და საკოცნად დაიხარა, მაგრამ ხელში რაღაცა მოჰხვდა უბეში შეყოფის დროს, გამოიღო და ხმა-მაღლა სთქვა:

— კიდევ სიცხე აქვს.

გამოვერკვიე ბურანიდან. ისევ ბებერი ექიმი ქალი მედგა თავს. ხოლო პირდაპირ, მეორე ოთახში ორი სათნოების და დაჭრილ აფიცრებს ელაზღანდარებოდა ვიცანი ეს ორივენი ისინი იყვნენ, რომელნიც პირველად გავიცანი და რომელნიც სათითაოდ ისე დავკარგე, რომ სახელიც ვერა ვკითხე მერე ვიღაცამ დაიძახა, ლარისაო და მომაგონდა ის კურსელი ქალი, ჩემმა მეზობელმა სტუდენტმა რო მოიყვანა ღამე. მერე თვალი მოვკარ ქართველი სტუდენტის ცოლს და, თითქო მომესმა კიდეც „არ შეგცივდესო“. ბოლოს ვიღაცა აფიცერი შემოვიდა ჩემს პალატაში, რომელსაც ხელი-ხელ გაყრილი შემოჰყვა ია. გამიკვირდა და განცვიფრებულმა წამოვიძახე:

— რა უბედურებაა! ქვეყანა აქ შეყრილა ჩემ სატანჯველად!

— სიცხე გაქვთ .. მოისვენეთ. . მითხრა ექიმმა

ამოვიოხრე. გადავბრუნდი და ჩავიძინე.

თითქო მღვრიე ჰაერში, ან მდინარის ძირში წევსო, ისეთი ბურუსი იყო ჩემს ირგვლივ. გარკვეული არა იყო-რა ჩემს გონებაში. მერე ისევ მოიწმინდა. ღიმილით შემოირბინა პალატაში ლალიმა და იკითხა:

— როგორ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისევ სიცხე აქვს, უთხრეს.

ჩემ ტახტზე ჩამოჯდა ლალი, მკლავი მომავლო თავზე და დიდხანს მიყურა თვალებში. სიცხეში ტუჩებს ვათრთოლებდი და ლალი მათ თვალს არ აშორებდა.

— დაურეკეთ ტელეფონით ჩემ შოფერს, ეხლავე ავტომობილი მოიტანოს აქ, უთხრა იქ მდგომ დას ლალიმ.

— რა ნომერია თქვენი შოფერის ტელეფონი?

— 3—08—16.

სათნოების და ტელეფონთან გაიქცა. ლალი ისევ ისე დაჯდა და დაკვირვებით დამიწყო ყურება თვალებში. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ დამავიწყდა. შემდეგ მომაგონდა და გავიჩუჩუნე სათქმელად, მაგრამ ენა ვერ დავძარ. ლალიმ თავზე წამავლო ხელი და მკითხა:

— როგორა ხარ გოგი?

ხმა ვერ ამოვიღე.

— უნდა გეთქვა რამე, გოგი?

კიდე ვერ ამოვიღე ხმა.

— ეხლავე! დაიძახა სათნოების დამ, შოფერს რომ დაურეკა ტელეფონი. სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი სიჩუმე, თითქო სულ მკვდრები აწყვია ირგვლივაო. რამდენჯერმე მინდოდა რიღაცის თქმა სიჩუმის დასარღვევად, მაგრამ ვერ დავძარ ენა.

— ავტომობილი მოვიდა, სთქვა მოსამსახურემ.

ლალი ადგა და მე ცოტათი გავტოკდი.

— დაუძახეთ მოსამსახურეებს, მძიმე-მძიმედ წამოიღონ ავტომობილში ავადმყოფი. ჩემთან წავიყვან და თვითონ მოუვლი, თვითონ მოვარჩენ, აქ ყურს ვერ უგდებენ კარგა.

ციმ-ციმ ამიღეს, წამიყვანეს და დამაწვინეს ავტომობილში.

— არავინ გინდა მშველელი? ჰკითხა ლალის დამ

— არა, თვითონ მოვახერხებ ყველაფერს.

მერე შოფერს უთხრა, ფრთხილად წასულიყო.

ლალი გვერდით მომიჯდა, ხელი მომხვია და ავტომობილი დაიძრა.

მივედით.

საშინლად დიდს, მშვენიერ სასახლის წინ დადგა ავტომობილი. იქიდან ლალის მშველელები გამოეგებნენ, საჩქაროდ გადმომიყვანეს და ფრთხილად ამიყვანეს კიბეზე. კიბე მარმარილოსი იყო. კედლებზე სხვადასხვა მშვენიერი სურათები იყო დახატული და მათ შორის მთებიც. გაკვირვებით უყურებდი სრა-სასახლის საკვირველ კედლებს და გული უცნაური გრძნობით მევსებოდა.

შემიყვანეს სახლში. გამატარეს რამდენიმე დიდი, ზღაპრულად მორთული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახი და ერთ მშვენიერს, მყუდრო ოთახში დამაწვინეს. ისეთ ტახტზე დამაწვინეს, რომ ვერ გამომეცნო, ვიწექ რამეზე, თუ ჰაერში ვიყავ გაჩერებული.

მოვიდა ლალიცა და გვერდით მომიჯდა. დიდხანს მიყურა, დიდხანს მიყურა და შემდეგ მკითხა:

— როგორა ხარ, გოგი?

— როგორა ხარ? მკითხა მეორედ.

— როგორა ხარ, გოგი? მკითხა მესამედ.

— გოგი! გოგი! გოგი!

თვალები გავახილე. ისევ ის ბებერი ექიმი ქალი მედგა თავსა და მეუბნებოდა: აბა იღლია აიწი, უნდა სიცხის საზომი გაგიკეთო, სიცხე გაგისინჯოო.

სიცხის საზომი ჩამიდო იღლიაში. .

აქათ-იქით მივიხედე. აღარავინ იყო. ყველანი სადღაც გაკრეფილიყვნენ.

ისევ ჩავინთქე ბურანში.

ლალი მეორე ოთახში გასულიყო, სანამ სიცხის საზომავი გაზომავდა სიცხესა და მერე ისევ შემოირბინა. გამომაცალა სიცხის საზომავი და მხიარულად წამოიძახა:

— მადლობაა ღმერთს! სიცხემ უკლო!

უცბათ ვიგრძენ გამოკეთება. გამოვერკვიე სიცხიდან. მივიხედ-მოვიხედე, ლალი იქ აღარ იყო. დაუძახე:

— ლალი! ლალი!

საჩქაროდ გამოვარდა მეორე ოთახიდან ლალი.

— გოგი, როგორა ხარ? რა გამეხარდა, რომ დამიძახე!

— კარგათა ვარ, კარგათ! მოდი, ჩემთან დაჯექ.

— როგორ მიხარიან, გოგი, რომ კარგათა ხარ! როგორ მიხარიან!

— აი, მე ეხლა მალე ავდგები, ლალი, და ერთი სათხოვარი მაქვს შენთან.

— მითხარი, ჩემო კარგო, რა სათხოვარი გაქვს? მითხარ, ყველაფერს აგისრულებ. ეხლავე მითხარ.

— ლალი!..

— რა, გოგი? მითხარ, ნუ გეშინიან!

— რო უარი მითხრა?

— მე, და შენ უარი გითხრა? არა გცხვენიან, გოგი?

— მაშ გეტყვი:

„როცა ავდგები, ჩემთან წამოდი საქართველოში, ჩემს მშვენიერ საქართველოში. იცი, იქ რომ წამოხვიდე, სულ კარგათ გავხდები; მაშინ ყოველი ჩემი სუნთქვა სიცოცხლედ გადაგექცევა და სიცოცხლე ნეტარებად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში წამოდი ლალი!

საქართველოში რო ჩამოხვალ, ჭალარა მთები მოწიწებით თავს მოიხრიან შენ წინ და ათასნაირ ცრემლებს გაგიფენენ მარგალიტებად. ცელქი ნიავი მილიარდ ფოთოლთა ხელით ტაშს დაგიკრავს, ყვავილები გულს გაიხსნიან, წინ გაგეფინებიან და უთვალავ ფრინველთა უთვალავი, სხვადასხვა გუნდი სხვადასხვა ჰანგებს გიმღერს; საქართველოს მზე თავს გვირგვინად დაგედგმება, მთვარე ფერხთა ბალიშად და ვარსკვლავები შეგიმოსავენ სამოსელს ტანთა; მოვა შენთან ათი-ათასი ღარიბ-ღატაკი და წაიღებს სულიერ საზრდოს შენის ნახვით, თაყვანისცემით...

წამოდი, ლალი, საქართველოში!

ჩემი მწყემსები გარეულ ყვავილთა გვირგვინს მოგიტანენ და იმათ ისიც ეყოფათ ბედნიერებად, რომ შენ მათგან მიიღებ მას. ჩემს მწყემსობაში ერთი დეკეულა ავზარდე, ხელით ვაჭმევდი ბალახს, ჩემი ჯამიდან ვასმევდი წყალს, ჩემი ჩოხის კალთით უსუფთავებდი ტანს, ყვავილებით უმშვენებდი პაწია რქებსა და ვკოცნიდი ტუჩებში; ეხლა იმას ხბო ჰყავს და ის ჩემზე მეტად უყვარს; საღამოთი რძეს მოუტანს, მოაწოვებს, შემდეგ, შენ რომ დაგინახავს, მოვა, ყელს მხარზე გადაგაჭდობს და დაიწყებს ტუჩების ცმაცუნს; მისი ხბო გვერდით მოგიწვება, დაგაფიქრებს, აღგიძრავს ყოველი სულდგმულისადმი სიყვარულსა და ღმერთი იქნება შენთან...

წამოდი, ლალი, საქართველოში!

საქართველო ეს ის ქვეყანაა, სადაც ღმერთმა დასდო სამოთხე, რომელიც შემდეგ კაცთა ცოდვიანობამ ამოაჭკნო და ეხლა შენ გელის იგი, რათა კვლავ აყვავდეს, კვლავ გაისმას ჩქრიალი უკვდავების წყაროთა და აღსდგეს ბედნიერება დამარხული. საქართველოში უკვდავი გაჰხდები და შენი უკვდავება ვერ ამოსწურავს მის მშვენიერებას, სადაც ღმერთია თვითონ ბუნება! ყოველ დღე ახალ-ახალი აღტაცება გაგეფინება წინა, ყოველ დღე ნეტარებაში იქნები და არ მოგწყინდება იგი...

წამოდი, ლალი, საქართველოში!

იგი სამშობლოა ჩემი, იქ არის საკურთხეველი, სადაც პირველად წარმოსთქვა ბუნებამ შენი სახელი ჩემის დაბადებით...

წამოდი საქართველოში!

შენ მზე ხარ და მზე უნდა საქართველოში იყოს!

— წამოვალ, ჩემო კარგო, წამოვალ! ოღონდ ეხლავე გავიქცევი ღარიბების თავშესაფარში, სიტყვას დაუტოვებ, კარგათ მოუარონ ღარიბ-ღატაკთა და საჩუქრებიც მალ-მალე აძლიონ.

— რა კარგი ხარ, ლალი! წადი, გააკეთე ღვთისნიერი საქმე და მოდი. მანამდე მე ავდგები, ჩავიცვამ და მოვემზადები წასასვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი წავიდა.

ავდექი. ჩავიცვი. სარკის წინ გავისწორე ყველაფერი და შევჩერდი ლალის სურათის წინ, რომელიც თვითონ ლალისოდენა იყო. დიდხანს უყურე, ბოლოს თავმა წამძლია და ზედ მივეყუდე.

გავიდა საათი.

შემოვიდა ლალი და სურათზე მიყრდნობილი რო დამინახა, მომკიდა ხელი, მიმიყვანა საწოლთან, დაჯდა და მითხრა, მოდი იმ სურათის დედანს მიეყუდეო

მივეყუდე.

დიდხანს ვიყავი ლალიზე მიყუდებული და დიდხანს უყურეთ ერთმანეთს თვალებში. ბევრი გაშტერებული მზერით თავბრუ დამეხვა და ამერია ყველაფერი. თავდავიწყებაში ჩავინთქე.

— აბა, წავიდეთ საქართველოში! წამოიძახა ლალიმ და წამოხტა ზეზე.

— წავიდეთ.

— იცი, გოგი: ერთი მეცნიერი ფრანგი ნაცნობი მყავდა, მან ჰაეროპლანი მოიგონა უცნაურ სახისა, ხოლო ის ფრანგი რო მოკვდა, ჩემმავე ნაცნობმა გერმანელმა გააუმჯობესა იმ ჰაეროპლანის ტეხნიკა. ეხლა ის გერმანელი ჩემ სახლში ცხოვრობს, ხოლო ჰაეროპლანი ჩემს მუზეუმშია შენახული. ვეტყვი გერმანელსა და გაგვაფრენს საქართველოში. გინდა?

— როგორ არ მინდა! მინდა ლალი! რა ბედნიერი ვარ!

გერმანელმა ააწყო ჰაეროპლანი და გვითხრა: მზად არის.

ჩავსხედით ავტომობილში, გავედით ქალაქ გარედ, სადაც გვიცდიდა ჰაეროპლანი. ორივემ შემოუარეთ გარს, კარგა გავსინჯეთ, მოვიწონეთ და შემდეგ მაინც ვკითხეთ გერმანელს:

— საშიში ხომ არაფერია?

— არა, ბატონო! როგორც მთის არწივისთვის საშიში არ არის მისივე საკუთარი ფრთები, ისე თქვენთვის ეს ჰაეროპლანი; ისე უშიშრად იყავით, ვითომ არწივები იყოთ და მიფრინავდეთ საკუთარის ფრთებით.

ჩავსხედით.

შეტოკდა აპარატი და ჰაერში შევსრიალდით. ავიდა სულ მაღლა, მაღლა, რამდენიმე წრე დაარტყა ქალაქის თავსა და გაება სივრცეს სამხრეთისაკენ. ჩვენ გადმოვიხედეთ ძირსა და სუმთლად დავინახეთ ტახტი იმა ქვეყნისა, რომელსაც შემჭვარტლილი ბუხრები ამოეშვირა ზევითა და იდგა ბურუსში. სახლები პატარა კოლოფებსა ჰგვანდა და ადამიანები ოდნავად მოძრავ წერტილებს... „მშვიდობით, ტახტო უცხოეთისავ, მშვიდობით! ველარასოდეს ველარა გნახავ — მშვიდობით! მშვიდობით, უმთავრესო ქუჩავ, სადაც მრავალჯერ ვფიქრობდი ჩემს ლალიზე, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ოჯნებას სინამდვილე ბღალავდა! მშვიდობით, ჩემო დიასახლისო მელანია! შენ მე ველარასოდეს ველარ შემხვდები! მშვიდობით ია! შენ ველარ შეაცდენ გამოუცდელ ქართველს, რომელიც შენი მშვენიერებით იყო ერთდროს გატაცებული, რომელსაც ეგონე ლალი! მშვიდობით! მშვიდობით! მშვიდობით!

— მეტირება, ლალი!

— რათა, გოგი?.. მომეკარ გულზე .. რათა ტირი, გოგი?

— არ ვიცი, არა.

— მოიხვიე-თბილად, არ გაცივდე და ისევ ავად არ გამიხდე

— ლალი, აბა უყურე, დედამიწა როგორა ტრიალებს. დასავლეთში მზე ჩადის, უყურე! რა მშვენიერია მზის ჩასვლა! მეტირება, ლალი!

— რათა, გოგი?

— არ ვიცი .. ხომ არა გწყინს, ლალი?

— არა, ჩემო კარგო. მაგ ცრემლებს მე შეგიშრობ კოცნით...

— აგერ სულ ჩავიდა მზე. დაბნელდა. ეხლა უთხრათ გერმანელს, სადმე დავეშოთ. სადაც ჩვენ დავეშვებით, იქ სადგური იქნება ჩვენ შემდგომ.

დავეშვით.

ირგვლივ ტრიალი მინდვრები იყო. თვალი იკარგებოდა უსაზღვრო სივრცეში, მაგრამ ჩემი სევდა მაინც ვერ ეტეოდა იმ სივრცეზე.

ცეცხლი დავანთეთ; დავსხედით და ლალის ერთი ზღაპარი უამბე:

„იცი, ლალი, ეს ვრცელი მინდვრები თურმე ერთდროს წარმოადგენდა მთებით დანაოჭებულ ქვეყანას. მაგრამ ერთხელ სიყვარულის ღმერთმა ტიგროსსა და ეფრატოს შესართავიდან ისარი ესროლა საქართველოს მაღალ მთას, მყინვარს; ისარი თავზე გადასცდა მყინვარსა, წამოვიდა და ამ უსწორ-მასწორო მთებით დანაოჭებულ ადგილას ჩაერჭო; დედამიწა სიამოვნებისაგან გაიზმორა და გასწორდა, მაგრამ შემდეგ მიჰხვდა, რომ ის ისარი მისთვის არ იყო გამოსროლილი, ნაღვლიანად ამოიოხრა და ეს ნაღვლიანი ამოოხვრა დასადგურდა ამ ვრცელს მიდამოებში... მეც ნაღვლიანადა ვარ, ლალი. იქნება შენ ისარი სხვას ესროლე და მე მომხვდა?..

გათენდა. აღმოსავლეთი ვარდის ფრად იღებება და სევდას რა უნდა ჩემთან, მით უმეტეს რომ შენა გხედავ ჩემს გვერდით?

— წავიდეთ საქართველოში!

ჩავსხედით ისევ ჰაეროპლანში.

შეიფთხრიალა პროპელერმა და ავფრინდით მაღლა. მიჰქროდა ჩვენი მანქანა და ნიავი უკრავდა მშვენიერ მელოდიას, რომელიც კიდეც მაკვნესებდა, კიდეც მაამებდა, რომელიც კიდეც მაშინებდა, კიდეც მახარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ლალი ერთმანეთს მივეკარით და დამავიწყდა ყველაფერი. მხოლოდ შორს, ძალიან შორს გამოჩნდა თეთრი ქარავანი მთებისა, რომელიც შავი ზოლით უერთდებოდა ცის გადაღმართს და წამოვიძახე სიხა-ულით:

— მთები, ლალი, მთები!

რამდენი საიდუმლოებაა დამარხული. მათ მუდმივს მდუმარე გულში! რამდენი სახე ბრწყინავს ლამაზ ყვავილად მათ მკერდზე! რამდენი მშვენიერი შველი, ირემი, ჯიხვი და ქურციკი დარბის მათ გულზე თავისუფლად!

— მთები, ლალი, მთები!

ვერ წარმოიდგენ, რამდენ სახეს იკეთებენ იგინი, რამდენაირად იხატებიან თავის სხვადასხვა გვარად აწეწილ-დაწეწილ ღრუბლებში!

— მთები, ლალი, მთები!

აგერ, გამოჩნდა კიდეც მთელი საქართველო ჰხედავ, მყინვარის გადასწვრივ სამოთხის მსგავს ქვეყანას? ეგ არის საქართველო! აგერ დინჯი მტკვარი, მკვირცხლი რიონი, ზანტი ალაზანი, ცელქი იორი. აგერ ალავერდის ტაძარიც. რა დიდებულად არის აზიდული ცაში! ჰხედავ ალავერდის უკან მაღალ მთებს? ეგ თუშ-ფშავ-ხევსურეთია; როცა ალავერდობა მოვა, მთელი ეს მხარე სულ მის დღეობაში მოიყრის ხოლმე თავს...

— ლალი! ლალი!

— აქა ვარ, გოგი!

— აი, ის მთებიც, სადაც მწყემსობაში გავატარე პატარაობა! აი, ის ადგილი, სადაც მრავალჯერ წაუღივარ ოცნებას შენსკენ! აქედან დავიწყე ფიქრებით მოგზაურობა შენსკენ. . აგერ თბილისიც... აგერ ის გიმნაზიაც, სადაც ვსწავლობდი... ჩემსავით განმარტოვებულია ქალაქიდან და მარტო სდგას ფიქრებში წასული... აი, იმ ფანჯარაში გამოვიხედავდი ხოლმე, დამავალი მზე რო ბრწყინავს; იქიდან მყინვარს უყურებდი და მის მწვერვალზე შენა გხედავდი .. ნეტავი იმ დროს! მაშინ მეფის ასულადა მყავდი წარმოდგენილი... ო, ლალი, ლალი!..

ჰაეროპლანი დაეშო მინდორზე; ხელად ავტომობილი მოარბეინეს და წავედით ქალაქში.

— აი, ეხლა ჩემ სამშობლოში ხარ, ლალი! ჩემი ხარ!

— შენი ვარ, შენი, გოგი! ერთი წუთითაც ნუ შეგეპარება ეჭვი, რომ შენი არა ვარ. მაგრამ ასეთი აღტაცებით რათ გეგებება შენი ხალხი? განა აქ ყველა შენი ნაცნობია?

— არა, ეს მხოლოდ შემთხვევითა მხვდებიან ნაცნობები.

— აქ ღარიბები არ არიან? თავშესაფარს დავაარსებ მათთვის.

— არა, ლალი. ღარიბთა თავშესაფარი კი არა, აქ ავაშენოთ დიდი სასტუმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო, სადაც ყველა ქვეყნიდან. მოსულთ მასპინძლობას გაუწევთ და ვასწავლით, თუ როგორ უნდა გამასპინძლება სტუმრისა

— ძალიან პატიოსანი! ავაშენოთ .. აგერ, გაუმარჯოს ჩვენს პოეტსაო, გითხრა ერთმა ქართველმა და ქუდი მდაბლად მოგიხადა. განა შენ პოეტი ხარ?

— არა, ლალი, არა! ღმერთმანი პოეტი არა ვარ!

— რათა თაკილობ, განა ცუდია პოეტობა! აგერ კიდევ, გაუმარჯოს პოეტსაო.

— არ არის პოეტობა ცუდი, მაგრამ თუ კი არა ვარ!

— მაშ რათ გითხრა იმ კაცმა პოეტოო?

— ისე, გამოცვლის სახელს აქ პოეტს მეძახიან.

გადმოვედით ავტომობილიდან და მივდივართ ქუჩაში. ლალი ღიმილით იყურება აქათ-იქით.

— ააა, გაუმარჯოს ჩვენს პოეტს! მომეგება კიდევ ერთი ნაცნობი: როგორა ხარ? როდის ჩამოხვედი?..

გავაცან ლალი.

ლალიმა ჰკითხა:

— ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რათ ეძახით გოგის პოეტს?

— იმისთვის, რომ ეს ჩვენი ახალგაზრდა პოეტია, აუხსნა ნაცნობმა.

— მართალია?! წამოიძახა ლალიმ სიხარულით.

მაშინვე ეტლში ჩავსხედით.

გახარებულმა ლალიმ, სახლში რო მიმიყვანა, მისაყვედურა, რატო აქამდე არ გამიმხილე შენი პოეტობაო. მერე თავისი ბაგე ჩემს ბაგეს შეუერთა და ორივენი მხურვალედ დავეწაფენით ერთმანეთს...

დიდხანს ვიყავით ასე.

ბოლოს ორივენი დავსუსტდით კოცნითა და ძირს უნდა დავშვებულიყავით, მაგრამ ვიღაცამ მაჯაში ხელი მტაცა და გამოვერკვიე ბურუსიდან:

— მელანია! დაუძახა ბებერმა ქალის ექიმმა: ერთი სიცხის საზომი მოიტა .. კიდევ უმატა სიცხემ.

მწარედ ამოვიოხრე და ავქვითინდი...

მელანიამ საჩქაროდ მოურბენინა სიცხის საზომი ექიმსა და ისევ საჩქაროდ გაიქცა, რადგანაც ვიღაც პრაპორშჩიკი მოსვლოდა და მასთანა მასლაათობდა...

„ლალი! ლალი! ნუთუ შენ იგივე მელანია ხარ, რომელიც ყველას ეარშიყება და ყველას ფეხთა მტვერია?.. ლალი, მოდი აქ! მოდი, უნდა გითხრა რამ! ლალი! ლალი!“

მივწვდი ლალის ყელში, ხელი წაუჭირე დასახრჩობად, მაგრამ ვიღაცები შემოცვივდნენ და დამიჭირეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონზე მოვედი. მივხვდი, რომ ლალის კი არა, ჰაერს ვახრჩობდი და წყნარად წარმოვსთქვი: მადლობაა ღმერთს! ოცნება მაინც დაუხრჩობელი დამრჩა!“

— იქნება მუსიკა გესიამოვნოთ? მითხრა ექიმმა: აი, მოხუცი, ქუჩის დამკვრელია, კარგათ უკრავს; დღეს შობაა და უნდა დაჭრილი აფიცრებისათვის დაუკრას ლაზარეთში.

— მოიყვათ! მაგ მოხუც დამკვრელს თქვენზე ადრე ვიცნობ. მოიყვათ, დაუკრას!

მოხუცი შემოვიდა.

მოიმარჯვა სკრიპკა და დაუკრა.

სუყველაფერი დაფიქრდა. შემდეგ სუყველაფერმა სუნთქვას მოუხშირა და ბოლოს აქვითინდა გარემო. აქვითინდა, რასაც კი სული ედგა, რასაც გული ჰქონდა და მათ ქვითინს გარედან ბანს აძლევდა შრიალით თოვლი, რომელიც მოხუცის ჭაღარად ეფინებოდა ყველაფერს, როგორც სატირელი ჰანგი ჩემ გულს...

— დაუკარ მოხუცო! მე ეხლა ყველაფერი მესმის... მესმის...

1916 წელი. მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ლოლრთქიფანიძე

ყამთა სიავე

(რომანის ესკიზი)

ნაწილი პირველი

1

რიონის პირათ დიდი მანძილი მაღალი ჯაოჯიანი მესრით იყო შემოზღუდული; ცაცხვებით, ჭანდრებით და ნიგვზებით დაფენილი ეზო, ოდნავ გამოკაფულ ტევოს ემსგავსებოდა.

ძლივს მოსჩანდა ხეებში მიმალული დაბალი აივნის სვეტები, მოლუშული ყავრის დახურული სახურავი და ისლითა და ჩალის ღეროებით დაბურული ფაცხები.

ნასადილევია .. ისვენებს ყოველი სულდგმული.

ხის ძირში სადგომების მოშორებით გაშლილ ნოხზე ზის საიდუმლოთ მუსაიფში გართული ოთხი კაცი

— აი, მეფეს ნებავს დიდი წყალობა გიბოძოს.

— ისედაც კისრამდის სავსე ვარ ბატონის სიუხვით...

— მაგრამ მეფეს სურს გაიგოს, თუ რამდენათ ერთგული ხარ მისი... ხომ იცი რა დროა ეხლა?.. ცარიელ სიტყვებზე აღარავინ არის სანდო.

— მართალი ბრძანებაა!—ჯერ არაფრით დამიმსახურებია ნდობა, თუმც სულით და გულით კი მზათა ვარ.

— ნდობა რომ დიდი აქვს, უტყუარია... მხოლოთ შენც უნდა გაამართლო ნდობა.

— რითაც კი შემიძლია...

— დიდი საქმეა.

— მეფისთვის თავს დავდებ... განსვენებული მამაც მუდამ ამას მეუბნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომწონს ჭეშმარიტათ, რომ მამის კვალს მისდევ... ხომ იცი დიდ ნადირს დიდი ნაგაზები უყეფენ... დიდ მეფეს კი დიდი თავგასული ქვეშევრდომები ეურჩებიან.

— მათი მოდრეკა ბრძანოს მეფემ და ქუდზე გამოვალთ კაცი

— მაგი არ კმარა... ყოველმა ჩვენგანმა ცალ-ცალკე უნდა ეცადოს მეფის ორგული ჭკუაზე მოიყვანოს... მოსპოს...

— ჭეშმარიტი ბრძანებაა—დაუდასტურა მეორემ

— ხომ იცი არჩილმა მეფის ურჩობა არ იკმარა და ახლა მთლად გადადგომას გვიპირებს...

— დიახ, ბატონო, ცოტა რამ მეც მსმენია... რაჭის ერისთავთან ერთათ ცდილობს კახელი ბატონიშვილი გაამეფოს იმერეთში...

— მერე შენ რას აპირებ, იულონ განსვენებული ესე მეფის მარჯვენა ხელი იყო, თავს არ იზოგავდა—შეაქო სახლთხუცესმა იულონისთვის სათაყვანებელი მამის სახელი.

— რასაც მეფე მიბრძანებს... აი ამას უცდი დიდი ხანია... პირველათ არაფერს ვამბობდი, რადგან ჯაშუშობა არ არის ჩემი ხელობა; მერე როცა შეგამჩნიეთ, რომ თქვენც იცით ნამდვილი ამბავი, ვუცდიდი მეფის ბრძანებას... რას ინებებს.

— შენ კი ნამდვილათ იცი?

— რაღა დასაფარავია,—ორჯერ-სამჯერ ისეთი სიტყვები ჩამილაპარაკა, რომ უეჭველია, კარგი რამე არ აქვს გულში.

— და ამდენ ხანს არაფერს ამბობდი?

— აკი მოგახსენეთ მიზეზი .. უსაბუთოთ ლაპარაკი რა საკადრისია?

— ვერ გამოგიჩენია საკმაო ერთგულება!.. ნეტარ—ხსენებული მამაშენი ასე არ მოიქცეოდა: მეფის განდგომილ ყმას თვით ის გასცემდა საკადრის პასუხს. .

— მე რა უთხარი ეს მე ვიცი.. ყოველი სიტყვა არ მინდა დავამადლო მწყალობელ მეფეს—ფიცხლათ მიუგო იულონმა მობაასეს.

— კარგი, კარგი, იულონ, დამშვიდდი. კამათი არ ღირს, არც დრო გვაქს. ჩვენ მოვილაპარაკოთ თუ როგორ მოვაწყოთ საქმე—ჩაერია მუსაიფის ჩუმი მსმენელი, მემარჯვენე ჯარის სარდალი, სეხნია, დიპლომატიური ნიჭის დიდი მოტრფიალე და თაყვანის მცემელი. მან გადასწყვიტა იულონის სულიერი განწყობილება გამოეყენებინა. სარტყელზე ჩამოკიდებულ კვესზე სახლთხუცესს ხელი დაადვა, თითქოს ეუბნებოდა, მაცალე, იულონი ცოტათი შემკრთალია, რომ მეფის ერთგულება მისებურათ მტკიცეთ ვერ დაიცვა, და მე, როგორც ნათქვამია გველსა ხვრელით გამოვიყვან ენა ტკბილათ მოუბარიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყობოდა დიდებულ კარის კაცებს წინადვე მოელაპარაკნათ იულონი, მოსანადირებლათ ვინ რას გააკეთებდა.

— ბრძანე, სარდალო, შეკრიბონ ჯარი, და რაც შემფერის ორი იმდენი კაცი თუ არ მოგიყვანო და ოდესმე უკან დავიხიო, მეფის სალამიც კი მომაკლდეს..

— ეხლა მაგ ზომა გამოუდეგარია...

— რატომ?

— არჩილს ქვემო იმერეთი გამოესარჩლება; რაჭის ერთისთავი ხომ მუდამ მზათ არის შვილის სისხლი აიღოს... ამით ისარგებლებს კახეთის ბატონიშვილი და ისე შემოვა ქუთაისში, რომ ხმალსაც არ ამოიღებს ქარქაშიდან...

... და სწორეთ ის მოხდება, რაც ზოგიერთს გულში კი სურს, მაგრამ ვერ ამჟღავნებს, – თითქოს ვერ მოითმინაო, მზეკვრულათ გააგრძელა სარდლის სიტყვები მესამემ.

— ბატონო, გადაკრული სიტყვების არ მეშინია... სჯობს საქმე ვილაპარაკოთ—ამაყათ უპასუხა იულონმა.

— პიმპილი თუ არ გიჭამია, ენა რათ გეწვის? – ოდნავ გასაგონათ ჩაილაპარაკა სახლთხუცესმა, მაგრამ სეხნიამ ძლიერ ჩამოსწია წელში გარჭობილ მათარას ..

— მოითმინეთ, ბატონებო, მოითმინეთ, დარწმუნებული ვარ, ორივე მეფის ერთგული ხართ და კარგი საშვალება რომ ვერ გიპოვნიათ განსაცდელის თავიდან ასაშორებლათ, ფიცხდებით; მარგამ სიფიცხით ქვეყანა არავის მოუჭამია... ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო, ნათქვამია ..

ყველა დადუმდა...

თავთავიანთ ფიქრებს მიეცნენ.

ბოლოს იულონმა იკითხა:

— მაშ რას არჩევ, სარდალო?

— ზეგ შენი ციხის ახლო ჩამოვლის არჩილ... სულ ორი კაცი ეხლება, რადგან ნამალევათ მიდის საწერეთლოში... შეიძლება გაჰყვეს კაცი და სადაც მოსახერხებელი იქნება იქ..

სარდალი გაჩუმდა.

სხვებიც სდუმდნენ.

— რას იტყვი ამაზე, იულონ?...

— მე ვერ ვიზამ ამას და სხვა თუ იქმს, არც მას მოუწონებ... დაბალის ხმით უპასუხა იულონმა.

— წარმოიდგინე, სწორეთ შენ უნდა ქმნა.

იულონი ფეხზე წამოდგა.

სხვებიც ადგენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენს მეტი არავინ გვყავს, შენ უნდა გვიშველო — ფეხზე ადგომის დროს დაუმატა სეხნიამ

— ახლა რაღა დროს უარია — წყრომით მიმართა იულონს სახლთხუცესმა.

— ასე ადვილათ ვერ გვეტყვის უარს — დაიქადა მესამე მობაასემ.

— რავა, ძალით მიპირობთ სახუნდარიდან კაცი მომაკვლევიოთ?..

— ასეთ სამსახურს თუ არ გაუწევ მეფეს, მაშ რად გიწყალობა უბრალო აზნაურს ციხე და მამული?

— ჯალათობა მამა ჩემს არ მართებია და ბაბუა ჩემს, მე რაღა დაბალი ღობე მნახეთ?!.

— საიდუმლო გამოგვტყუე და ეხლა უარს გვეუბნები, სიტყვას ბანზე აგდებ?.. მრისხანეთ უპასუხა სახლთხუცესმა.

სამივე მობაასე ირგვლივ შემოერტყენ ყმაწვილს. ეტყობოდა, რაც ცბიერებით ვერ გააწყვეს, ძალით უნდოდათ მოეგვარებიათ. . ყმაწვილი ცდილობდა თავიდან აეშორებია სამარცხვინო დავალება... თუ გასჭირდა, ძვირათ დაუჯდენ თავს, მაგრამ თუ სისხლი დავღვარე, რომც გავიმარჯვო, მეფის რისხვასთან მთელი გვარეულობის და შეიძლება სამისაც მტრობა თავს დამატყდეს... სულელურათ მოვიქეცი, თავიდანვე შემეჩერებია .. ბავშური ცნობის მოყვარეობა...

— ნებით იქნება თუ ძალით შენ უნდა გადაგვარჩინო არჩილს — მოულოდნელათ დაარღვია სიჩუმე მესამე მობაასემ.

თითქოს რაღაცა მოაგონდაო, ყმაწვილმა სიხარულით წამოიძახა:

— ჯანი გავარდნია! — ხმალში გამოვიწვევ!

ყმაწვილის სიტყვები ადამიანის გულის ნადების დახელოვნებულ მკითხველთაც წრფელათ მოეჩვენათ.

— მაგარი მკლავი გაქვს, მუხლი გერჩის და თვალი გიჭრის, — შეაქო სახლთხუცესმა — მაგრამ ჯერ ნამეტარი ყმაწვილი ხარ, გამოუცდელი, შენ კიდევ იზრდები, არჩილი კი ბევრ ომ-ჩხუბის ნაჭედი მომწიფებული ვაჟკაცია; ტყუილად ნუ ფიქრობ გაუმაგრდე... მერე რა უთხრათ დედა შენს, ჩვენც ღმერთი გვწამს და ქრისტიანები ვართ! — შენზე უღამდება და უთენდება... ერთად ერთ ნუგეშს შენ გიყურებს... ჩვენთვის კი, როგორათაც უნდა გათავდეს შებრძოლება, შედეგი ცუდი ექნება. ყველა იტყვის, აქ მეფის ხელი ურევიაო .. არჩილი ისე უნდა გაქრეს, რომ დაბურულ ტყის და მოლუშულ ცის მეტი არავინ იყოს მოწამე... თუ...

რაკი ყმაწვილმა ერთხელვე დათანხმების ზოგიერთი ნიშანი აჩვენა, სახლთხუცესი ძლიერ დინჯათ და ჩუმათ ლაპარაკობდა... იულონი მიუახლოვდა... მობაასეთა სიფრთხილე ამან უფრო დაასუსტა: ყველა შეჯგუფდა და სახლთხუცესს დაუწყეს სმენა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იულონმა ისარგებლა წამით, ისეთი შეჰკივლა—აუ! რომ შეაკრთო იქ ძალნი: სახლთხუცესს სიტყვა გააწყვეტინა, გაფრინდა: გზა და გზა ჩოხის კალთები აიკაპიწა, ხმალი მოიმარჯვა და მესერს გადაევლო.

მოხუცებულნი ჯერ სახტათ დარჩენ, მერე გამოეკიდენ, ღობეზე გადახტომა სახლთხუცესმა არ იკადრა: სარდალი გადახტა, მაგრამ რაკი სახლთხუცესი ჩამორჩენილი ნახა, მალე უკანვე დაბრუნდა; მხოლოდ მესამემ ერთხანს სდია.

იულონი შემოუბრუნდა და მიაძახა:

— ტყულა თავს ნუ შემაკლავ... მოიანგარიშე თუ მოსაგები არაფერი იყოს, თავიდან მომშორდი...

და მანაც თავი დაანება.

2

ჩქარი სიარული ფიქრმა შეუნელა, მიიხედ-მოიხედა და ისევ ჩაფიქრდა:

— ჯერ მეფემ არაფერი იცის, თორემ ისე სულელია, რომ დღეს წამორტოტლავდა რამეს... ცისკრიდან ვახლავარ... ხვირიანი სიტყვა რომ ვერ იპოვა, მუჯლუგუნს მირტყამდა, ასე ნებავდა, გავერთე. დედა, რა საწყალი რამეა ეს ცოდვის შვილი!.. მეფე მაინც არ იყოს!.. ერთხანს იჩხუბებენ ეს სულ წამწყდრები... ერთმანეთს დააბრალებენ, არა შენ იყავი დამნაშავე არა შენო; არა შენ გაუშვი, არა შენ უნდა მიმხვდარიყავი, რომ უარს იტყოდაო; მერმე იფიქრებენ, დააწყობენ გეგმას, მეფესთან წავლენ, მომიწვევს და ან ქურდულათ მართლა მომაკვლევინებენ იმ კაცს, ან მე თვითონ გამრისხავენ სასახლიდან... არა! სჯობია სახლისკენ გავეშურო . მაინც დიდი ხანია აქ დავრჩი.. ყველაფერი ხელს მიწყობს სახლში წასასვლელათ... გამოთხოვებაც არ არის საჭირო... ვიტყვი, დედოფალთან შესვლა ვერ გავბედე ნაღვინევი ვიყავითქო, ბატონს კი ნასადილევს გამოვეთხოვე, მაგრამ ყურადღება არ მომაქციათქო .. მეფეც არ გაამხელს, რომ თვითონ იყო რუსივით მთვრალი და დაიჩემებს კარგად მახსოვს როგორ მაკოცა ხელზე...

. . . . . .

გზის პირათ ხის ძირში მკვდარსავით ეძინა იულონის მხლებელს თედოს.

— ადი! ადე! და იულონმა ფეხი ჰკრა. გიჟივით ფეხზე წამოვარდა.

— გეილეშე? შე საწყალო, თუ ნახე ღვინო, უნდა ბუზივით ჩეიხჩო შიგ. გეიქეცი და უთხარი ბარგი შეკრან, ცხენები შეკაზმონ, შინ მივდივართ.

— ახლავე შენი ჭირიმე.

ბიჭი ძუნძულით მირბოდა და ფიქრობდა: ამას რაღა ბუზარიკა შოუძვრა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადირია ქვეყანა... მეც აზნაურიშვილივარ.. რავა, უფრო ღარიბი რო ვარ-ამ-ტომ მიგდებს?

. . . . . .

— ერთი ახლა ლამაზი გოგო მოგვცა და ტკბილათ ჩაგვაკოცნია?

— შენ საცოლეს ესმოდეს, გაყურებიებს სეირს ..

— ვინ იცის, ძამია, ის ვის კოცნის? . ახალწლიდან აქ ვყრივართ და.. მართლა, კი არ გეხუმრები! დღეს წყალ-წითელასკენ ვიყავი... რაცხა ხმაურობა მომესმა... რაცხა ამბავი უნდა მომხდარიყოს... შევჯდეთ ცხენებზე, გავიდეთ გალმა, ავყვეთ სერს და გადაღმა ისეთს ორ გოგოს წავაწყდებით, ვარსკვლავს ეთამაშებიან და მიწაზე ფეხს არ დგამენ .. თუ უჭირსთ — მოვეხმარებით, თუ არა და მოვიკითხავთ, ვეტყვით, უბედურება რამ შეგემთხვათ გვეგონა და მოსახმარებლათ გეახელით-თქო .. იამებათ... გამოვეცნაურებით. .

— ვინ გოგოებია, ბიჭო?

— აგიაშვილის მეღორის შვილებია.

— ჰო, მეღორე კი არა, შე სულელო, აზატია ნამდვილი და თან იმ გოგოებს რომ უყურებ, შენ არ ჩამოგივარდებიან... თუ გეცენ, ქვეშ მოგიქცევენ...

— მასედაც იყოს .. ქვევიდანაც მოუხერხებ, ერთი ძუძუში მოჰკიდე ქალს ხელი, და მერე ლავაშივით მოგეკვრება.

— ცივი ღომი პირს არ დაგწვავს...

— რას ბლანდავ, აზატიაო?

— რავა და კარგად... ის ადგილი წინათ მესხის ყოფილა; მესხი ამოწყვეტილა და მეფეს მიუცია აგიაშვილისთვის. მასაც აქ გადმოუსახლებია ერთი ოჯახი... მერე სამათ გაყოფილან... ხო იცი, ბატონის წყალობა და აქაური მიწის სიუხვე მალე გოუმაგრებდა ზურგს. მესხები მუდამ ედავებიან... ორი ძმა მოუკლავთ. ეს ერთი დარჩა. მას შემოეხიზნენ დანარჩენი ძმების შვილებიც. ორი ქალისშვილი და ერთი პატარა ბიჭი... მოხუცის ძმისწულები არიან...

— სულ ერთია აზატია თუ მაზატ, არ მეგეწონებათ თუ?.. ფილიპემ ულვაში გადიგრიხა და უნაგირს ხელი სტაცა... წავიდეთ...

— რამ გადაგრია. . ჩემი ცხენი ავათ არის.

— ჯორზე შეჯექი...

— კაია შენმა მზემ! თუ გლახათ წევიდა საქმე, მე უნდა მომბეგვონ — შენ კი ითოხარიკებ, რა გიჭირს?!.

— დღეს თუ არა ზეგ იყოს...

— ზეგ .. მართლა ზეგ მარიამობაა: მეფეს წვეულება ექნება მეორე დილამდის გასტანს... ჩვენც ჩვენებურათ წევიქეიფოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ლაზღანდარობდენ წამოწოლილი ბიჭები, რომ თავს წააწყდათ თედო.

— თქვე, ოხრებო, რომ გიძახით სადა ხართ?

— ერთი ბატონი შენ გამოგვიჩნდი? რომ ღრიალებ, რას ღრიალებ?— შეუტიეს ბიჭებმა.

— ჩქარა ადექით, თორემ გეიგებთ ვინცა ვარ...

— რა მოხდა, რა ამბავია?

— მივდივართ! ახლავე ბატონი მოვა! იჩქარეთ, თვარა, მე არ ვიყო დამნაშავე.

— ჩემი ცხენი ავათ არის...

— რა დაემართა?

— ყურები აქვს ჩამოყრილი, არაფერს ჭამს...

— ბატონს არ გაუმხილო, თორემ წაყვანითაც წაგიყვანს და რტყმევითაც ბევრს გირტყამს, რა გენაღვლება, სიარული იქნებ კიდეც მოუხდეს თუ მოსარჩენია, თუ არა და ჯანდაბამდის გზა ქონია... ჩქარა!

მათ ლაპარაკზე ორი ყმაწვილი კიდევ მოადგა ფაცხას

— სად დეიკარგეთ? ბატონი მარტო მობრძანდა, და თქვენ სად დეეთრეოდით?!. — შეუცაცხანა თედომ.

— კაცო, სასახლეში ვიყავით, ბატონს სულ თვალებში უყურებდით... ერთი წამით მოვშორდით—სახლთხუცესის მოურავმა თითო ყანწი ღვინო დაგვალევია და მერე ვერსად ვნახეთ... სულ მოვრბოდით... ტყლიპი ჩაგვაწყდა...

იულონმა ეკლესიის გალავანში შეუხვია.

ხის ძირში საფლავის ქვებზე აქა-იქ ისხდენ მამა ესტატეს შეგირდები: ზოგი გალობით დავითნს კითხულობდა; ზოგი ამოსაღებს იზეპირებდა; ორი კი მიმალულ ადგილს მჯდომი კოჭების თამაშით ერთობოდა.

ახალუხის ამარა, წვერ-ულვაშ აბურძგნულმა მამა ესტატემ დერეფნის ჩრდილში მოვარჯიშე სამ დავაჟკაცებულს შეგირდს თავი მიანება და სენაკიდან ძლივს-ძლივს გამოსულ ფოსტალში ტიტველ-ფეხ გაყრილ მოხუც მეულლითურთ იულონს მიეგება.

— კურთხევა მამაო.—მხიარულათ მიესალმა იულონი.

— გაკურთხოს უფალმა და სამას სამოცდა ხუთმა წმინდა გიორგიმ—მოწიწებით უპასუხა მღვდელმა.

— მამაო ესტატე... დღეს მივდივარ, ცოტა რამ ხაბაკი მრჩება—ცოტა შემინახე, დანარჩენი მოიხმარე... ფქვილია, ღვინოა—ახლა იმას ხომ არ წევიღებ სახლში.

— ახლავე, ბატონო, ახლავე... ქმრის მაგიერ უპასუხა ანასტასიამ, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც აღარ იცოდა როგორ გამოეკვება თავისი ცხრა თუ რვა (თვითონაც ეშლებოდა რიცხვი: მგონი, ოცჯერ იყო ორსულათ—მრავალჯერ მუცელი მოეშალა და ზოგიც დაეხოცა) საკუთარი შვილი და სახელოვანი მგალობელის ოსტატ ქმრის აუარებელი შეგირდები.

— აბა, შვილებო, ეახელით ბატონს---მიმართა ესტატემ იქ მდგომ ყმაწვილებს.

ბავშებმა იცოდენ რას ნიშნავდა ეს ხლება, იცოდენ რომ გზაში არა ერთს „ყლუნწსა და წრუპს“ უზამდენ ღვინით სავსე დოქს და თავ-ქუდ მოგლეჯილი აპირებდენ გაქცევას, მაგრამ ცოტათი შერცხვათ, მოერიდენ სახელი გაეტეხათ კეთილი დიასახლისის პურ-მარილისათვის და მწყობრათ უკან გაყვენ უფროსებს.

. . . . . .

იულონის მხლებლებს დასალაგებელი და შესაკრავი ბევრი არაფერი ჰქონდათ.

პატარა საბანი, რომელსაც ბატონი იმ იშვიათ შემთხვევაში ხმარობდა ლებათ, როცა ნაბადს გადაიხურავდა ზევით, ხურჯინში ჩასდვეს, წელში ტამბაჩები გაიყარეს, ზურგზე თოფები გადაიგდეს და მზად იყვნენ.

კეცები ერთმა პაწია შეგირდმა აიღო ხელში; ტახტი სიცილით თავზე დაიდგა მეორემ; ფქვილი ანასტასიამ არავის დაანება-დამიბნევენო და ღვინის დოქის ირგვლივ კი სამი დაულვაშებული ყმაწვილი ტრიალებდა, რომ შემდეგ მღვდლის გულ-კეთილ მეუღლის ბუზღუნზე „დალახვროს ღმერთმა ამ ბაღნების ეშმაკები, აკი გამინახევრეს ამოდენა კოკა“ ვითომდა წყენით ეპასუხნათ „სადაური კოკაა, ერთი ნამცეცა დოქიაო“.

მოხუცმა ცოლ-ქმარმა ლოცვა-კურთხევა უკვე გაათავა, მაგრამ იდგენ დაცარიელებულ ისლით დახურულ ფაცხის წინ, სანამ ერთხელ მიმალული მგზავრები ისევ არ გამოჩდენ გადახრილ მზით ასხივოსნებულ შარა გზაზე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი უსტიაშვილი

„დამშვიდდი... დამშვიდდი“!!.

ძღვნად ნ. ბ—ლს

ფიქრები ისე ერეოდნენ სამსონს, როგორც გამოქცეული ჯარი.

მისმა საქმემ ბევრ ქალს დაახლოვა იგი, ბევრის პირდაპირ მდგარა იგი, როგორც ეხლა, ბევრის მკერდი უნახავს ასე მოქანავე, მაგრამ არ ახსოვს, რომ ამ სანახაობას მისთვის ხატვის უნარი დაეკარგოს როდისმე

თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად სწარმოებდა.

რბილ სავარძელში იასავით ამართულიყო ქალი და თვალები მისთვის მიეშტერებინა ეს ხომ ჩვეულებრივია. თვით ის სავარძელი, რომელზედაც ქალი იჯდა, არა ერთხელ შესწრებია ასეთს სტუმარს, არა ერთხელ გასწვრილებია მას გული ტვირთის ქვეშ. ამას მთელი ოთახის მოწყობილებაც ამტკიცებს. სხვადასხვა პოზად გადაღებული ქალი და მისი რგვალ ნაკვთიანი ტანი.

ჩვეული იყო სამსონი ასეთს სურათებს და ამიტომ უფრო უკვირდა თავისი მღელვარება და მოუსვენრობა.

მკლავები ჩამოიღო და იქვე ჩამოჯდა.

— დაიღალეთ?.. თითქოს გულუბრყვილოდ და ფრთხილად ჰკითხა ქალმა

— რასა ბრძანებთ?.. ჯერ ხომ არც კი მიმუშავია დღეს... სულ უსაქმოდ გავატარე მთელი დრო...

— იქნებ დღეს არ შეგიძლიანთ მუშაობა... მაშინ წავალ მე .. მე მაინცა და მაინც არ მინდა, რომ ჩემი სურათის ხატვა თქვენს სამძიმო შრომად გადაიქცეს...

— რასა ბრძანებთ... თქვენი სურათის ხატვა განა შეიძლება ვისმესთვის სამძიმო იყოს?.. ცოტა ჩამოვჯექ, რომ ზოგი ფერადი უფრო გავარკვიო... მე მგონი დიდი რამ სურათი უნდა გამოვიდეს... ჯერ არ მქონია მე ასეთი შემთხვევა...

ქალმა შენიშნა სამსონის ღელვა და წასვლა დააპირა.

— არა... გამოცოცხლდა სამსონი, —მოითმინეთ... ერთი ნახევარ საათი კიდევ... მე შევუდგები საქმეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილოსთან მივიდა და მუშაობა განაახლა.

ხუთი წუთი.

ღმერთო, რა გრძელია ეს დრო!.. კარგი იქნებოდა, რომ წუთები დაეპატარავებინათ.

სამსონი ხედავდა, რომ არა გამოდიოდა რა მისი კალმიდგან, ფერადები თითონვე ერეოდა და ტილოზედაც სულ სხვა, რაღაც მომაბეზრებელი ფერები გამოდიოდა. მას არასოდეს არ მოსვლია ტილოზე ბრაზი, მაგრამ ეხლა დიდს სურვილს გრძნობდა, რომ აეზიდა იგი მაღლა ჩარჩოებიანად და გამეტებით დაენარცხებინა ძირს, ფეხით გაეთელა.

ან განა შეიძლება კაცი ისე გასულელდეს, რომ ამ ათხუნული ფერადებით მშვენიერების დახატვა, სულის მღელვარების გამოთქმა განიზრახოს!.. რა სისულელეა... ან რატომ აქამდე არ უფიქრია ეს?.. ნუ თუ ასეთი დაბრმავება, ასეთი გარადავება ვერ შეამჩნია თავის თავს?!.

ათი წუთი.

ოჰ, ეს წუთები!.. ასე გრძელს განა საქმის კაცი მოიგონებდა?.. უსაქმოთა ნამოქმედარია საათის სამოც წუთად დაყოფა...

და რაც უფრო ემატებოდა წუთებს წუთი, ერთი ათად ირეოდა სამსონის სისხლი, ერთი ათად ეზრდებოდა ფერადების უკმაყოფილება.. მას კი, სწორედ იმ ხელზე, რომელიც ასე უშნოდ და უსაქმოდ ატოკებს კალამს, მისჩერებოდა ორი პროექტორი ვნებისა, ორი რენტგენის სხივი, რომელიც ასე აშკარად ხდიდა ქალისათვის მისი გულის ტრფიალს...

რა უბედურებაა!.. ოთახში მხოლოდ ორნი იყვნენ, მხოლოდ ორნი და ასე ჩუმად, ასე უხმოდ შესცქერიდნენ ერთმანეთს! რა სისულელეა მხატვრობა, რა სასაცილო!..

სავარძელზე ოდნავ გადახრილიყო. აბრეშუმის დარაბებს ვნების ზვავები მოსწოლოდნენ მკერდზედ. დეკოლტეში ვნებით გაჟიებული გული რძის ფერად აწეულიყო და რგვლად, უნასკვოდ უერთდებოდა მოღერილს კისერს. მშვიდად სუნთქავდა. და ამ სუნთქვასთან სამსონი საოცნებოდ ქანაობდა ზღაპრულ ჰაშაკში.

ვით ცთომილი ვარსკვლავი—გაშტერებით მისჩერებოდა სამსონს თვალების ზღვა...

ბაგენი?.. რა ფერადი, რა კალამი გადაიღებს მათ ამ მშრალ ტილოზე... განა ეს პირუტყვი ფერადები შესძლებენ ამას?!.

და იჯდა იგი დაჟინებით, ჩუმად, თითქოს განზრახული აქვს რადიკალურად გამოსცადოს სამსონის ნერვები. ხან ღიმი დაჰკრავდა ნიავივით სახეზე—ალბათ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის თავს თუ წარმოიდგენდა ტილოზე გადატანილს და სიამოვნებისგან იღიმებოდა... რატომ მას კი არ უნდა ჰქონდეს უფლება დასტკბეს თავისი სიმშვენიერით!..

ეს კი სამსონზეა დამოკიდებული... ჰმ! სამსონი ეცდება მთლად შემოიკრიბოს თავისი სასიცოცხლო ძალები და შესძლოს სურათის შესაფერად შესრულება. მხოლოდ ეს არის, რომ ეხლა არ შეუძლიან მუშაობა. ეზარება. არა, არც ეზარება. პირიქით, ასეთი ენერგია არც კი ჰქონია სხვა დროს... თუ გაცივდა სადმე და ავადაა—მაგრამ სად გაცივდებოდა, რომ ეს რამდენიმე დღეა არსად გასულა, სულ რაღაც შფოთაში გაატარა, მოძრაობაში... და უკვირდა, რომ დარბაისელი სამსონი გიმნაზიელის მდგომარეობას განიცდიდა.

ოჰ, ვინც ეტყვის თუ რას ფიქრობს ეხლა ეს ქალი... ვინც იმის გრძნობას გააცნობს—იგი ბედნიერ ადამიანად აქცევს სამსონს... ან... რა საჭიროა სხვა ვინმე... განა თითონ სამსონმა არ იცის?.. რამდენ ქალს გასცნობია თავის სიცოცხლის გზაზე და რაღა სხვისა სწავლა სჭირია... რას იფიქრებს? ქალია... თუმცა ქმრიანია, მაგრამ, როდესაც ამ მუნჯ სურათების ყრილობაზე იგი tête—á—tête არის ვაჟთან...

თავი მაღლა აიღო და წუთით თვალები გაუსწორა.

— უკაცრავად... თუ შეიძლებოდეს თავი ცოტა მაღლა... უთხრა, მაგრამ ისეთი გაბზარული, ყრუ ხმით, რომ ქალმა თვალები დააშტერა გაკვირვებით.

— აი... ასე... მივიდა სამსონი ახლოს, ხელი აიღო მისი, ვითომ მართლა გასწორება სურს პოზისა, მაგრამ მოულოდნელად გადააწვინა თავის მკლავზე და მიიკრა მკერდზე ..

და რომ დისონანსი არ შეეტანა ქალს სამსონის გრძნობათა აკორდებში—ტუჩებით დაუბეჭდა მთრთოლავი ბაგე...

თამამად, ვით მოთამაშენი სკეტინგ-რინგის ხეივნებში, თანხმობით შესცურდნენ კოცნის ჩრდილებში ..

. . . . . .

— მე მეგონა რომ ეს სიურპრიზი შენთვის დიდად გასახარი იქნებოდა...

— დიდად გასახარიც არის, მაგრამ...

— რა?..

— არა... მშვენიერი სურათია... დიდებული... ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ბ-ნი სამსონი ასეთი ნიჭის პატრონი იყო... თუმცა მინახავს მისი სურათები, მომწონებია კიდეც, როგორც ხელოვნების შედევრები... მაგრამ ეს სურათი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხო და მაშ რიღას უკმაყოფილო უნდა იყო...

— მე არა ვარ უკმაყოფილო...

წუთით ჩრდილი მიადგა სახეზე. გაიარა მივიდა სურათთან და დააკვირდა.

— წუხელის ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ... თანაც შენმა გაკვირვებამ უფრო მეტი ცნობის მოყვარეობა აღუძრა სტუმრებს. . სანდრო აღტაცებაში იყო, ყველას უამბობდა მხიარულად როგორ მოვაწყეთ შენს უჩუმრად, რომ შენი დღეობისთვის ასეთი საჩუქარი მომეძღვნა შენთვის. . მხატვარმა არაჩვეულებრივად შეასრულა თავისი საქმე...

— ჰმ... მართლაც რომ მშვენიერებაა...

ქალის სხეულივით რბილს, ძვირფას ტყავებში იკარგებოდა ტანი. მხოლოდ მკერდი და თავი მოსჩანდა როგორც მობანავე გედისა...

თავმოყვარეობა და სიამაყე გოროზად უვლიდა მთელს სხეულში, რომ ასეთი დიადი რამ, თვით დედანი ამ სურათისა მისია, მისი საკუთრება.

ის შესცქეროდა მათრობელა თვალებში, ღიმილი რომ დაჰკრთოდა, აწამებული საითკენღაც მიიწევდა, თითქოს აღარ სურს ჩარჩოებში ყოფნა და ვისიმე მკერდზე მიწებება სწყურიან... გულიც აშკარად ერხეოდა, ისე შემოსჭიმოდა ხალათი მკერდზე... ანთებული საფერთქლები მოძრაობდნენ, სუნთქავდნენ და შუბლზე რაღაც ნისლი, სიტკბოების ფერები დასთამაშებდნენ...

რევაზი შესცქეროდა სურათს და თვალს ვერ აშორებდა მას. იგი გრძნობდა მშვენიერებას ხელოვნებისას და მის განცდაში ეხვევოდა, იმოსებოდა.

მის წინ სადა ჩარჩოებში და სუბუქ ბეწვებში ტივტივებდა ქალის ბიუსტი როგორც კუნძული. რამდენი გიჟური წუთები გაუტარებია მასთან ასე თავგამოდებით, რომ ეღიმება ეხლა. რამდენჯერ დახუჭილა ეს თვალები უაღრეს ბედნიერების განცდაში, ჟრჟოლაში... რამდენჯერ გაუფერმკრთალებია ეს მკერდი ქარვამდე განუწყვეტელი ამბორით... ეხლა ის ისევ ისეთი მიმზიდველი, ისევ ისეთი ქალწული მოძრაობით ეძახის მას, იხმობს...

და მთელი სურათი რაღაც საკმევლისებური ნისლით ორთქლავდა, მოძრაობა ემჩნეოდა ყოველ ნაკვთს...

რევაზი გრძნობდა, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი სურათი, ჩვეულებრივი პორტრეტი, რადგან მასში რაღაც იდუმალი, ფარული სულიერი ნახაზობა იყო ჩართული. რა ნახაზობა იყო იგი—ვერ გამოერკვია, თუმცა კი აშკარად გრძნობდა, რომ იგი უეჭველად საერთოდ ადამიანის ერთ ერთ განცდას, ერთ ერთ მდგომარეობას გამოხატავდა, რომელიც ასე განუმეორებლად, ასე თავისებურად აღბეჭდილა ნინოს სახეზე, მის ბაგეთა მიდამოებში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზროვნება შეუფერხდა და რალაც ნიავმა შეარხია ჭავლი მის ძარღვებში. ეს ნიავი სურათიდგან წამოვიდა, მისი სუნთქვის მზგავსად და თბილად, მორფის შხამად დაუარა ტანში.

— მშვენიერი ხარ, ჩემო ნინო. . მშვენიერი... წაილუღლუღა რევაზმა და ჩაიხუტა გულში ნინო, თითქოს ვინმე ართმევდეს მას, თითქოს ეთხოვებოდეს სამუდამოდ...

. . . . . .

ორი კვირაა, რაც რევაზის გრძნობამ გაარღვია გონების ზღუდეები და სიმშვიდის ველებს დააშორა იგი. ორი კვირაა, რაც ნინოს სურათი მის წინ არის დაკიდული პირზე ღიმით და თვალებზე ვნებიანი ხაზებით. მისი სული აშრიალდა ზაფხულის ტყესავით. შორს, მისი გრძნობების ჰორიზონტზე, ჭაობებში ფუთფუთი დაიწყო მიძინებულმა ელამმა იჭვიანობამ და ფერმკრთალი ლანდები გამოეხმაურნენ გარშემო.

— რა გემართება, რევაზ?.. ორი კვირაა მე შენს სახეზე ღიმილი არ მინანახავს... ვნება აგეშალა, ხან გიჟს ემგზავსები...

ჰმ!.. ორი კვირაა ასეთი ცვლილება ნახა რევაზში და აქამდე არ შეკითხებია, თითქოს არც კი ამჩნევდა. მაშ ნინო კი წინანდელი ნინოა? არა, ეს ის ნინო არ არის, რომელსაც მისი სახის უბრალო ნაღველიც კი ასე აშფოთებდა, ასე აღელვებდა. ყველამ შენიშნა რევაზის ცვლილება. ცხადია, ნინოც შენიშნავდა, მაგრამ რად იყო აქამდე ჩუმად?..

ნუ თუ ამის პასუხს არ ეუბნება მას სურათი ნინოსი, რომლის თმებში მიბნედილი ვნება ასე ჩაქსოვილა ვით მატარებლის ბოლი ხშირ ტყეში?!.

— რად დაჩუმდი?..

— არა, ჩემო ნინო... მე რალაც ცუდათ ვარ ამ ბოლო დროს. . საღამოზე სიცხეს გავიზომავ... მე არ მინდოდა შენ გაგეგო, რომ არ შესწუხებულიყავი... მაგრამ არაფერია... ოოხ... ამოიოხრა და გაიარა.

— დღეს სხვათა შორის მხატვარი სამსონი შემხვდა ქუჩაში... ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა... მითხრა, სულ იმის ფიქრში ვიყავი ან შენ შეგხვედროდი ან რევაზსო... ჩემი ნახატის ნახვა მომწყურდა... ნება მომეცით თქვენსა მოვიდეო ..

— ხომ სთხოვე...

— როგორ არა... შემოვივლიო...

— ჰმ... „სხვათა შორის“... „სხვათა შორის“... ეს სიტყვები რომ წარმოსთქვა, თითქოს სცდილობდა დაენახვებინა რევაზისთვის, რომ მართლაც სხვათა შორის მოიგონა ეს ამბავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მკითხა, სად გიკიდიათო...

— მერე?

— რევაზი ჯერ არსადა ჰკიდებს მეთქი... ალბად არ მოსწონს... მოხარული ვიქნები მასთან ვიბაასო და მისი აზრი მოვისმინოვო...

რევაზი მისჩერებოდა გულუბრყვილოდ მოლაპარაკე ნინოს.

— მერე... მე რომ არც ვაჩვენო და არც ველაპარაკო სურათზე?..

— რატომ...

— რა ვიცი... სულელი ხალხია... ქება უყვართ...

— უცნაურად ლაპარაკობ...

— მე, ჩემო კარგო, სულ ასე ვლაპარაკობ... ვერავითარ ცვლილებას ვერ ვამჩნევ ჩემს თავს... შენ კი ჩამციებიხარ ეხლა, რომ ეს ორი კვირაა გამოიცვალეო ..

— შენ იქნებ ვერ ხედავ...

— არც ერთს ამხანაგს... არავის არ უთქვამს ჩემთვის...

მაშ იქნებ შეცვლილმა, გონ-ამღვრეულმა ნინომ სხვაც შეცვლილად დაინახა?.. თუ ასეა, ხომ გასცა თავი... ხომ საშინელება დატრიალდა მის თავს!...

სისხლი სახეში აუვარდა.

რევაზმა შენიშნა ნინოს სიწითლე და მიტრიალდა... ნეტავ იცოდეს მაინც რევაზმა თუ როდის უფრო წითლდება ადამიანი, როდესაც ის მართალია თუ როდესაც სტყუის იგი... ეს რომ იცოდეს, რა სწრაფად გადასჭრის საკითხს!.. მაშინ აშკარა იქნება თავხედი ხაზები სურათისა, ასე რომ სჭრიან მის თვალებს და ისიც ასევე აშკარად იმოქმედებდა ..

— რევაზ... შენ... ნუ თუ შენ იჭვიანობ?..

— მეც არ ვიცი რა მემართება... მეც არ ვიცი რა მომდის...

— მითხარი რევაზ... გამოსცადე შენი ნინო... მკითხე... რა გაწუხებს... სთქვი...

წუთით შეჩერდა.

— არა... ჯერ ვერას გეტყვი... მაპატიე... მაპატიე... და ამღვრეული სასტუმროსკენ გაეშურა..

. . . . . .

საღამო. დაჩადრულ ოთახში შავი ჩრდილები. ფანჯრებზე ლეჩაქნაირი ფარდები უძრავად ჰკიდია, როგორც თავჩამოხრჩობილი. სურათები ჯვარზე გაკრულებსავით გადმოხრილან კედლიდან. უდაბნოს სიჩუმე.

ძილის ფერ ოცნებაში გართული ნინო უძრავად იჯდა სავარძელში—ისევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძრავად, როგორც თვით სავარძელი. ფიქრები ისევე დაბნელებოდა როგორც ეს ოთახი და ვერ არჩევდა ვერაფერს. მისი გული გრძნობათა ჩრდილებში ჩამალულიყო, არა სჩანდა, ვერ პოულობდა მას. და ასე, ამ ბნელაში, ამ ჯურღმულში იგი ხელებს აფათურებდა, რომ ეპოვა გამოსავალი, დასაწყისი აწეწილი ხაზებისა, მაგრამ უძრავ კვანძებში და რგოლებში, მათს განუწყვეტელ მოძრაობაში იგი იკარგებოდა, ირეოდა.

.აი ეხლა, ამ წუთს ზარი დაჰრეკს. უნდა მოვიდეს სამსონი - მისი ასანთი, მისი რაინდი.

რად?.. რისთვის?..

განა რევაზი, მასავით რომ არის ჩაფიქრებული სურათის წინ თავის კაბინეთში, დასთმობს რასმეს?.. მერე რა შხამიანი ენა აქვს, რა მკბენავი!.. ვის არ დასუნთქავს მისი სიტყვა და ღიმილი, რისხვით გამოწვეული!..

დასთმოს რევაზი? დასთმოს ადამიანი, რომელთანაც იგემა სიყვარულის პირველი სიტკბოება, რომელთანაც გაიარა ცხოვრების გზა. ასე ხანმოკლე, მაგრამ ასეთი ფეროვანი .. ვერა, ვერ დასთმობს... დე, სამსონმა იაროს მასთან და მოითხოვდეს მისგან შესაფერ პასუხს... იგი ჩაიკლავს გულში ამ დიდს გრძნობას და სამსონს აიძულებს მოშორდეს მას...

მაგრამ ერთი რამ აინტერესებდა ნინოს. მას ვერ გაეგო საიდან დაიბადა იქვი რევაზისა, რა გახდა მიზეზად მისი შფოთვისა. აქ იგი ვერაფერს ვერ ასკვნიდა, ვერაფერს ვერ არკვევდა, ვერ ხედავდა იგი თავის სურათში რამეს საამისოს და ან სურათმა განა რა უნდა უთხრას ისეთი? იგი კმაყოფილი იყო სურათისა, რადგან ხელოვნურად არის შესრულებული, უდარი, მაგრამ განა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშმა ადამიანს გონჯი, კუზიანი აზრები და გრძნობები უნდა აღუძრას!? მაშ რამ გალესა რევაზის გონება, რა იცის?

თითონ, თვით ნინომ კი იცის?..

ისე გმირულად, სრულიად მოულოდნელად დაეკონა მკერდზე... არა ახსოვს რა მას—გრძნობდა მხოლოდ, რომ რაღაც უდიდეს სიმხურვალისგან იგი გალხვა, როგორც მავთული და რეზინისავით მოიქნა, დარბილდა მისი სხეული სახსრებში... იგი გრძნობდა მხოლოდ ხავერდის კოცნას ტუჩებზე, მკერდზე, ხელებზე, ასე რომ ეწებებოდა, ებმოდა. ახსოვს მხოლოდ, რომ რაღაც იდუმალმა, უძლევ ძალებმა იგი აიტაცეს საოცნებო ლიფტით მაღლა, მაღლა მდუმარე ღრუბლებში და იქ ვნებით დაორთქლილი ტუჩები და სხეული ვიღამაც დაჰკოცნა, ვიღაცამ დასრისა ძალუმად...

და მთვრალი, დათენთილი, როგორც აბრეშუმის ნაქსოვი, იგი დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ... მას აქეთ სულ ბრუნაშია იგი, თითქოს ოპიუმის ზანტი ოშხივარი ... ულ-
დეს ტანში...

რა ჰქნას, როგორ შეაჩეროს კარზე მომდგარი უბედურება!...

რევაზი იჭვიანი გამოდგა. სრულიად უმიზეზოდ დაიწყო მისი ეს ავადმყოფობა. უმიზეზოდ, რადგან ნინომ რამდენჯერმე გადააქოთა მთლად განვლილი დრო და ვერა ნახა რა ისეთი, რასაც იჭვის აღძვრა შეეძლოს. ნინოს არც უნახავს მას აქეთ სამსონი. სურათი კი უფრო მუნჯია, ვიდრე ის კედლები, რომლებიც მოწმენი იყვნენ მისი ღალატისა. ცხადია, უმიზეზო იყო რევაზის ცვლილება, ავადმყოფური. ვერ მიმხვდარიყო რევაზის იჭვიანობის მიზეზებს და მით უფრო სურდა მოსულიყო სამსონი, რომ ლაპარაკში მაინც გაეგო რამე.

ყრუდ გაისმა ზარი, როგორც გაპარტახებულ სასახლეში კარის ხმაური. ნინო ზმორვით წამოდგა და ელექტრონის ღილისკენ წაიღო ხელი. წუთიც და სიბნელემ ფანჯრებისკენ დაიხია.

— მობრძანდით!.. მიიწვია.

ცეცხლის მფრქვეველი თვალები და ღიმილის წამები ტუჩებზე... გოროზი სვლა...

— დაჯექი.. თ... მიიწვია სავარძელზე

რევაზსაც დაუძახეს.

— მე გიახელით, რომ ჩემი სურათის ბედი გავიგო და თქვენი საერთო აზრიც მოვისმინო.

ნინომ მიატოვა ისინი.

— უნდა გითხრათ, რომ სურათი ხელოვნურად არის შესრულებული...

— არის ხოლმე ხელოვანის ცხოვრებაში წუთები, როდესაც მთელი თავისი სიძლიერით გამოჩნდება შემოქმედება და აღტაცება .. გაქანებას აღარ აქვს საზღვარი... ფერადები, სხვა დროს, რომ მათ შერჩევაში ვწვალობთ, თავისთავად იქმნებიან... მაჯა მხოლოდ ემორჩილება რაღაც სტიქიურ ძალას... და ამნაირ არაჩვეულებრივ წვის შემდეგ შენ თითონ გიკვირს თუ როგორ მიხვდი და ესა თუ ის ფერი ასე ლამაზად როგორ შეუფარდე სინამდვილეს... ეს იშვიათად ხდება ჩვენს ცხოვრებაში ასე ღრმად, ასე სრულად... იშვიათია ქარიშხალი ისეთი, რომელიც ტაიფუნივით დაივლის არე-მარეში... იშვიათია მიწის ძვრა ისეთი, რომელიც სულ ძირიანად აბრუნებს ცხოვრების სახეს... ასევე იშვიათია ხელოვანის ცხოვრებაში წუთები სრული, ჭეშმარიტი შემოქმედებისა... ჩემი სურათი, თქვენს განკარგულებაში რომ არის, სწორედ ასეთს არა ჩვეულებრივ შემოქმედების პროცესში შეიქმნა. ის სურათი ჩემი ნაწილია, ჩემი იშვიათი აღტყინების, იშვიათი დნობის ნაყოფია და... დარწმუნებული ვარ არ გაგიკვირდებათ, რომ მისი შეხედვა მომენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრა... თანაც ადგილი, სადაც ის სურათია დაბინავებული, ხალხი, რომელიც მას შესცქერის მუდამ—ისევე მაინტერესებს, როგორც აინტერესებს მშობლებს ის ოჯახი, რომელიც იმათ ერთად ერთს შვილს მიიბარებს...

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ სურათი იშვიათი ნიმუშია მსოფლიო მხატვრობაში... და ვგრძნობ როგორი სამძიმო იქნება თქვენთვის, რომ ეგ სურათი თქვენს ოთახში არ არის...

— დიახ... ეს უდიდესი უბედურებაა მხატვრის ცხოვრებაში, რომ იგი იძულებულია ასე მოიქცეს... არის ხოლმე შემთხვევა, როცა საკუთარ თავს აღარ ენდობი და იჭვი გეპარება შენს ნიჭიერებაში... ამ დროს საშინელებაა პირდაპირ ჩვენი ცხოვრება, მოწამლული... ხან მზად ხარ მთელი სახელოსნო ცეცხლს მისცე, გაანადგურო... მაგრამ, როდესაც შენი იშვიათი შესრულება შენთან არის — ასეთი წუთები უნაყოფოა და უშედეგო... მეტადრე თქვენი მეუღლის სურათი...

„თქვენი მეუღლის“... ძლივს გაბედა ამ სიტყვების წარმოთქმა. რა გამოეპარება მუდამ ფრთხილს და დაკვირვებულს რევაზს!..

— ერთი მითხარით, ბ-ნო სამსონ... შეგიძლიანთ თქვენ დახატოთ მაგალითად მუხა ქარიშხალის დროს და ნამდვილად კი არ გენახოთ იგი იმ წუთს... საერთოდ ვიტყვი, შეგიძლიანთ გამოხატოთ ისეთი მდგომარეობა სულიერი, რომლის გამომეტყველება, ასე ვსთქვათ, გარეგანი გამოხატვა არ გენახოთ არას დროს?..

— რასაკვირველია არა... მაგრამ ხშირად რომელიმე ასეთს შთაბეჭდილებას ჩვენ შეუმჩნევლად ვიხსომებთ, ხოლო იგი შემოქმედების დროს გამოჩნდება ხოლმე.

— მაგრამ ხომ მაინც ნანახი უნდა გქონდეთ...

— რასაკვირველია... მაგალითად შიშის გამოსახვა, გამოთქმა ძნელია და არც შეიძლება, თუ არ შეისწავლე... არამც თუ საერთოდ—ინდივიდუალურადაც კი, რადგან ყოველი პიროვნება თავისებურად გამოსთქვამს ყოველ განცდას...

ააა! ტყუილად კი არა სთქვა რევაზმა, რომ მხატვრები სულელი ხალხია... რომ იცოდეს სამსონმა რაშია საქმე, ხომ არც ერთ წუთს არ დაეთანხმებოდა!.. მაგრამ—არ იცის... ილბალიც ეს არის სწორედ, რომ სამსონის წინდაუხედაობამ რევაზის იჭვები გაამართლა.

ილბალი? ნუ თუ გასახარია ის, რაც რევაზმა დაინახა ეხლა? რევაზმა ტკივილი იგრძნო გულში, ღრმა ტკივილი.

— წამობრძანდით... მოულოდნელად წამოდგა რევაზი და გაიწვია მხატვარი.

— მე სწორედ მაგას ვიძახდი ყოველთვის, რომ არ შეიძლება ტილოზე გადმოტანა იმისი, რაც არ მინახავს... მაგალითად ჩემი სურათის დახატვის დროს რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე განცდის გამოსახვა თუ გსურთ—ჩემს სახეზე უნდა ნახოთ, რომ ტიტანზე ... ლვილი ჩემი სურათი იყოს...

კაბინეთში შევიდნენ. სამსონს ეუცხოვა რევაზის უცნაურება. დაკითხვა, თითქოს გამომძიებელი ჩვენებას ართმევდეს, მოულოდნელი მოძრაობა...

რევაზმა გამსჭვირვალე კაბას გადასწია და უკან დაიხია. ორივენი სდუმდნენ კარგა ხანს.

ორივენი შესცქეროდნენ სურათს უხმოდ, ცალ-ცალკე თავის ფიქრებში, საკუთარ განცდაში წასული. რევაზი ხშირად გადახედავდა სამსონს, თითქოს სურს დაიჭიროს მისი სახის კუნთების კრთომა, გამოხედვა. სამსონი კი შესცქეროდა უძრავად, გათანგვით, როგორც ბუდას მლოცველი, რამ სასწაულს რომ მოელის.

ჰმ!.. ნაცნობი ღიმილი, ის ნათესაური იერი... ახ, რა ლამაზი, რა ვნებიანი იყო ნინოს გამოხედვა!.. ღიმილი, ასე რომ ჩაჰქარგოდა მთელ მის სახეს... ეს ის ღიმილია, ცოფისავით რომ დაბნიდა იგი, მის მკლავზედ რომ ესვენა და შესცქეროდა მას... ეს ის ტუჩებია, მისკენ რომ იწევენ საამბოროდ... მკერდი - ფერფეფივით რბილი, სუბუქი, ასე რომ დაათრო სამსონი, ასე რომ გაადნო... ღმერთო, რა წუთები იყო, რა წუთები!.. ეხლაც, ეხლაც ისევე ჰფეთქავს, ირხევა, რომ მიკიდეს სამსონი და ჩაეკონოს, დაეუფლოს... ეხლაც ეძახის ..

დარეტიანებულისავით შეინძრა სამსონი და მარცხნივ მიიხედა, საიდგანაც ... ი გაღვიებული რკალი შესცქეროდა მას, თავზე ხელი გადისვა და ამოიოხრა.

— გამოერკვიეთ?.. მძიმედ შეეკითხა რევაზი.

სამსონი მიხვდა ყოველივეს. ეხლა, ამ წუთიერი თავდავიწყებიდგან რომ გამოერკვია, მან იგრძნო რომ სურათში ბევრი ისეთი რამ გამოჰრევია, რაც მას სამუდამოდ გადამალული უნდა ჰქონოდა მიუვალ ადგილს. ეხლა გაიგო სამსონმა აზრი რევაზის შეკითხვებისა და იგრძნო, რომ გასცა თავი და გასცა ისე, რომ უკან დასახევი გზა აღარ სჩანდა. ეს იმ ნინოს სურათია, რომელიც მის მკლავზე ესვენა ცეცხლმოდებული, გიჟი, და არა ის, რომელიც გულუბრყვილოდ შესცქეროდა სავარძლიდგან მხატვარს... ეს ვერ შენიშნა გატაცებულმა სამსონმა და ვერ აიცდინა თავიდგან...

— ჰა?.. უაზროდ შეეკითხა სამსონი.

— დიი-აახ... მოკლედ, და მტკიცედ უპასუხა რევაზმა.

და წუთით გაჩერდნენ ერთმანეთის წინ, როგორც სარკესთან. ერთმანეთს შეხედეს გამეტებით, როგორც ორმა მეტოქემ, პირველად რომ შეხვდებიან ერთმანეთს რევანშის შემდეგ. რას ფიქრობდნენ?.. უძრავად იდგნენ და შესცქეროდნენ თვალებში. ერთმანეთი იცნეს, მაგრამ როგორ უნდა მოჰქცეოდნენ ერთმანეთს ამიერიდგან, ან როგორ გადასწყდებოდა ნინოს ბედი—აი რის გამოსარკვევად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკვირდნენ ერთმანეთს. იგრძნეს კი რომ ორივენი ამაყნი იყვნენ, მტკიცენი და თამამნი ..

. . . . . .

შუა დღე. მზე ისეთი თავისუფალია და ნათელი, როგორც ბავშვის თვალები. ცა გათანგული ტბის კანისავით გალურჯებულა და სახიდგან ყოველგვარი ლაქა განუშორებია. იგი საზეიმოთ მოკრიალებულა და მისი გვირგვინიც დიადად ბრწყინავს, როგორც ძვირფასი თვალი მშვენიერი ასულის მკერდზე. ცეცხლი და ვნება თავაღებით დასწაფებია დედამიწის გულმკერდს და ენერგია გახელებულა სისხლის ჩანჩქერით. გამთბარი ნერვი იზმორება და განცდისაკენ იჭიმება ასათრთოლებლად. ოფლიანი გონება სრულიად დამონებია გულს, ოცნებას — ისევე მრავალსახიანს, როგორც თვით მზე — და იზლაზნება იგი გაბედულად ამოძრავებულ მკლავის-ქვეშ.

სამსონის სამუშაო ოთახში მზეს ბალეტი აქვს. ხალებით მორთულს ესტრადაზე, ხავერდის რბილ ბალიშებში გველივით გაწოლილა ქალი, თმა გაშვებული, შიშველი. გამსჭვირვალე საბანით განუზრახავს დამალვა რგვალი სხეულის, მაგრამ საბანს ვერ მიუღწევია ამ მიზნისთვის, რადგან ტანი უფრო რგვალი, უფრო მიმზიდველი ხდებოდა. ვილაცას იწვევდა სიტკბოებით მისი იშვიათი მკერდი, ასე რომ ჰფეთქავდა, თითქოს ეს არის ეხლა მოსწყდა ამბორი ..

თავი მაღლა აიღო და ჟინიანი ღიმილით წარბი შეარხია. წაბლის თმების ჩარჩოში მის სახეზე ამღვრეულიყო ეს ღიმილი და თვალებს გამსჭვირვალე წამებად დასხურებოდა.

მზის გაგიჟებული სხივები ფარდის უზორებად დასხმოდნენ ზედ და მთელი სხეული ვარდის ფერად იზმორებოდა. მზე აწუხებდა მას, მაგრამ ასე უნდა დარჩეს იგი, რადგან ასე უფრო ძლიერდება მისი სისხლი, უფრო მკაფიოდ ირხევა მისი მკერდი... იდუმალი, ქალური ძალები უფრო ნათლად გადმოსკდებიან მზით გალიზიანებულნი. ხალებიც ისე ეალერსებოდნენ მას, რომ მათი ანარეკლი სხივები უფრო ადიადებდნენ იფანივით მოქნილ ტანს...

მას არ ეცვა ისტორიული რამ სამოსელი, თანამედროვე ქალი იყო, თანამედროვე სამოსელში შეხვეული.

თეთრ წინსაფენში გამოწყობილი სამსონი თავდავიწყებით ჰფერავდა ტილოს. ის აღტაცებული იყო. წინდაწინვე დარწმუნებულია იგი, რომ ეს ახალი სურათი სამუდამოდ მოჰფენს მის სახელს ამ ქვეყნად და მხატვართა შორის მას შესაფერ ადგილს მიანიჭებს...

„ვნების ხაზები გაზაფხულზე“ — ასეთი წარწერა ექნება სურათს. ოო, ის დაანახვებს ქვეყანას, მთელს სამყაროს რომ სამსონისთანა ნიჭი იშვიათია, არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივი.. ის ისე მოხაზავს გაზაფხულის ვნებიანობას აი ამ ტანზე, მაცდურად რომ გაწოლილა ესტრადაზე, ისე გამოსთქვამს ამ გზების წერტილებს, რომ უწარწეროდაც იგრძნობს ყოველი გაზაფხულის ავსისხლიანობას და უთქმელად დაითვრება, დაიკარგება. მზე, მზე შუადღისა საკმაო ცეცხლს აწვდის ამისთვის და დამდნარი მისი ძარღვებიც ფეერიულად გადიშლება სახატავზე. იგი თვით ამ ქალს დაანახვებს, რომ სურათი მისი მაზედ უფრო წარმტაცი, უფრო გიჟური იქნება, უფრო ვნებიანი და ძლიერი. მას თან არ ექნება მზე, ასე რომ აელვებს მას. სურათს კი სამუდამოდ დაჰყვება თან სხივების შადრევანი, რომელშიც ბანაობს იგი ასე ზღაპრულად.

სიჩუმე იყო და ამ სიჩუმეში იწვოდა სამსონი ფერადების ალში და დამდნარ სხივებში. და ისე იყვნენ გართულნი, რომ მეზობელ ოთახში ხმაურობაც ვერ გაიგეს ან რას გაიგებდა სამსონი, რომელსაც ყურში ასე შხამიანად ჩასძახიან ფერადები, ასე გმირულად ყივის მის ძარღვებში მზე ნაზიარი სისხლი. რა ხმაურობა შესძლებს ამ შინაგან ხმების დაჩრდილვას, გადატეხვას!...

დაღონებული ნინო მძიმედ ადგავდა ფეხს სასტუმრო ოთახში. ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის, ისევე გაწყობილი, როგორც მაშინ, მის სურათს როცა ხატავდა სამსონი. მაშინ იგი ბედნიერი იყო, კმაყოფილი. მაშინ სულ სხვა მიზანი ჰქონდა მის აქ სიარულს. მაშინ მას რევაზი ჰყავდა საყვარელი ადამიანი.

ეხლა.. იგი დაშორდა მას. ეხლა, ამ ერთი საათის წინ, ნინოსა და რევაზის შორის გათავდა ყველაფერი. ნინომ უამბო დაწვრილებით... არც ერთი სიტყვა, არც ერთი წუთი არ კაუშვია აუწერელი. იგი არ ითხოვდა პატიებას—ამის ნებას რევაზის სიყვარული მას არ აძლევდა. იგი არც ფეხქვეშ უვარდებოდა რევაზს—იგი ამაყი იყო ისევე როგორც სურათში. მას სურდა მხოლოდ გულიდგან ამოეღო ეს დარდი, ეს ამბავი ნაღვერდალივით რომ იყო შიგ. მას სურდა ეთქვა ყოველივე რაც აქამდე აწუხებდა იმ იმედით რომ ტანჯვა შეუსუმბუქდებოდა, დაავიწყდებოდა სამსონი

მაგრამ ნაღვერდალს უფრო მეტი ჰაერი მიეცა, უფრო მეტი საზრდო და უფრო დიდად გაღვივდა, გაძლიერდა. ოო, როგორა ტიროდა რევაზი, როგორ ქვითინებდა!.. რა ძნელი მოსასმენია, ღმერთო, ვაჟკაცის ქვითინი!!.

სავარძელში ჩამოჯდა რომ სული მოეთქვა და მოეფიქრა რამ.

აი იქ, იმ ოთახში... ორი სამი ნაბიჯი კიდევ და ნახავს იგი თავის საკუთარ სამსონს, თავის სიმდიდრეს... ახ, როგორ შეუყვარდა ეგ წყეული, ეგ გიჟი, ეგ ბავშვი ეგა... ეგ ხომ ნამდვილი ბავშვია, ნიჭით მდიდარი, სახელოვანი... მორჩა. მან უნდა დაივიწყოს რევაზი. რევაზი სტიროდა, როცა ნინო ადგა და წამოვიდა... არც ერთი სიტყვა, არც ერთი შეხედვა! და ისიც წამოვიდა ისე, როგორც არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურველი სტუმარი, რომლის წასვლასაც ძლივს ელირსება ხოლმე მასპინძელი. ნუ თუ შეიძლება ასე მალე დავიწყება თავიანთი წარსული ბედნიერებისა?

და მოვიდა სამსონთან, რათა თავისი მკერდით კიდევ ასაზრდოვოს მისი ნიჭი, მისი ოცნება, თვით იგიც... რომ ყოველთვის განუყრელად ითვრებოდნენ, ერთად იწვებოდნენ სიყვარულის ცეცხლში...

მძიმედ მივიდა შუა კარებთან და ხავერდის ფარდას გასწია ოდნავ.

და რომ დაინახა შიშველი ქალი მზის კრიალოსნებში მობანავე... რომ შეხედა სამსონის არეულს სახეს, ბედნიერი თავდავიწყებით რომ მუშაობდა... ერთი კი ამოიგმინა გულამოტანით და ქვითინით ჩაიკეცა კარებში.

ქალი წამოიჭრა ვით მობანავე ასული, ზღვის პირას ქვიშაზე მწოლი, უცნობ ვაჟკაცს რომ მოჰკრავს თვალს.

შემკრთალი სამსონი მივარდა ნინოს.

— დამშვიდდი, ნინო, დამშვიდდი... ღვთის გულისათვის, დამშვიდდი...

შიშველი ქალი ამაყად იზმორებოდა სარკესთან...

ნინო კი სტიროდა მწარედ, ქვითინებდა...

დედა ქალაქი. აპრილი. 1919 წელი.

სარედაქციო კოლეგია:
ივ. გომართელი
ს. აბაშელი
პ. ირეთელი
არ. რუხაძე
ობოლი მუშა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1919 წ. დეკემბრიდან გამოდის ყოველ-თვიური სამხატვრო-სალიტერა-ტურო ჟურნალი

„ცისარტყელა“

გამოცემა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგ[illegible]ბასთან არსებულ კულტურა-განათლების კომისიისა.

ყოველგვარ პ[illegible]ობების გასაგებად მსურველებმა უნდა მიმართონ ამავე კომისიას,—თბილისი, ელისაბედის ქუჩა, № 200.

თბილისი, სტამბა-ლიტოგრაფია საქართვ. რკ. გზების